საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

საქართველოს სახმლმწიფო ლიტერატურული მუზეუმი

# ლიტერატურის მატიანე

## წიგნი

## 6

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

19 თბილისი 51

რედაქტორი საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის ნ. წ. **გ. ლეონიძე**

ექვთიმე თაყაიშვილი

## მოგონებანი ქართველ მწერლებზე

## 1. ილია ჭავჭავაძე

### პირველი შეხვედრა ილიასთან

პირველად ილია ჭავჭავაძე ვნახე 1886 წელს, როდესაც პეტერბურგის უნივერსიტეტში ვსწავლობდი. ის ჩამოვიდა პეტერბურგში ბანკის საქმეების გამო და ბინად ჩამოხტა ვასილ მაჩაბელთან, ლიტეინის პროსპექტზე. ვასილ მაჩაბელი და ილია იმ დროს დიდი მეგობრები იყვნენ.

ვასილ მაჩაბელს იურიდიული განათლება ჰქონდა მიღებული და ნაფიცი ვექილი იყო სამეგრელოს უკანასკნელ მთავარ ნიკო მინგრელსკისთან, რომე-

ლიც იმ ხანად პეტერბურგში ცხოვრობდა. ვასილი დიდ მონაწილეობას იღებ-
და სტუდენტთა საღამოების მოწყობაში და ფულსა ჰკრეფდა ღარიბი სტუ-
დენტებისათვის.

ერთხელ ერთი საღამოს შემოსავალი, სამი ათასი მანეთი, სტუდენტებს
ვასილის თანხმობით გადაედოთ ხელუხლებელ ფონდში და „დარდუბლის კი-
დობანი“ დაერქმიათ. იმ ხანად ვასილს საქართველოში დაბრუნება უნდოდა
და პეტერბურგში თავის სახლის ლიკვიდაციას ახდენდა. მან წინადა-
დება მოგვცა სტუდენტებს, რომ „დარდუბლის კედობნის“ თანხა
თან წაეღო საქართველოში და გადაეცა წერა-კითხვის გამავრცელებელი სა-
ზოგადოებისათვის, რომლის თავმჯდომარედ მაშინ ილია ჭავჭავაძე იყო. სტუ-
დენტებმა არ მიიღეს ეს წინადადება. მაშინ ვასილ მაჩაბელმა განაცხადა, რომ
ეს საკათხი ილია ჭავჭავაძის თანადასწრებით განეხილათ, და მოითხოვა
ილიასთან რამოდენიმე სტუდენტი გაგვეგზავნა. სტუდენტობამ აგვირჩია სამი
კაცი: მიხაკო მღვდლიევი, ალექსანდრე ლორთქიფანიძე (შემდეგში ქუთაისის
სათავადაზნაურო ბანკის დირექტორი) და მე. მივედით მაჩაბელთან ბინაზე,
ცოტა ხნის შემდეგ ილია გამოვიდა თავის ოთახიდან, მოვიდა ჩვენთან და გაგ-
ვეცნო.

ეს იყო ჩემი პირველი ნახვა ილიასი და ძალაუნებურად გამახსენდა გრი-
გოლ ორბელიანის ლექსიდან სიტყვები: „ის ლიბერალი, ბურთივით მრგვა-
ლი“, რომელიც ილიას მიმართ იყო თქმული. საერთოდ მისმა გარეგნობამ, მა–
ღალმა შუბლმა და გამომეტყველმა თვალებმა სიმპათიური შთაბეჭდილება
მოახდინეს ჩემზე.

ილიამ დაგვიწყო საუბარი „დარდუბლის კიდობნის“ შესახებ. ის დიდხანს
გვესაუბრა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიზნებისა და მა-
თი განხორციელების შესახებ. ამბობდა: „ყველა ქართველმა უნდა მიიღოს
მონაწილეობა ამ საზოგადოების წარმატებაში და, რითაც შეუძლია, დაგვეხ-
მაროსო“, და თან გვირჩევდა, რომ ის ფული წერა-კითხვის საზოგადოებისათ-
ვის გადაგვეცა და ამით პეტერბურგის ქართველ სტუდენტობას თავისი წვლი–



ლი შეეტანა მის გასაძლიერებლად: „ეს თანხა თქვენ უსათუოდ შემოგეხარჯე-
ბათ, ან აიშლებით, დაიშლებით და დაგეკარგებათო“.

ბევრი მსჯელობის შემდეგ ილიას პატივისცემისათვის დავთანხმდით. ვა-
სილ მაჩაბელმა ეს ფული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამ-
გეობას გადასცა შეწირულობის სახით.

## ჩემი ჩამოსვლა თბილისში და დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვა

1887 წელს უნივერსიტეტი გავათავე; იმავე წელს სექტემბრის დამლევს
თბილისში ჩამოვედი და სათავად-აზნაურო სკოლაში დავიწყე ლათინური ენის
მასწავლებლობა. მაშინ ამ სკოლას განაგებდა ალექსი ბესარიონის-ძე ჭიჭინა-
ძე, ჩემი კარგი ნაცნობი ქუთაისიდან. ჩემი ჩამოსვლის შემდეგ არც კი გასუ-
ლიყო ერთი თვე, რომ დიმიტრი ყიფიანი მოჰკლეს სტავროპოლში. ამ ამბავმა
მთელ ქართველობას თავზარი დაგვცა და ყველა ააღელვა. გაიმართა ქართვე-

ლი ინტელიგენციის კრება, რომელზედაც გადაწყდა, რომ დ. ყიფიანის ცხედარი თბილისში ჩამოესვენებინათ და მთაწმინდაზე ჯეროვნად დაემარხათ. ამ მიზნით სამგლოვიარო დღეებში იკრიბებოდა დ. ყიფიანის დამკრძალავი კომისია, რომელშიც შედიოდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვა ჩვენი გამოჩენილი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი.

ხმა, რომელიც მთავრობამ დაყარა, ვითომც დიმიტრი ყიფიანი გაძარცვის მიზნით მოკლესო, არავის არა სჯეროდა; ყველა დარწმუნებული იყო, რომ დიმიტრი თვითმპყრობელური მთავრობის აგენტებმა მოჰკლეს.

კომისიამ გამოიმუშავა დამარხვის გეგმა: გარდაცვალებულის ჭირისუფლობა და დაკრძალვის ორგანიზაცია იკისრა მისმა ნათესავმა დავით ყიფიანმა, თბილისის ცნობილმა ნოტარიუსმა, რომელიც დიდი მეგობარი და თანამოღვაწე იყო ილია ჭავჭავაძისა.

დაკრძალვის დღეს საქართველოს ყველა კუთხიდან მოვიდნენ დეპუტატები და სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები. ცხედარს ყველანი მკლავზე სამგლოვიარო ლენტებით დავხვდით ყოფილ ოლგის ქუჩაზე, ვერის ჯვართან. პროცესიას უნდა გაეარა გოლოვინის (ეხლანდელი რუსთაველის) პროსპექტით ერევნის მოედანზე, მერე სოლოლაკის ქუჩა და შემდეგ უნდა ასულიყო პეტრე დიდის ქუჩიდან მთაწმინდაზე. პროცესია დავით ყიფიანის მეთაურობით დაიძრა, მაგრამ როგორც კი მივუახლოვდით გრიბოედოვის ქუჩის ასავალს, პოლიციამ გამოგვიცხადა, რომ პროცესია გრიბოედოვის ქუჩით უნდა წასულიყო. შეიქმნა დიდი ჩოჩქოლი. ხალხი მიაწვა წინ მიმავალთ. ამასობაში ნიკო დიასამიძემ, რომელიც ქართულ ჩოხაში იყო გამოწყობილი და წაბლისფერ ტაიჭზე იჯდა, გაარღვია პოლიციის რაზმი და წინ გასწია. ახალგაზრდათა გუნდმა დავით ყიფიანიც გაიყვანა წინ. მას მიჰყვებოდა სამღვდელოება ალექსანდრე ეპისკოპოსის (ოქროპირიძე) მეთაურობით. პოლიცია წინ გადაეღობა ეპისკოპოსს და განუცხადა: – „Ваше преосвященство приказано итти по Андреевской улице“...



ალექსანდრე ეპისკოპოსი დიდი ქართველი პატრიოტი იყო და მასთან ფრთხილიც, მაგრამ იმ დღეს მან მხნეობა გამოიჩინა „Меня – მიმართა პოლიციელთ, – пригласил родственник покойного Давид Кипиани и куда он идет, и я за ним», – და მხნედ გადააბიჯა წინ. შემოსილი ეპისკოპოსის ხელით შეჩერება პოლიციამ ვერ გაბედა. ამ დროს შეჯგუფებულმა ხალხმა გაარღვია პოლიციელების რაზმი და პროცესია გოლოვინის პროსპექტისაკენ გაემართა. როდესაც სასახლეს მივუახლოვდით, იქ განგებ შეაჩერეს კუბო და ლიტია გადაიხადეს. სასახლიდან არავის არ გამოუხედია, ფანჯრები დაკეტილი იყო. მთავარმართებელი დონდუკოვ-კორსაკოვი იმ დღეს თავის ცოლის პანაშვიდზე წასულიყო წმინდა ნინოს ქალთა გიმნაზიაში.

დავით ყიფიანთან ერთად ცხედარს მიყვებოდნენ გარდაცვალებულის ოჯახობა, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვა პოეტები და მწერლები, შემდეგ კი სხვადასხვა დეპუტაციები თავთავიანთი გვირგვინებით.

მთაწმინდაზე პირველი სიტყვა წარმოსთქვა აკაკი წერეთელმა, რომელ-

მაც დიმიტრი ყიფიანი საქართველოს მეორე დიმიტრი თავდადებულად გამოაცხადა, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე. მოელოდნენ ილიას სიტყვასაც, მაგრამ მან სიტყვა არა სთქვა, მხოლოდ კერძო საუბარში ზოგიერთებს უთხრა: – „რა ამბავიც დღეს აქ მოხდა, ამას არავითარი სიტყვა არა სჭირია. მთელმა საქართველომ ჭეშმარიტად აღბეჭდა, თუ როგორ აფასებდა იგი დიმიტრი ყიფიანს და როგორ უყვარდა ეს დიდებული ეროვნული მოღვაწეო“.

ილიამ დ. ყიფიანის ხსოვნას უძღვნა ორი შესანიშნავი წერილი, რომლებიც ნამდვილი ფილოსოფიური ხასიათის წერილებია; მათში საუცხოოდაა დახასიათებული დიმიტრი ყიფიანის საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

მეორე დღეს სასახლეში მთავარმართებლის საბჭოს სხდომა გაიმართა იმაზე, თუ როგორ მოქცეულიყვნენ ქართველი ხალხის ამ გამოუთქმელი დემონსტრაციის შესახებ. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ იმ დასკვნაზე მივიდნენ, რომ რეპრესიები დემონსტრაციის მომწყობთა მიმართ კიდევ მეტს გართულებას და წინააღმდეგობას გამოიწვევდა საზოგადოებაში. ამიტომ დავით ყიფიანის მიერ ჩადენილი საქციელი მცირე დანაშაულად ჩათვალეს და დააჯარიმეს ექვსი მანეთით, ვითომდა პოლიციის განკარგულების დარღვევისათვის.

## „ივერიის“ რედაქცია და ილიას საღამოები

ილია ჭავჭავაძე იყო თავმჯდომარე თბილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობისა, თავმჯდომარე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და რედაქტორი გაზეთი „ივერიისა“. ეს სამი დაწესებულება სათავად-აზნაურო სკოლასთან ერთად უმთავრესი ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაცია იყო. არსებობდა კიდევ ერთი ორგანიზაცია – დრამატიული საზოგადოება, რომელიც უსახსრობის გამო სულსა ღაფავდა. მისი თავმჯდომარეები ხშირად იცვლებოდნენ. ერთხანს აკაკი წერეთელიც იყო თავმჯდომარედ.



„ივერიის“ რედაქცია პირველ ხანებში ფრეილინის ქუჩაზე იყო. აქ მე მარტო ერთხელ ვიყავი, ისიც შემთხვევით. ილია შემოგვხვდა ქუჩაში მე, იაკობ გოგებაშვილს, ნიკო ცხვედაძეს და მიგვიწვია რედაქციაში.

1889 წლიდან „ივერიის“ რედაქცია გადავიდა ნიკოლოზის ქუჩის დასაწყისში, სულ ახალ სახლში, რომელიც ილიას თაოსნობით იყო აშენებული, მისი დის ელისაბედ საგინაშვილის საფასით. აქ ილიამ ორი სახლი ააშენა: ერთი ნიკოლოზის ქუჩაზე გამოდიოდა, ვორონცოვის ხიდის პირდაპირ, მეორე – მის უკანა ქუჩაზე. მაშინ არსებობდა სახლთა ამშენებელი ქართული არტელი, რომელიც მშენებლობისათვის საჭირო ხარჯებს თვითონ კისრულობდა და აშენებულ სახლს მზა-მზარეულად აბარებდა პატრონს. შემდეგ ამ სახლებს აგირავებდნენ ბანკში და უმეტეს შემთხვევაში გირაოს ფულით იხდიდნენ აშენების ფასს. ილია კმაყოფილი იყო სააღმშენებლო არტელის მუშაობით და ამბობდა:

„მათ შესანიშნავად და სვინდისიანად ააშენეს ეს ორივე სახლი და გამაგრებულ-ლი ბინების გასაღებები ისე ჩამაბარესო“.

პირველი სახლი საცხოვრებელი ბინა იყო და მის ქვედა სართულში „ივერიის“ სტამბა იყო მოწყობილი. შიგნით ეზოში მას ჰქონდა დიდი ფლიგელი (მოგრძო ბინა), სადაც „ივერიის“ რედაქცია იყო მოთავსებული და მის ქვემო სართულში კიდევ სტამბის განყოფილება. ილია ცხოვრობდა პირველი სახლის მეორე სართულში. აქ მას შესავლის მარცხნივ თავისი სამუშაო კაბინეტი ჰქონდა. მისი ჭერი მოხატული იყო რუსთაველის, თამარ მეფის, დავით აღმიშენებლის, გიორგი სააკაძისა და წმინდა ნინოს ფერადი სურათებით. ამის შემდეგ იყო მისაღები ოთახი, ორად გაყოფილი: ერთი – მამაკაცებისათვის, მეორე – ქალებისათვის (მისი მეუღლის – ოლგა თადეოზის ასულისა – და მისი დის – ელისაბედ საგინაშვილისათვის). მესამე გრძელ და დიდ ოთახს შეადგენდა სასადილო, რომელსაც ეზოს მხრით შუშაბანდიანი აივანი ჰქონდა. ზაფხულში შუშაბანდებს ჩამოიღებდნენ ხოლმე, ზამთარში კი ისევ შეადგამდნენ. იმ მხარესვე იყო საწოლი ოთახები.

სასადილო ოთახში ხუთშაბათობით იმართებოდა „ივერიის“ რედაქციის წევრებისა და თანამშრომლებისათვის ლიტერატურული საღამოები, სადაც ილიას მეგობრები და ბანკის თანამშრომლებიც ესწრებოდნენ. ამ საღამოებს მეც ვესწრებოდი 1890 წლიდან, როდესაც „ივერიაში“ დავიწყე სტატიების მოთავსება და გამოვიდა ჩემი პირველი ნაშრომი „სამი ისტორიული ქრონიკა“. აქ ხშირად კითხულობდნენ ქართველი პოეტებისა და მწერლების ნაწარმოებებს და იყო ბაასი საქართველოს საჭირბოროტო საკითხების შესახებ. საღამო თავდებოდა უბრალო ვახშმით, რომელსაც უეჭველად სიმღერები მოჰყვებოდა. ვისმენდით კახურ „მრავალჟამიერს“, რომელსაც ამშვენებდა ნიკო მთვარელიშვილის საუცხოო გალობა. ტოლუმბაშად ყოველთვის ანტონ ფურცელაძე იყო.

ილიას „ხუთშაბათობის საღამოები“ დემოკრატიული ხასიათისა იყო, მაგრამ ის არისტოკრატიულ საღამოებსაც აწყობდა. საერთოდ ილია დიდად მი–



ღებული კაცი იყო არისტოკრატიულ წრეებში, რომელთა წარმომადგენლები იყვნენ თბილისის გუბერნატორი გ. შერვაშიძე, გენერალი ნინიკა (ნიკო) ამილახვარი, გენერალი ზაქარია ჭავჭავაძე და სხვები; მათ ჩვეულებად ჰქონდათ მოეწყოთ „ჟურფიქსები“, სადაც ილიას უეჭველად პატიჟობდნენ. ილიაც თავის მხრით მართავდა ასეთ „ჟურფიქსებს“ და ამ არისტოკრატებს იწვევდა თავისთან. ილიამ კარგად იცოდა, ვისთან როგორ დაეჭირა თავი.

მთავრობის უმაღლესი წრეები ანგარიშს უწევდნენ ილიას აზრსა და შუამდგომლობას, მაგრამ ილია წინდახედული იყო და, თუ რომელიმე უმაღლესი ხელისუფლების მქონე უხეში ან ე. წ. „სალდაფონი“ იყო, არავითარ კავშირს არ აბამდა, არც ეჩვენებოდა, არც რაიმე საქმისათვის წავიდოდა მასთან. მაგალითად, მთავარმართებელი გოლიცინი უხეში „სალდაფონის“ ტიპს წარმოადგენდა, ამიტომ ილიას მასთან არავითარი ურთიერთობა არა ჰქონდა. ისე წავიდა გოლიცინი საქართველოდან, რომ ილიას არ გაუცვნია და არც

რაიმე საქმეზე მისულა მასთან, თუმცა გოლიცინს არა ერთხელ უთქვამს თავისი ადიუტანტის – საშიკო ორბელიანისთვის: „გამაცანი ილიაო“; მაგრამ საშიკოს როგორ შეეძლო ეს მოეხდინა, როცა ილიას გოლიცინის გაცნობა არა სურდა?! მხოლოდ ერთხელ საშიკო ორბელიანს თეატრში დაენახვებინა მისთვის მოპირდაპირე ლოჟაში მჯდომი ილია ჭავჭავაძე. გოლიცინს შეეხედა ბინოკლით და ეთქვა: „შესანიშნავი თვალები აქვს, უსათუოდ ჭკვიანი კაცი უნდა იყოსო“.

## ილია და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი

ჩვეულებრივ, ქართველ საზოგადო მოღვაწეებს როდესაც რაიმე საქმე ჰქონდათ მთავრობის დიდ მოხელეებთან, შუამავლად ილია უნდა წაეყვანათ. უიმისოდ მთავრობის წარმომადგენელნი ქართველებს არ იღებდნენ და, თუ მიიღებდნენ, ყურადღებას არ აქცევდნენ. ილიას ზოგჯერ ეზარებოდა ამ როლის შესრულება და ყოყმანობდა წაყოლაზე; ხშირად აგზავნიდნენ მას ისეთი საქმეების შესახებაც, რომელთა კურსში ილია ნაკლებად იყო, მაგრამ რაკი სხვა შესაფერი ადამიანი არა ჰყავდათ, სულ მას აკისრებდნენ ყველა დიდ საქმეს.

მოვიყვან ერთ მაგალითს:

როდესაც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი დაისვა, დიდი ხნის განმავლობაში იგი მსჯელობის საგნად იყო გამხდარი და ქართულ-რუსულ ენებზე მის შესახებ ბევრი წიგნები და სტატიებიც იბეჭდებოდა. ამ საქმეში ჩვენ მედგრად გვეხმარებოდნენ რუსი სლავიანოფილები დურნოვოს მეთაურობით. მათ არა სწამდათ სინოდი და ცდილობდნენ პატრიარქობის აღდგენას როგორც რუსეთში, ისე საქართველოში. დურნოვო ამბობდა: – „საქართველო უძველესი ქრისტიანული სახელმწიფოა. ქართველებმა ქრისტიანობა მაშინ მიიღეს, როდესაც რუსეთის სახელმწიფო არ არსებობდა და რუსები არც ქრისტიანები იყვნენ. ისტორიულად მათ თავიანთი კათალიკოს-პატრიარქი ჰყავდათ და ეხლაც ისე უნდა იყოს. სამაგიეროდ მათი ეპისკოპოსი



კირიონი, რომელიც პატრიარქად უნდა იყოს საქართველოში, მთავრობამ განდევნა საქართველოდან, რაც შეუწყნარებელი მოქმედებაა“.

ამ აგიტაციამ ისე იმოქმედა იმპერატორ ნიკოლოზ II-ზე, რომ მან დანიშნა სპეციალური კომესია, რომელსაც უნდა განეხილა საკითხი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა. კომისიის კრებას დაესწრნენ საქართველოს ეპისკოპოსები: ლეონიდი და კირიონი, პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი და პროფესორი ნიკო მარი. ქართველებს გვინდოდა, რომ ეს საკითხი დადებითად გადაეწყვიტა მეფისნაცვალს ვორონცოვ-დაშკოვს. ამისათვის ვაწყობდით კრებებს ილიას თანდასწრებით და ილიას ვავალებდით ამ საკითხის შესახებ პირადად მოლაპარაკებოდა ვორონცოვ-დაშკოვს. ილია უარზე იდგა და ამბობდა: „მაგ თქვენი „კეფალიისა“ (ასე უძახოდა იგი ირონით ავტოკეფალიას) არაფერი არ მესმის და ვინმე სხვა გაგზავნეთ“, მაგრამ ჩვენ ვაიძულეთ ილია

წასულიყო მეფისნაცვალთან. ამასთანავე რაც შეგვეძლო, მას ვუხსნიდით მოსალაპარაკებელი საკითხის შესახებ.

ილია წავიდა ვორონცოვთან. დიდხანს გაგრძელებულიყო მათი ბაასი. ვორონცოვს ეთქვა: „დამარწმუნეთ, რომ ავტოკეფალია სასარგებლოა როგოც საქართველოსათვის, ისე რუსეთისათვის და მაშინ დაგიჭერთ მხარსაო“. ილიას ეთქვა: „მე დამარწმუნეს, რომ ეს ორივესთვის საჭიროა და სასარგებლოა“.

შემდეგ საუბრიდან გამოირკვა, რომ ვორონცოვი ამ საკითხში კარგად იყო მომზადებული: „მან მითხრა, – ამბობდა ილია, – ეკლესია ღმერთს ეხვეწება ყველა ქრისტიანული ეკლესიის შეერთებაზე და თქვენ კი არსებული ერთობის დაშლა გსურთ. განა გაგონილა ერთ მართლმადიდებელ სახელმწიფოში ორი სხვადასხვა საპატრიარქო არსებობდესო?“

ეს რომ მოვუსმინეთ ილიას, მე ვუთხარი: – „ბატონო ილია, განა არ უთხარით ვორონცოვს, რომ ბიზანტია ერთი სამართლმადიდებლო სახელმწიფო იყო და მასში ოთხი ავტოკეფალური საპატრიარქო არსებობდა: კონსტანტინეპოლის, იერუსალიმის, ანტიოქიისა და ალექსანდრიისა?“

ამ კითხვაზე ილია ცოტა შეჩერდა, შემომხედა და მითხრა: – „აკი გითხარით, მაგ თქვენი „კეფალიის“ არაფერი მესმის და ნუ გამგზავნით-მეთქი?“.

რა თქმა უნდა, ილიამ ეს ყველაფერი კარგად იცოდა, მაგრამ მაშინ არ გაახსენდა.

ბოლოს გადავწყვიტეთ მთავრობის წინააღმდეგ დიდი მანიფესტაცია მოგვეხდინა და დემონსტრატიულად მოგვეთხოვა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია. როდესაც წამოიჭრა საკითხი, ვინ გაუძღვება წინ ამ არაჩვეულებრივ დემონსტრაციას, ილიამ თქვა: „თუ საჭიროა, მე წაგიძღვებითო“, მაგრამ შემდეგ ისე წავიდა თვითმპყრობელური რუსეთის საქმე, რომ ამ დემონსტრაციის მოწყობა აღარ დაგვჭირდა.

ეს ამბავი იმიტომ მოვიყვანე, რომ ილიასაგან არავინ არ მოელოდა, თუ ის დემონსტრაციის მეთაური გახდებოდა და თავის ჩვეულებრივ სიფრთხილეს გადალახავდა. მაშინ ღრმად დავრწმუნდი, რომ ილია თავს არ დაზოგავდა და



არც უკან დაიხევდა საზოგადო საქმეში, თუ კი ეს საჭირო იქნებოდა საქართველოს კეთილდღეობისათვის.

## ილია გაბრიელ ეპისკოპოსის დამარხვაზე

მთავრობა ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებდა ილიას მოღვაწეობასა და მიმართულებას. მათ თვალში ილია ისეთი სეპარატისტი იყო, რომელსაც უნდოდა საქართველო ჩამოშორებოდა რუსეთს, სინამდვილეში კი ილია საქართველოს სრული ავტონომიის მომხრე იყო. მთავრობა თვალყურს ადევნებდა მის სიტყვებს, მწერლობას და ფეხის გადადგმას. მოვიყვანთ ერთ მაგალითს.

როდესაც გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსი გარდაიცვალა 1896 წელს, მის საპატივცემოდ ილიამ დაამზადა სიტყვა, რომელიც უნდა დასაფლავების

დროს წარმოეთქვა. ილია დიდი თაყვანისმცემელი იყო გაბრიელ ეპისკოპოსისა.

ერთ „ხუთშაბათის საღამოზე“ ილიასთან წამოიჭრა საკითხი: „მთავრობა უწევს რაიმე ანგარიშს ქართველი მოღვაწეების სიტყვებს თუ არა?“ ილიამ თქვა: „ეს კაცზედ არის დამოკიდებული; მაგალითად გაბრიელ ეპისკოპოსის სიტყვებს დიდ ანგარიშს უწევენ. ეგრეთვე ეკლესიის საკითხში ღენერალ ნიკო ამილახვარსაც დიდი გავლენა აქვს და მის სიტყვას ეგზარხოსი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევსო“.

მართლაც, ამბობდნენ: როდესაც ერთმა რუსმა ეგზარხოსმა ნება არ დართო სამღვდელოებას, რომ ქართულად ლოცვები დაებეჭდათ, ნიკო ამილახვარი წასულიყო მასთან და ეთქვა:

– „Я перестал молиться богу, ибо мой грузинский молитвенник истрепался, а ваш русский молитвенник я не понимаю и вы приостановили издание грузинского молитвенника на грузинском языке!“

ეგზარხოსი ამ სიტყვებზე შემკრთალიყო და ეთქვა: „Никогда не запрещал излание грузинского мотитвенника. Это недоразумение!“ და მაშინვე გაეცა ბრძანება დაებეჭდათ ლოცვანი.

გაბრიელ ეპისკოპოსის დამარხვაზე საქართველოს ყველა მხრიდან და დაწესებულებებიდან იყო გაგზავნილი დეპუტაციები. თბილისელი დეპუტატები ერთად შევიყარეთ მატარებელში. იქ იყვნენ ილია, ლევან ჯანდიერი (თბილისის მაზრის უფროსი, ილიას მეგობარი და პატივისმცემელი), ნიკო ღოღობერიძე, ივანე რატიშვილი, ანდრია ღულაძე და სხვები. ილია ღულაძეს ეხუმრებოდა. ეს უკანასკნელი დიდი ფართი-ფურთის კაცი იყო, ნაკლებად განათლებული, მაგრამ „პრეტენზიების“ მქონე; ერთ ხანს საბავშვო ჟურნალსაც სცემდა, მერე ცენზორი იყო, შემდეგ კორესპონდენტი უცხო გაზეთებისა, სწორედ რამოდენამე დღის წინ, სანამ ჩვენ ქუთაისში გავემგზავრებოდით, ანდრიას დეპეშა გაეგზავნა უცხოეთის გაზეთებისათვის, რომ უცხოელი კორესპონდენტი N (გვარი აღარ მახსოვს) თბილისიდან გაემგზავრა ინდოეთში, მას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს მთელი აზიისათვისო. ილია, რომელსაც ძლი-



ერ უყვარდა ოხუნჯობა ასეთი პრეტენზიის მქონე ინტელიგენტებთან, ეკითხებოდა: – „როგორ იყო, ანდრია, რომ დიდ პოლიტიკურ ფაქტად გამოაცხადე კორესპონდენტის ინდოეთში გამგზავრებაო?“ ყველანი ვიცინოდით და მათ შორის ანდრიაც, რომელიც საზოგადოდ ყველას საოხუნჯოდ ჰყავდა აგდებული და პირველ ყოვლისა კი – აკაკი წერეთელს, მიუხედავად ამისა ანდრია დიდ ქართველ პატრიოტად მიგვაჩნდა ყველას, რაც სამწუხაროდ ბოლოს არ გამართლდა.

გაბრიელ ეპისკოპოსის დამარხვა ქუთაისის ინტელიგენციამ ერთობ გააჭიანურა. მათ უნდოდათ დიდი პატივით დაემარხათ ეს დიდებული ქართველი და ამიტომ საჭიროდ ხედავდნენ, რომ საქართველოს ყველა კუთხიდან შეგროვილიყვნენ წარმომადგენელნი. ჩვენ ჩავედით ქუთაისში დილით და ოლია, ჯანდიერი და მე ჩამოვხტით სიმონ ღოღობერიძესთან – სათავადაზნაუ-

რო სკოლის შენობაში (სიმონი ნიკო ღოღობერიძის ძმა იყო, წინათ ისტორიის მასწავლებელი ქუთაისის გიმნაზიაში და შემდეგ სათავად-აზნაურო სკოლის გამგე). ცოტა დასვენებისა და ჩაის შემდეგ ეტლით გელათში გავემგზავრეთ. მარტის თვე იყო და ცოტა თოვლიც იდვა. აუარებელი ხალხი იყო. ცხედარი დაესვენებინათ საკურთხეველის წინ და ხატებითა და ყვავილებით შეემკოთ. დეპუტატები რიგრიგობით მიდიოდნენ და სიტყვებს ამბობდნენ. პოლიციის წარმომადგენლად ესწრებოდა ქუთაისის პოლიცმეისტერი სიმონიშვილი, რომელსაც საზოგადოდ ცუდი სახელი ჰქონდა გავარდნილი და ცარიზმის ყურმოჭრილ ყმად ითვლებოდა. ჯანდიერმა გვაცნობა, რომ სიმონიშვილს თბილისიდან ზედიზედ მოსდის დეპეშები: „Следить за Ильей Чавчавадзе и записать каждое слово, что он скажет“. მაშინ არავინ იცოდა, მაგრამ ეხლა გამორკვეულია, რომ ამ დროს ილია პოლიციის საიდუმლო ზედამხედველობაში ყოფილა.

ამ გარემოებამ ჯანდიერი და ილია ჩააფიქრა; საჭიროა თუ არა ამის შემდეგ ილიამ წარმოსთქვას სიტყვა? შეიძლება ამან პატივისცემის მაგიერ უსიამოვნება გამოიწვიოს, რაც არ ეგების გაბრიელის სახელსო. ცოტა ყოყმანის შემდეგ ილიამ გამოგვიცხადა: „სჯობს არაფერი არა ვთქვა, თუმცა გულს კი დამაკლდება, რადგანაც სიტყვა კარგად მაქვს მომზადებულიო“. ამასობაში საღამომ მოაღწია და ჩვენ ვითომც ცხედრის გამოსათხოვებლად მივედით ხალხთან, რომელიც შემორტყმული იყო კუბოს ირგვლივ. მე წინდაწინ მივედი, გავთიშე ცოტად ხალხი და ხმამაღლა ვთქვი: „ბატონებო, ცოტა ჩამოდექით, გზა მოგვეცით, ბატონ ილია ჭავჭავაძეს სიტყვა აქვს სათქმელი“. ხალხი გაიშალა. ილია წამოდგა წინ და დაიწყო სიტყვა, რომელსაც დიდის ყურადღებით უსმენდა ეკლესიაში გაჭედილი ხალხი. ჯანდიერი სიხარულით შეხვდა ამას და ილიაც კმაყოფილი დარჩა.

წამოვედით. მშივრები ვიყავით, თუმცა გელათში მოწყობილი იყო პატარა საუზმე, მაგრამ ჩვენი დასაკმაყოფილებელი საჭმელი არ იყო. მოვედით ქუთაისში და ნიკო ღოღობერიძემ მიგვიყვანა რიონის ხიდის მახლობლად ერთ სასტუმროში, რომელსაც, მგონი, „კავკაზი“ ერქვა. შევედით თუ არა სასადილო დარბაზში, დავინახეთ მოქეიფეთა ჯგუფი აფხაზეთის უკანასკნელი მთავ-



რის 'შვილის გიორგი შერვაშიძის მეთაურობით. უკვე ყველა შეზარხოშებული იყო, ხშირად გალობდნენ საეკლესიო მოტივს: „განუსვენე, უფალო, სულსა მიცვალებულისა შენისასა“. მათ რომ დაგვინახეს, ყველანი ფეხზე წამოდგნენ. გიორგი შერვაშიძემ ხმამაღლა დაიძახა: „ – ოო, ილია გრიგორიჩს გაუმარჯოს! რა სასიამოვნო სტუმარი მოვიდა! აბა, ახალი სუფრა!..“ მივუჯექით მაგიდას, მოქეიფე ჯგუფმა წინადადება მოგვცა, რომ ჯერ შესმული სადღეგრძელოების სანუქფო დაგველია, მერე კი – ახალი, მაგრამ ილიას სადღეგრძელო მაინც პირველად დალიეს. თამადის ბრძანებით დააწყეს თითო თეფშზე ხუთ-ხუთი ჭიქა და დასალევად გადმოგვაწოდეს, მაგრამ ნიკო ღოღობერიძემ ითხოვა: „ცოტა გვაცალეთ, საჭმელი ვჭამოთ, მშივრები ვართ და მერმე დავლევთ თქვენს სადღეგრძელოებსო“. ეს მხედველობაში მიიღეს. ილია ჩვეულებრივად

შეუდგა მადიან ჭამასა და ღვინის სმას. ნიკო ღოღობერიძემ ლაქიას ჩასჩურ-ჩულა ყურში: „ლაპარაკის დროს ილიას ხუთივე ჭიქა შეუმჩნევლად ააცალეო (ნიკოს ეწინოდა ღეინომ ილიაზე ცუდად არ იმოქმედოსო)“. ლაქიამაც მისი თხოვნა მოხერხებულად შეასრულა. სხვებმა, ვისაც სმა შეეძლო, მიირთვეს ის ხუთ-ხუთი ჭიქა. მე, ნიკო და სიმონ ღოღობერიძეებმა ღვინის დალევაზე უარი ვთქვით. გაორგი შერვაშიძემ მე და ნიკოს არაფერი გვითხრა, მხოლოდ სიმონს შეედავა: „ასე იცით თქვენ, ყველა საზოგადო საქმეში არ გვიჭერთ მხარსაო“ და სხვა.

შემდეგ მოჰყვენ ჩვენს სადღეგრძელოებს და, როდესაც ილიას ერთი ჩვენთაგანიღა დარჩა უდღეგრძელებელი, თამადამ უთხრა: „მიირთვით ეს ერ-თი სადღეგრძელოც“. ილიამ უპასუხა: „დიდი სიამოვნებით მივირთმევ, მაგ-რამ გულს მაკლია, რომ ის ხუთი ჭიქა ამცილდაო, მე მინდოდა ყველას სად-ღეგრძელოები დამელიაო“. რა თქმა უნდა, მაშინვე მოართვეს ის ხუთივე ჭიქა და ილიამ ყველა გამოსცალა. ნიკო ღოღობერიძემ ხელის კვრით მითხრა: „ჭეშმარიტად, საკვირველი კაცია ილიაო!“

ილიას ადათად ჰქონდა, რომ არაფრით არ ჩამორჩენოდა იმათ, ვისთანაც ის იჯდა. ღვინოს საკმაოდ სვამდა, მაგრამ არ ითვრებოდა. მე ილია მთვრალი არასოდეს არ მინახავს, თუმცა მასთან მყოფი ზოგი მოქეიფენი შეზარხოშე-ბული ამდგარან სუფრიდან.

იმავე საღამოს სადილის შემდეგ წავედით სიმონ ღოღობერიძის ბინაზე. იქ ილიასთან მოვიდნენ ქუთათური მეგობრები და მათ შორის კირილე ლორ-თქიფანიძე, მისი დიდი მეგობარი და თანამოღვაწე ჟურნალ-გაზეთების გამო-ცემის საქმეში. ხანგრძლივი ბაასის შემდეგ იქვე, სიმონ ღოღობერიძის ბინაზე, მოვისვენეთ. მეორე დღეს მე დალაადრიანად დავბრუნდი თბილისში. ილია ქუ-თაისში დარჩა. მას უნდა ენახა თავისი სხვა მეგობრები და აგრეთვე ქუთაისის სათავად–აზნაურო სკოლა.

გაბრიელ ეპისკოპოსის შესახებ ორიოდე სიტყვა კიდევ უნდა ვთქვა:

პირველად იგი ახლო ვნახე საღმრთო რჯულის გამოცდის დროს, რო-დესაც, ოთხ კლასიან პროგიმნაზიას ვათავებდი ქუთაისში. ის გამოცდა-ზე დასასწრებად სკოლის ინსპექტორმა იუდიანმა და საღმრთო სჯუ-ლის მასწავლებელმა მაჭავარიანმა მოიწვიეს. მართლმადიდებელი შე-



გირდები სულ ხუთი ვიყავით: მე, იოსებ დადიანი, შარუხია, გორგას-ლიძე და ერთი რუსი (გვარი არ მახსოვს). ყველანი ერთად დაგვაყენეს გაბრიელის წინ (ისე მოისურვა მან). გაბრიელთან იჯდა ინსპექტორი. მაჭავარიანი კი თავზე გვედგა. ჯერ გვარები წაიკითხა, ჩემი გვარის შესახებ თქვა: „ეს გურულიაო“. დაგვიწყეს გამოცდა: გვათქმევინეს ლოცვები, გვაამბობინეს სამღვთო ისტორიის მოთხრობები; მერმე გაბ-რიელმა გვკითხა, თუ სად რა სასწაულები მოახდინა იესო ქრისტემ. ჩვენც დაწვრილებით ჩამოუთვალეთ, რაც ვიცოდით. მან გვითხრა:

– „Такие чудеса и другие святые совершали – და დასძინა: а какое такое чудо совершил, какого никто кроме него не со-

вершал?“

ამ კითხვაზე ჩვენ მხოლოდ განვიმეორეთ ის, რაც წინეთ გვქონდა ნათქვამი: „слепых прозревал, бесноватых исцелял, Лазаря воскресил“... და სხვა.

– „Нет, нет! это и другие делали“.

ჩვენ გაკვირვებით შევხედეთ ჩვენს მასწავლებელს მაჭავარიანს, რომლიდგანაც ასეთი კითხვა არ გვსმენია, და, რა თქმა უნდა, არც მისი პასუხი. მასაც გაკვირვება ეტყობოდა და ცხადი იყო, არც მან იცოდა, რა პასუხი უნდა მიგვეცა. რაკი ჩვენ ვერას გავხდით, გაბრიელმა თვით მოგვცა პასუხი:

„Себя воскресил! Себя воскресил!

მე ვერ წარმომედგინა, რომ მკვდარი კაცი თავის თავს გააცოცხლებდა. ის სხვას უნდა გაეცოცხლებია, მაგრამ პირდაპირ ამისი ხმამაღლა განცხადება ვერ გავბედე და თავჩაღუნულმა ჩავილაპარაკე:

– „Ведь у Христа был отец, бог отец! Он его воскресил“.

გაბრიელმა განმარტა: „Бог отец, бог сын и бог дух святых одно единое божество, бог сын явился на земле в образе человека, чтобы своим страданием искупить род человеческий, после распятия в нем умерла человеческая природа, а не божественная и эта божественная природа снова воскресила себя в образе человека, чтобы показаться своим ученикам и убедить их и весь мир, что бог не умирает, и на глазах учеников в образе человека вознесся на небо и в образе человека явится в мир во время второго пришествия“...

შემდეგ გაბრიელი მე აღარ მინახავს, მაგრამ სხვებისგან გამიგონია, რომ მან ასეთი კითხვების წამოყენება სხვა გამოცდების დროსაც იცოდა.

გაბრიელი სპეტაკი ზნეობის მღვდელთმთავარი იყო და ვერ ურიგდებოდა მისი დროის ისეთ მღვდელთმთავრებს, რომელთაც ასეთი ზნეობა აკლდათ. მის დროს სამეგრელოს მღვდელთმთავრად იყო გრიგოლ დადიანი, რომელსაც ბევრ უზნეობას სწამებდნენ. გაბრიელს ჩამოეგდო ამის შესახებ მასთან ლაპარაკი, დადიანს ეს შეურაცყოფად მიეღო და



ეთქვა: „მეც ისეთივე მღვდელთმთავარი ვარ, როგორც თქვენ, და ასეთი ამბავი ჩვენ შორის არ ეგებისო“. გაბრიელს უპასუხია: „მართალია, მღვდელმთავარი კი ხართ, მაგრამ პავლე მოციქული ამბობს: „ვამხილოთ ერთმანეთიო“.

## ილიას ოჯახური მდგომარეობა

ზემოთ აღვნიშნე, რომ 1889 წლიდან თბილისში ილია ცხოვრობდა მის მიერ აშენებულს, მაგრამ მისი დის კუთვნილ სახლში. ამავე ბინაზე ცხოვრობდა მისი და ელისაბედი. მათ მაინცადამაინც შეხმატკბილებული ცხოვრება არა

ჰქონიათ. ეს მე გამიგონია ელენე გიორგის-ასულ ჯაბადრისაგან.

ელენე ჯაბადარი, ეროვნებით რუსი, მეუღლე იყო ილია ჭავჭავაძის მე–გობრისა და თანამოღვაწის ნიკოლოზ ჯაბადარისა. იგი დაქვრივების შემდეგ ილიას რეკომენდაციით მიწვეული იყო სათავად-აზნაურო სკოლის პანსიონში ეკონომისტად. ჯეროვნად განათლებული ქალი იყო, კარგად იცოდა ქართულია და ფრანგული, ნამეტნავად მუსიკა უყვარდა, გასაოცარი ენერგია ჰქონდა, ამავე დროს იყო დიდად პატიოსანი და კაცთმოყვარე ადამიანი და პანსიონის ბავშვებისათვის ნამდვილი თავდადებული დედა. მეგობრული ურთიერთობა ილიასა და მის ცოლთან არასდროს არ შეუწყვეტია. მათი ურთიერთობა ნ. ჯაბადარის სიკვდილის შემდეგ კიდევ უფრო განმტკიცდა. თითქმის ყოველ კვირა დღეს ილიასთან დაიარებოდა სადილად და ილიას მეუღლე ოლგაც ორ დღეში ერთხელ უსათუოდ მივიდოდა ელენესთან და მას თავის ჭირ-ვარამს უზიარებდა. მე შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ელენესთანა დაახლოვებული მეგობარი ოლღას სხვა არავინ გააჩნდა. და აი რაც მე ვიცი ილიას ოჯახური ცხოვრების შესახებ, ყველაფერი გაგონილი მაქვს ელენესაგან.

რამდენად ილია ჭკვიანი და ნიჭიერი ადამიანი იყო, იმდენად მისი და ელისაბედი ვერ იყო მისი შესაფერი. მას ძალიან ცუდი განწყობილება ჰქონდა ოლგასთან, მაგრამ ეს უკანასკნელი მაინც ილიას სიყვარულისა და ხათრისათვის მულთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდა და იტანდა ყველაფერს.

ელისაბედის ახლო მეგობარი იყო მიხაკო ფილიპეს-ძე ჩიკვაიძე, რომელიც აზალგაზრდობაში ილიასთან ერთად სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში და შემდეგ მასთანვე ერთად მსახურობდა დუშეთის მაზრაში. ელისაბედი წინეთ ცოლად ჰყავდა ორბელიანს, შემდეგ – ალექსანდრე საგინაშვილს და ეხლა სდომებია მისთხოვებოდა მიხეილ ჩიკვაიძეს, მაგრამ ილია თავის დას გათხოვების ნებას არ აძლევდა: „შენ უმალ ჩემ გვამზე გადაივლი, ვიდრე იმას გაყვებიო“. მიუხედავად ამისა, ჩიკვაიძე ელისაბედის მამულების გამგე იყო და თითქმის ყოველ დღე მასთან დადიოდა. მართალია, ილიას ჩიკვაიძე არ ეპრიანებოდა, მაგრამ იძულებული იყო მისთვის ელისაბედთან სიარული არ აეკრძალა, რადგანაც ჩიკვაიძე მისი დის სახლ-მამულის გამგე იყო, მაგრამ კრებებსა და სადილებზე ჩიკვაიძე ილიასთან ერთხელაც არ მინახავს.

როგორც აღვნიშნე, ოლგას და ელისაბედს ერთმანეთი სძულდათ, მაგრამ ილია ერთსაც და მეორესაც დიდად უყვარდა. ელისაბედი დარწმუნებული



იყო, რომ ოლგა სულელია და ილიას შესაფერი არ არის, და ამ თავის რწმენას ყველას დაუფარავად უზიარებდა.

ერთხელ ილიას ოჯახში მივედი. სახლში მხოლოდ ელისაბედი იყო. შემიწვია სასტუმრო ოთახში და ფანჯარასთან დავსხედით, ორივე ილიას ველოდებოდით და ქუჩისკენ ვიმზირებოდით. ამ დროს გამოჩნდა გზად მომავალი ოლგა. ელისაბედმა მითხრა: „აი, აგერ მოდის ეს სულელი, განა ჩემს ილიას ასეთი ცოლი ეკადრება?!“.

ოლგა კი მულზე არავის ძვირს არ ეტყოდა, მხოლოდ ელენე ჯაბადართან იტირებდა ხოლმე თავის მდგომარეობისა და ილიას დის აუტანელი ქცევის

გამო. ოლგა ზედმიწევნით პატიოსანი და კაცთმოყვარე ადამიანი იყო: ზრდილი, სათნოიანი, თავდაჭერილი, თავმდაბალი და თავდადებული საზოგადო საქმისათვის. ის აწყობდა ლატარიებს, საღამოებს და ფულს აგროვებდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და სხვა საქველმოქმედო დაწესებულებებისათვის. მზრუნველად იყო ამიერ-კავკასიის საქალებო ინსტიტუტში და იქ ბევრ ქართველ ქალს ათავსებდა სასწავლებლად. ამასთანავე თავის წვლილს ხშირად ურიგებდა გაჭირვებულებს. ჩვენი სათავად-აზნაურო სკოლის პანსიონისათვის საგურამოდან ბევრ სანოვაგეს, ხილსა და ღვინოს გვიგზავნიდა ყოველწლივ.

ელისაბედი კი ერთობ ხელმოჭერილი და ძუნწი ქალი იყო. ზოგჯერ მისი ასეთი ზნე სულ მცირე ქცევაშიც იხატებოდა. ერთხელ ელენე ჯაბადარმა მიამბო და ბევრი მაცინა:

როდესაც პარიზში მსოფლიო გამოფენა გაიმართა, ილიამ გადასწყვიტა პარიზში გამოფენის სანახავად მარტო წასულიყო, მაგრამ ოლგამ აიმაღლა ხმა: „როგორ, შენ მარტო გინდა წახვიდე და მე აქ დამტოვო? არა, მეც უსათუოდ უხდა წამოვიდეო!“ აგრეთვე გამოფენაზე წასვლის სურვილი ელისაბედმაც განაცხადა, მაგრამ ილია-ოლგასა და ელისაბედის ერთად წასვლა შეუძლებელი იყო, ამიტომ ცოლ-ქმართ სთხოვეს ელენე ჯაბადარს, რომ ელისაბედს გაყოლოდა პარიზმი. ელენე დათანხმდა, ყველანი პარიზში გაემგზავრნენ. ელისაბედმა ქართული ტანისამოსი არ გაიხადა და ქართული კაბითა და თავსაკრავით დარჩა. ამის გამო პარიზის ქუჩებში ბევრი ხალხი დაედევნა, რომ კარგად დაეთვალიერებინათ ეს მათთვის უჩვეულო ჩაცმულობა. ელისაბედი კი ჯავრობდა: „რა უნდათ ამ მამაძაღლებს ჩემგანაო“.

პარიზში ელენე და ელისაბედი ერთ იაფფასიან სასტუმროში მეოთხე სართულზე მოთავსდნენ. იმ დროს პარიზში იყო ნიკო ღოღობერიძეც. მან ინახულა რა ილია და ოლგა, მათგან მეიტყო, რომ ელისაბედიც პარიზშია, და წავიდა მასთან ვიზიტად. ნიკო იმ დროს ხანში შესული კაცი იყო და გულის სისუსტეს უჩიოდა. მეოთხე სართულზე ასვლამ ცუდად იმოქმედა მის გულზე. და, როდესაც ის ელისაბედთან მივიდა და მიესალმა, ორი-სამი წუთის შემდეგ გული წაუვიდა. შეშინებულმა ელენე ჯაბადარმა საჩქაროდ სტაცა ხელი ოდეკოლონის შუშას, რომ ესხურებინა ნიკოსათვის. აღმოჩნდა, რომ ეს ოდეკოლონი ელისაბედისა ყოფილა და ელენესი კი იმავე მაგიდაზე უფრო



შორს მდგარა. ელენემ ეს სიჩქარის გამო ვერ შეამჩნია, მაგრამ ვლისაბედმა მიაძახა: „არა, არა, შენი, შენი ოდეკოლონი ახმარეო!“.

ეს სასაცილო წვრილმანი კარგად ახასიათებს ელისაბედის ხელმომჭირნეობას.

რას უშვრებოდა თავის შემოსავალს ელისაბედი, ან რა ხარჯს ეწეოდა ილიასთან ცხოვრების დროს, არ ვიცი. ერთი კი ცხადია, რომ ილია მის სახლში ცხოვრობდა და ქირას არ იხდიდა. ისე თავის საჭირო-სანოვაგე, პური, ღვინო, ხილი, ქათამი, გოჭი, ინდოური და სხვა სულ ოლგას მამულიდან (საგურამოდან) მოსდიოდათ.

## ილია საგურამოს მამულში

ილიას გაგიჟებით უყვარდა საგურამოს მამული. აქ მან მშვენიერი სახლი აიშენა. ადგილი შესანიშნავი იყო: ლამაზი მდებარეობით, მდიდარი მოსავლითა და ჰაერითაც მშვენიერი. მაგრამ მეურნეობას მოურავის ხელით აწარმოებდა და დიდ შემოსავალს ვერა ღებულობდა.

ილია გატაცების კაცი იყო მეურნეობაში: რა წამს წაიკითხავდა გაზეთში ახალი იარაღის შემოღების შესახებ, ყოველთვის გამოიწერდა და გაუგზავნიდა მოურავს. მოურავებმა მათი ხმარება არ იცოდნენ და მოკლე დროში იარაღი ფუჭდებოდა: ხან ერთი ხრახნი დაეკარგებოდა, ხან მეორე და მისი გამკეთებელი კი საგურამოში არავინ იყო.

მახსოვს, ერთხელ ილიამ და ივანე პოლტორაცკიმ რუსეთიდან ინკუბატორები გამოიწერეს და თავთავიანთ სოფლებში გაგზავნეს: ილიამ – საგურამოში, ივანემ კი – ოქროყანაში. ილიას ინკუბატორი ხელსაყრელად მიაჩნდა: „კრუხი 25-30 წიწილს თუ გამოჩეკს, ინკუბატორი ხუთასზე მეტს გამოჩეკავსო“. შეაგროვეს კვერცხები და ინკუბატორში ჩააწყეს. წიწილები მართლა გამოიჩიკა, მაგრამ მათ სხვანაირი მოვლა სჭირდებოდათ და, რაკი ამის მცოდნე კაცი არავინ იყო, ყველა ნელ–ნელა გაწყდა. პოლტორაცკიმ ინკუბატორებს თავი მიანება, მაგრამ ალიამ, როგორც მითხრეს, ბოლოს და ბოლოს იშოვა სპეციალისტი და ქათმები მოამრავლა.

საგურამოს სახლის აშენება და მეურნეობის მოწყობა ილიას ძვირად დაუჯდა, რის გამოც ვალებში ჩავარდა. ერთხელ მე და ნიკო ცხვედაძეს გვიამბო. „მე ჭკვიან კაცს მეძახიან, მაგრამ, რომ დავფიქრდები, ვრწმუნდები, რომ ჭკუა არ მქონია. საგურამოს სახლის აშენება და მოწყობა 40.000 მანეთი დამიჯდა. ამ ფულით თბილისში ორ დიდ სახლს ავაშენებდი და მათი შემოსავალი მარჩენდა, ეხლა კი ვალებში ვარ ჩავარდნილიო“.

ილიას არ უჯერებდნენ როდესაც ამბობდა: „ვალები მაქვს და გაზეთ „ივერიის“ გამოცემა უფრო ახალ-ახალ ვალებს მიმატებს, რადგან შემოსავალი არ ფარავს გამოცემის ხარჯს და ჩემ ფულს ვადებო“. მაგრამ ბოლოს გამოირკვა, რომ ილია მართალს ამბობდა. როგორც ცნობილია, ილიამ „ივერიის“ გამოცემა გადასცა ინტელიგენტთა ერთ პატარა ჯგუფს, რომელსაც ალექსანდრე ივანეს-ძე სარაჯიშვილი მეთაურობდა მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ უსახ-



სრობის გამო ამ წრემ მიატოვა მისი გამოცემა, თუმცა ალექსანდრე სარაჯიშვილი დიდი ხელმომჭირნე და თადარიგის კაცი იყო. როცა ილია ტრაღიკულად გარდაიცვალა და მისი ქონება ანდერძის ძალით წერა-კითხვის საზოგადოებას გადაეცა, საზოგადოების დანიშნულმა კომისიამ გამოარკვია, რომ ილიას ქონება ხარჯების და ვალების დაფარვის შემდეგ დიდს არაფერს წარმოადგენდა.

ილიას ცხოვრების უკანსკნელი წლების ამბები ნაკლებად ვიცი. როდესაც ილიამ ბანკს თავი დაანება და ის უმაღლესი საბჭოს წევრად აირჩიეს, მე

მას იშვიათად ვხვდებოდი. იმ დროს ილია თავის დის სახლში ნიკოლოზის ქუ-ჩაზე აღარ ცხოვრობდა, მას ანდრეევსკის ქუჩაზე (ახლა ორჯონიკიძის ქუჩა) ეყიდა მცირე სახლი და მის მოწყობას და გაფართოებას ლამობდა. მე მის ახალ სახლში ერთხელაც არა ვყოფილვარ და არ ვიცი, რას წარმოადგენდა ეს ბინა. ჩემთვის საკვირველი და გაუგებარი ის იყო, თუ რამ აიძულა ილია, რომ მან მიატოვა თავის დის სახლი, ის სახლი, რომელიც მან თვითონ ააშენა და საგანგებოდ თავის კაბინეტი იქ მოაწყო და თავის სიცოცხლის დასრულებასაც ამ სახლში ელოდა? მაგრამ ერთი რამ ცხადია: ილიას და მის დას შორის რა-ღაც დიდი კონფლიქტი უნდა მომხდარიყოს. ეტყობა, შეუძლებელი გახდა ამ კონფლიქტის გადალახვა და ილია იძულებული გახდა ცალკე ბინაზე გადასუ-ლიყო. ელენე ჯაბადარი იმ დროს ჩემთან, სათავად-აზნაურო სკოლაში, აღარ იყო. მოხუცებულობის გამო მან თავი დაანება ჩვენს გიმნაზიაში სამსახურს და გადასახლდა სოფელ საგარეჯოში თავის ერთად-ერთ ქალთან და სიძესთან, სავიჩთან, რომელიც ჩრდილო-კავკასიაში ჯერ გიმნაზიის მასწავლებლად მუშა-ობდა და შემდეგ კი დარექტორად. ელენეს ორი შვილიშვილი (ქალ-ვაჟი) ჰყავდა. ის ერთხელაც აღარ მოსულა თბილისში თორემ მისგან გავიგებდი დის სახლიდან ილიას გადასახლების მიზეზს. მე მგონია, ელენესა და ოლგას შორის მიწერ-მოწერა უნდა ყოფილიყო და ოლგა თავის მეგობარს, რასაკვირ-ველია, ყკელაფერს გულახდილად მისწერდა.

### ილია კარტისა და ნარდის თამაშში

ილია მოყვარული იყო კარტისა და ნარდის თამაშისა.

ქაღალდის თამაში მეტნაწილად კლუბმი მიმდინარეობდა. ჩემს დროს თბილისში სამი კლუბი არსებობდა. ერთს საზნაურო კლუბს ეძახდნენ, იგი გიორგი მუხრან-ბატონის სახლში იყო მოთავსებული. ამ კლუბს მეტ სახელად „ბურდუჩნი კლუბს“ უწოდებდნენ. წევრებად ყველა ჯურის ხალხს იღებდნენ. არეული იყვნენ ქართველები, სომხები და რუსები. რაკი ამ კლუბს დიდძალი წევრები ჰყავდა, შემოსავალიც კარგი ჰქონდა. აკაკი წერეთელი მეტნაწილად აქ თამაშობდა კარტს, ილია კი – არა.

მეორე კლუბი უფრო არისტოკრატიული იყო და მისი წევრები უმეტესად იყვნენ რუსი ჩინოვნიკები, არა ჩინოვნიკს ნამეტნავად კი სომხებს ძნელად ირ-ჩევდნენ. ამ კლუბს ერქვა „„Тифлисский кружок“. ილია მის წევრად ითვლებოდა, მაგრამ ქაღალდის სათამაშოდ მხოლოდ იშვიათად შეივლიდა სა-



ზაფხულო ბაღში. საზამთრო „კრუჟოკი“ მოთავსებული იყო ყოფილ გოლოვი-ნის პროსპექტზე, არტისტული საზოგადოების თეატრის პირდაპირ (ეხლა იქ წითელი არმიის სასახლეა) და ყველას სასიხარულოდ მიაჩნდა ამ „კრუჟოკის“ წევრად ყოფნა.

მესამე კლუბი მოთავსებული იყო ახლანდელ რუსთაველის თეატრის შე-ნობაში და „Артистический клуб“ ს ეძახდნენ. აქ იმართებოდა ხშირად კარ-ტის დიდი თამამი და ილიაც ხშირად აქ დაიარებოდა სათამაშოდ, მეტადრე

მაშინ, როდესაც ბაქოდან მდიდარი მენავთე ვაჭრები ჩამოდიოდნენ. მათ სასიამოვნოდ მიაჩნდათ კარტის თამაში ისეთ გამოჩენილ კაცთან, როგორიც ილია იყო; ფულის წაგებას მაინცდამაინც არაფრად აგდებდნენ.

უფრო ხშირად ილია თამამობდა იმ წრეში, რომელსაც მეთაურობდა კოლა ერისთავი (ნიკოლაი რევაზიჩი), ნიკოლოზ ბარათაშვილის დისწული, რომელსაც მეტ სახელად „ცუნცულაძეს“ ეძახდნენ. ის ტანწვრილი იყო, მაღალი, კარგი შესახედავი და სიმპათიური ადამიანი, ცოლად ჰყავდა დიდად შეძლებული ვაჭრის თამამშევის ქალი ეკატერინე მიხეილის ასული. როგორც დათიკო მელიქიშვილმა გაღმომცა, კოლა ერისთავს „ცუნცულაძე“ დრამატურგმა დავით ერისთავმა შეარქვა, ვინაიდან ნამეტანი მსუბუქი, მაგრამ ჩქარი სიარული იცოდა.

ზოგჯერ ის ქართველ ჟურნალისტებს, რედაქტორებს და გაზეთის თანამშრომლებს ჰპატიჟობდა, უმასპინძლდებოდა კარგი სადილებით. ერთი ასეთი სადილის შემდეგ ის ერთ ქართულ გაზეთში მეცენატად იყო გამოცხადებული. რამდენიმე დღის შემდეგ მას შევხვდი დავით მელიქიშვილის ოჯახში და ვუთხარი: „მესიამოვნა, რომ თქვენი ქება ამოვიკითხე გაზეთში“-მეთქი. მან მეთხრა: „არა, ჩვენში სახელის მოხვეჭა ადვილი ყოფილა, ერთი სადილი ვაჭამე ჟურნალისტებს და მეცენატი გავხდიო“. მაგრამ ესეც უნდა ითქვას, რომ ის მართლაც ერთგვარი მეცენატი გახდა – დიდი მონაწილეობა მიიღო თავის დედის ძმის, ჩვენი სახელოვანი ნიკო ბარათაშვილის გადმოსვენებაში და მანვე იკისრა პოეტის თხზულებათა აკადემიური გამოცემაც, რომელიც კოლა ერისთავის გარდაცვალების შემდეგ მისმა სიმპათიურმა მეუღლემ განახორციელა.

ჩემს დროს კოლა ერისთავი სამსახურში არ იყო. საზოგადოებაში კარგი პატივისცემა ჰქონდა: თავად-აზნაურობა თუ სადმე დეპუტაციას გაგზავნიდა, დეპუტატად სხვებთან ერთად მასაც ირჩევდნენ. მის სახლში იმართებოდა კარტის თამაში, რომელიც საღამოდან დაწყებული დილამდის და ზოგჯერ მეორე დღის სადილობამდეც გრძელდებოდა. კოლასაგან ხშირად გამიგონია: „დილას, როდესაც ჩვენ, სხვა მოთამაშენი, დაქანცულნი ვართ ღამის თევით, ილია სწორედ მაშინ არის ყველაზე ფხიზელი, დაუღალავი და თამაშის გაგრძელების იშტაზე მოსული. იგი ხშირად გვიგებს ხოლმეო“.

მაგრამ სადაც მოგება, იქვეა წაგება.

ერთი წაგების გამო ილიამ მოგვითხრო შემდეგი სასაცილო ამბავი: როდესაც კარტის თამაშიდან დილით სახლში ვბრუნდებოდი, მეკარეს ვაჩუქებდი



ხოლმე ერთს ან ორ მანეთს, მაგრამ ერთ საღამოს არაჩვეულებრივად დიდი ფული (1000 მანეთი) წავაგე და ჯიბეში მარტო ერთი თუმანი-ღა დამრჩა. მე–კარემ კარი გამიღო და მომესალმა. მე აღარ მინდოდა წაგებული ფულის ნაშთი დამრჩენოდა ჯიბეში და ის თუმანი მას გადავეცი. გახარებულმა იფიქრა; ალბათ, დიდი ფული მოვიგე, ასწია ზემოთ ორივე ხელე და მითხრა: „Дай бог, барин, вам всегда так выигривать!“ – ამრიგად, დალოცვის მაგიერ წყევლა მივიღეო.

კოლა ერისთავი, როდესაც თავის სახლში არ თამაშობდა კარტს, ყოველ საღამოს „არტისტულ კლუბში“ მიდიოდა სათამაშოდ. ეტყობა, დახელოვნებული მოთამაშე იყო, რომ უმეტეს შემთხვევაში იგებდა. უბედური ბოლოს და ბოლოს ამ კარტის თამაშს შეაკვდა: ერთ ღამეს კლუბიდან დაბრუნებულს წაგების შემდეგ გული გაუსკდა და უცებ გარდაიცვალა.

ნარდის თამაშში ილიას ხშირი პარტნიორი იყო დავით ბარათაშვილი, დიდი მემამულე და დიდი შემლებული, მასთან კარგი ქართველი და პატრიოტი. მან დიდი დახმარება აღმომიჩინა საბარათაშვილოში არქეოლოგიური მოგზაურობის დროს და აუარებელი სიგელ-გუჯრები გადმომცა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის. ის ილიასავით დახელოვნებული არ იყო ნარდის თამშში და ყოველთვის აგებდა ხოლმე. კარტს არ თამაშობდა. ერთხელ მას ილიასთან ცოტა კონფლიქტი მოუვიდა. იმ დროს გაზეთ „ივერიის“ ფაქტიური ხელმძღვანელი იყო დავით მიქელაძე („მეველე“). მან რაღაც მიზეზით შეურაცხყოფა მიაყენა დავით ბარათაშვილს. ეს უკანასკნელი კი ილიას დაემდურა, რომ მან „მეველე“ არ დაითხოვა „ივერიის“ ხელ–მძღვანელობისაგან.

დავით ბარათაშვილს ჰქონდა სხვა პრეტენზიებიც და ერთი ახირებული ჩეეულება: აუარებელ, ყოვლად უნიჭო ლექსებსა წერდა, მისი კითხვით თავს გვაბეზრებდა. ამასთანავე გაუთავებელი ლაპარაკი იცოდა. ლაპარაკის დროს ექსტაზში შედიოდა და მსმენელის ყურადღება რომ მიექცია, მას მაგრად დაარტყამდა ხელს მუხლზე. ერთხელ ილიამ გვიამბო: დავით ბარათაშვილს ეგზარხოსთან რაღაც საქმე ჰქონდა ეკლესიის მხრით სადაო მამულების შესახებ, ჩამაციედა: ეგზარხოსთან გამომყეო. ხათრი ვერ გავუტეხე, წავყე და წარუდგინე ეგზარხოს. დაიწყო ლაპარაკი, თანდათან უმატა ხმას. და ექსტაზში შესულმა ეგზარხოსს ისე დაარტყა ხელი მუხლზე, რომ იგი შეკრთა; მივაძახე ქართულად: დათიკო, რას ჩადიხარ? მაგრამ რაღა დროს იყო? ეგზარზოსმა მე შემომხედა, თითქო მეუბნებოდა: ეს რა ახირებული კაცი მომიყვანეო.

**ილიას მონაწილეობა ჩემსა და თ. ჟორდანიას სამედიატორო სამართალში**

როდესაც ისტორიკოსი დიმიტრი ზაქარიას-ძე ბაქრაძე გავიცანი, მაშინ მას უკვე დამტკიცებული ჰქონდა თბილისის საეკლესიო მუზეუმის წესდების რუსული ტექსტი, მაგრამ ის ქართულად არც გადმოთარგმნილი იყო და არც დაბეჭდილი. დიმიტრი ბაქრაძემ მომცა ეს წესდება და მთხოვა, რომ გადმომეთარგმნა ქართულად და მიმეცა დასაბეჭდად, რაც პირნათლად ავასრულე.



საეკლესიო მუზეუმის გახსნა ოფიციალურად ეგზარხოსმა პალლადიმ დაუკავშირა დიდ ზეიმს, 15 ივლისს 1888 წელს, როდესაც იდღესასწაულეს 900 წლის შესრულება რუსეთის მიერ ქრისტიანობის მიღებისა. მაგრამ ამ დროს მუზეუმის წესდება ჯერ კიდევ დამტკიცებული არ იყო რუსეთის სინოდის მიერ. მიუხედავად ამისა კრება შედგა 3 ივნისს 1888 წელს და აირჩიეს მუზეუმის კომიტეტის თავმჯდომარედ დ. ბაქრაძე, წევრებად თ. ჟორდანია,

პოლიევკტო კარბელაშვილი და იერომონახი ლეონიდე. მაგრამ ბაქრაძე ფაქტიურად თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებას შეუდგა 1889 წლის 24 იანვრიდან, როდესაც სინოდმა მუზეუმის წესდება დაამტკიცა. პირველი კრება გაიხსნა იმავე წლის 13 თებერვალს. კრებას დაესწრნენ გარდა თავმჯდომარისა ნ. კალისტოვი, მდივანი კომიტეტისა, და თ. ჟორდანია. ამ კრებაზე ბაქრაძის წინადადებით წევრებად აგვირჩიეს მე და ნიკო მთვარელიშვილი, რომელიც იმ ხანად ქართული ენის მასწავლებელი იყო სათავად-აზნაურო სკოლაში. მას სასულიერო აკადემია ჰქონდა დამთავრებული და საისტორიო კვლევა-ძიებას მისდევდა. სხვათა შორის მას დაწერილი ჰქონდა საყურადღებო სტატია ანტონ I კათალეკოსის შესახებ, სინოდის კანტორის არქივის ახალი მასალების მიხედვით.

კომიტეტის მოქმედება იმით დაიწყო, რომ დ. ბაქრაძე და მე მცხეთაში წავედით და იქიდან საეკლესიო მუზეუმში გადმოვიტანეთ მთელი კოლექცია საყურადღებო ხელნაწერებისა (საეკლესიო მუზეუმი მაშინ მოთავსებული იყო სიონის ტაძრის ეზოში), კომიტეტის მდივნად ავირჩიეთ თედო ჟორდანია და მას ჩაბარდა ხელწერილით ეს ჩამოტანილი ხელნაწერები, რომლებიც საფუძვლად დაედო საეკლესიო მუზეუმის ბიბლიოთეკას.

შემდეგ დ. ბაქრაძე და ნ. კალისტოვი გაემგზავრენ დავით გარეჯისა და აოანე ნათლისმცემლის მონასტრებში. იქიდან ჩამოიტანეს ხელნაწერები და ნივთები და ჩააბარეს თ. ჟორდანიას. ამის შემდეგ დ. ბაქრაძის სიცოცხლეში არც ერთი მონასტრიდან არაფერი არ ჩამოუტანიათ და არც არაფერი გამოუცია საეკლესიო მუზეუმს. ამის მიზეზი იყო ინტრიგები დეკანოზის ესტატე ელიევისა რომელიც თავმჯდომარეობდა სიონის ტაძართან არსებულ ღვთისმშობლის ძმობის საზოგადოებას (საეკლესიო მუზეუმი ამ ძმობის განყოფილებას შეადგენდა ოფიციალურად). ესტატე ელიევი ყურმოჭრილი ყმა იყო ყველა ეგზარხოსისა, მათი ზრახვებისა და ინტერესების თავგამოდებული დამცველი. ერთ კრებაზე მან საყვედური გამოგვიცხადა, რომ მას ყურადღებას არ ვაქცევთ, არაფერს ვეკითხებით და სხვა. ბაქრაძემ უთხრა: არ ვიცი რაში გამოიხატა ჩვენი უყურადღებობა, ჩვენ პატივისცემით გეპყრობით, როგორც ჩვენს უფროსს, ღვთისმშობლის ძმობის თავმჯდომარეს, თუ რაიმეს კარგს გვირჩევ, ყურადღებით მოვისმენთ და ავასრულებთო. მიუხედავად ამისა, მან ყოველი სუბსიდია მოგვისპო, ფული არ გვაქვსო (ეს არ იყო მართალი ეგზარხოსის განკარგულებაში საკმაო თანხა იყო ყოველთვის და ძმობა იღებდა მისგან სუბსიდიას). ყველა ამ ამბავმა ცუდად იმოქმედა დ. ბაქრაძეზე და მან გადასწყვიტა უარი ეთქვა თავმჯდომარეობაზე, მაგრამ მე და ნ. მთვარელიშვილმა როგორც იქნა დავაჯერეთ, რომ ეს არ ჩაედინა. ჩვენ ვეუბნებოდით: ელიევი



ყოველთვის არ იქნება ძმობის თავმჯდომარე, ფულის შესახებ ჩვენ შეგვიძლია უმისოდაც აღვძრათ შუამდგომლობა ეგზარხოსის წინაშე და სხვა. სამწუხაროდ, ამის შემდეგ დ. ბაქრაძეს დიდხანს აღარ უცოცხლია, ის მიიცვალა 10 თებერვალს, 1890 წელს. კომიტეტის თავმჯდომარედ იყო მხოლოდ ერთ წელს და შვიდ თვეს. მის მოადგილედ ეგზარხოსმა დანიშნა არქიმანდრიტი ნი-

კოლოზ, სრულიად უვიცი არქეოლოგიაში. მე და ნ. მთვარელიშვილი თ. ჟორ-
დანიასთან კონფლიქტის შემდეგ ფაქტიურად ჩამოვშორდით საეკლესიო მუ-
ზეუმს.

კომიტეტი კვირაში ერთხელ იკრიბებოდა და მსჯელობდა მუზეუმის მო-
წყობის შესახებ. ეს მუშაობა რიგიანად მიდიოდა, მანამ ცოცხალი იყო დიმიტ-
რი ბაქრაძე, ის შესანიშნავი ადამიანი, ქართული კულტურის კარგი მცოდნე,
დამსახურებული არქეოლოგი და ისტორიკოსი.

ერთ დღეს ზაფხულში ალექსი მუსხელიშვილმა შემოსწირა წერა-კითხვის
საზოგადოებას მთელი კრება ხელნაწერებისა, რომელთა შორის აღმოჩნდა ე. წ.
„შატბერდის კრებული“. ამ კრებულში სხვა მნიშვნელოვან ძეგლთა შორის
მოთავსებული იყო „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. მაშინ, მე თბილისში არ ვიყა-
ვი, ნიკო მარი მოსულიყო წერა-კითხვის საზოგადოებაში, ეს შემოწირული
ხელნაწერები ენახა და აღენუსხა კატალოგში, ნ. მარის აღწერილობიდან გავი-
გეთ არსებობა „ქართლის მოქცევის“ მატიანისა, რომელიც შესდგებოდა მცი-
რე ქრონიკისა და ნინოს მიერ ქართლის გაქრისტიანებისა. ხელნაწერს ბოლო
აკლდა, არც თარიღი ჰქონდა, მაგრამ პალეოგრაფიული ხასიათის მიხედვით
დ. ბაქრაძემ ის მეცხრე საუკუნის ძეგლად გამოაცხადა. ამას, რასაკვირველია,
დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის, ვინაიდან არც ერ-
თი ჩვენამდის მოღწეული „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერი იმ ჟამად მე-
ჩვიდმეტე საუკუნეზე ადრინდელი არ იყო. სწორედ იმ დროს გამოვიდა პრო-
ფესორ პატკანოვის სტატია „ქართლის ცხოვრების“ შესახებ, სადაც იგი ამტკი-
ცებდა, რომ ქართველებს ძველი ქართული საისტორიო ძეგლები XI-XII სა-
უკუნემდე არა ჰქონდათ და მათი თავდაპირველი წერილობითი ისტორია, ამჟა-
მად ლეონტი მროველის სახელით ცნობილი, სომხის ბერის მიერ არის შედგე-
ნილიო. ეხლა კი „შატბერდის კრებულის“ აღმოჩენით დ. ბაქრაძე და სხვები
ამტკიცებდნენ, რომ მატიანესებური ისტორიული ძეგლი უკვე მეცხრე საუკუ-
ნეში არსებობდა. ილია ჭავჭავაძე პროფესორ პატკანოვთან კამათის დროს
„ქვათა ღაღადში“ ძირითადად ამას დაეყრდნო და ეს რელიეფურად აღნიშნა.
ხელნაწერს სტატიები უძღვნეს ბაქრაძის გარდა თედო ჟორდანიამ, მოსე ჯა-
ნაშვილმა და პოლეოქტო კარბელაშვილმა, რომელნიც აგრეთვე ერთხმად აღ-
ნიშნავდნენ, რომ შატბერდის ხელნაწერი მეცხრე საუკუნეს ეკუთვნის.

1889 წელს ალექსი ჭიჭინაძემ მიმიპატიჟა სურამში იმ სათავადაზნაურო
სკოლის შეგირდების რეპეტიტორად, რომელთაც სექტემბრის დამდეგს სახელ-
მწიფო გიმნაზიაში ეგზამენი უნდა დაეჭირათ. თავისუფალ დროს მე ვათვა-
ლიერებდი არქეოლოგიური თვალსაზრისით სურამის არემარეს. ერთ დღეს
შემთხეევით სოფელ ქვემოჭალაში (ხაშურის მახლობლად) მღვდელ სუხიევის
სახლში აღმოვაჩინე ერთი დიდმნიშვნელოვანი ხელნაწერი, რომელიც სახარე-



ბის ტექსტს შეიცავდა. ეს ხელნაწერიც იმავე შატბერდის მონასტერში იყო გა-
დაწერილი და იმავე მწერლის მიერ, რომელსაც გადაეწერა მესხიშვილის შე-
მოწირული „შატბერდის კრებული“. მისი გადამწერია იოანე ბერაი. ხელნა-
წერს ჩვენდა სასიხარულოდ აღმოაჩნდა გარკვეული თარიღი, რომლის მიხედ-

ვით სახარება გადაწერილი აღმოჩნდა 973 წელში. ამით აშკარა გახდა, რომ „შატბერდის კრებული“ მეცხრე საუკუნეს კი არ ეკუთვნის, როგორც დ. ბაქრაძე ამტკიცებდა, არამედ – მეათეს. ამ ხელნაწერს ვუწოდე „პარხალის სახარება“, ვინაიდან გადამწერს იგი შეეწირა ახლად მეათე საუკუნეში აშენებული პარხალის მონასტრისათვის.

იქვე მე ვნახე სხვა საყურადღებო ძეგლებიც და ყველა ამის შესახებ წავიკითხე მოხსენება საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის კრებაზე. იმის ცხადყოფამ, რომ „მატბერდის კრებული“ მეათე საუკუნეს ეკუთვნის და არა მეცხრეს, ცოტა არ იყოს მსმენელთა აღფრთოვანება შეანელა. ეს ამბავი არც დ. ბაქრაძეს ესიამოვნა და ერთხელ ილიამაც თქვა: „ყველას ყური გამოუჭედეთ „შატბერდის კრებული“ მეცხრე საუკუნის არისო და ნამდვილად კი მეათესი ყოფილაო“.

მე განვიზრახე ერთ წიგნად გამომეცა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, სუმბატ დავითის-ძის „ქრონიკა ტაოკლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ“ და მესხური დავითნის ქრონიკა. ეს განხრახვა განვუცხადე დიმიტრი ბაქრაძესა და კომიტეტის წევრებს. თედო ჟორდანიას გადმოწერილი ჰქონდა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და მან იმ კრებაზე, სადაც ჩემი განზრახვა გაკუზიარე კომიტეტს, უჩვენა დიმიტრი ბაქრაძეს ხელნაწერში შებღალული სიტყვები და ფრაზები, რომელიც ძნელად იკითხებოდა და ამიტომ გაუშიფრავი დაეტოვებინა თავის რვეულში. მე ვუთხარი: „ზოგიერთი სიტყვები ამ ადგილებისა გავარჩიე და ისინი საერთოდ განვიხილოთ გამოცემის დროს-მეთქი“. ჟორდანიამ მითხრა: „რაკი შენ ამის გამოცემას აპირებ, ჩემი რვეულიც თან წაიღე და ხელნაწერს შეუდარეო“. მე მადლობა ვუთხარი და გამოვართვი. როდესაც ტექსტის გამოცემას შევუდექი, დიმიტრი ბაქრაძე გარდაიცვალა და ჩვენი კრებებიც შეწყდა.

1890 წელს გამოვიდა ჩემი „სამი ისტორიული ქრონიკა“, ხოლო 1891 წელს „ქართლის მოქცევის“ მეორე ნაწილი „წმინდა ნინოს ცხოვრება“; ამან დიდი ინტერესი გამოიწვია ჩეენს საზოგადოებაში, ვინაიდან გამოცემათა წინასიტყვაობებში მრავალი ახალი საკითხი იყო გაშუქებული ჩვენი ისტორიული ძეგლებისა და საისტორიო წყაროების შესახებ. მაგრამ თედო ჟორდანიამ, მოსე ჯანაშვილმა და პოლიევქტო კარბელაშვილმა ჩემს წინააღმდეგ გაზ. „ივერიაში“ მოათავსეს კრიტიკული წერილები. მოსე ჯანაშეილმა ცალკე ბროშურაში აღნუსხა ჩემს მიერ გამოცემული ტექსტის „შეცდომები“, რომელიც უმეტეს ნაწილად კორექტურული ხასიათისა იყო, და დაარქვა სახელად „აღვადგინე“. თ. ჟორდანია შეეცადა საერთოდ ჩემ მიერ გამოთქმული მოსაზრებების გაბათილებას და ამას გარდა ამტკიცებდა, თითქოს მე უვიცი ვარ და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკის ხელნაწერთა აღწერილობის შედგენა არ შემიძლია.



წერა-კითხვის საზოგადოების ხელნაწერთა კატალოგის შედგენა მე მქონდა მინდობილი გამგეობის მიერ და კიდეც დავიწყე აღწერილობა, მაგრამ როდესაც გაზ. „ივერიაში“ ჩემს წინააღმდეგ მკვლევარებმა აურზაური ასტეხეს, გადავწყვიტე რუსულად შემედგინა კატალოგი ვინაიდან

ტექსტის დაბეჭდვის საშუალება მქონდა „პაპეჩიტელის“ ორგანოში: „Сборник Материалов для описания местностей и племен Кавказа“, რომელსაც რედაქტორობდა ჩემი დიდი მეგობარი, კავკასოლოგი ლევ გრიგოლის-ძე ლოპატინსკი. ამან ქართულ საქმეს ავნო, ვინაიდან რუსულად თარგმნა ძველი ქართული ტექსტებისა არც ისე ადვილი იყო, ბევრ დროს თხოულობდა, ზოგიერთ ტექსტების თარგმნას ვერც ვერეოდი ჯეროვნად (მაგალითად „სამეფო კარის გარიგების“ ტექსტის თარგმნა რუსულად მე და ნიკო მარმა ერთად დავიწყეთ, მაგრამ ვერ დავასრულეთ, რადგანაც ძლივს ვერეოდით და თარგმნა ბევრ დროს თხოულობდა, ნ. მარს დრო არა ჰქონდა თბილისში დარჩენილიყო). ამას გარდა „სბორნიკებში“ დიდ ადგილს ვერ გვითმობდნენ, რადგანაც სხვა მასალებიც ბევრი იბეჭდებოდა*). ამ მიზეზების გამო ყველა ხელნაწერის აღწერა ვერ მოვასწარი. გამოვეცი მხოლოდ ორი დიდი ტომი, თითო ოთხი ნაკვეთისაგან შემდგარი. მარტო ქართულად რომ მებეჭდა, მაშინ იგი დასრულებული მექნებოდა.

თედო ჟორდანია ჩვეულებრივ გაკიცხვასაც არ დასჯერდა და ცილი დამწამა წერილობით, გაზეთში, ვითომც მას ჩემთვის რვეული არ უთხოვებია, ილია ჭავჭავაძეს ათხოვა და შემდეგ მან ჩემს სახლში შემთხვევით ნახა.

მე საპასუხო წერილი მოვათავსე გაზ. „ივერიაში“ და განვაცხადე, რომ მე და ბ-ნი ჟორდანია გაზეთის საშუალებით ვერ გავსწორდღებით, თუ თვითონ ბ-მა ჟორდანიამ არ უარჰყო გცილისწამება-მეთქი. იმავე წერილშეა ვთხოეე ნ. მთვარელიშვილს გაზეთის საშუალებით აღენიშნა, რაც იცოდა ამ საქმის შესახებ. აი, ეს ჩემი წერილი:

### წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნ თ. ჟორდანიამ ჩემდა პასუხად დაბეჭდა თქვენს გაზეთში ვრცელი წერილი შემდეგის სათაურით: „რა მნიშვნელობა აქვს ჩვენს ძველს მწერლობას მსოფლიო მწერლობაში და როგორ უნდა შესდგეს სამეცნიერო კატალოგი ჩვენის ხელნაწერებისა“ („ივერია“ №№ 229, 230, 231. 232 და 233). ხსენებულს წერილებში ბ-ნმა ჟორდანიამ ბევრი უმართლო ბრალი დაგვდვა, ბევრი ისეთი აზრი გვაკუთვნა, რომელიც ჩვენ არ გვეკუთვნის და არ გამოგვითქვამს, და კიდევ უფრო ბევრი ცილი დაგვწამა. ყველა ამის პასუხს თავის დროზე წარმოვუდგენ „ივერიის“ რედაქციას. ხოლო ეხლა ვთხოულობ გადაჭრილს პასუხს ბ-ნ ჟორდა-

*) ისე კი უნდა გითხრათ, რომ პირადად ჩემთვის „აღწერილობის“ ბეჭდვა რუსულად ხელსაყრელი იყო, ვინაიდან ჰონორარსაც მაძლევდნენ (გვერდში მანეთს) და 150 თუ 200 ცალ ამონაბეჭდსაც.



ნიასაგან ერთის საგნის შესახებ, რომელიც მან ყრუდ და მობნელოდ გამოთქვა და რომელშიაც მე და ბ-ნი ჟორდანია გაზეთის საშუალებით

ვერ გავსწორდებით, რასაკვირველია, თუ თვითონ ბ-ნმა ჟორდანიამ უარ-არ-ჰყო ეს ცილისწამება, ეს საგანი გახლავთ შემდეგი:

როდესაც მე შევუდექი „სამის ისტორიულის ხრონიკის“ და „წმინდა ნინოს ცხოვრების“ გამოცემას, ბ-მა თ. ჟორდანიამ განსვენებულის დ. ბაქრაძის სახლში „საეკლესიო მუზეუმის“ გამგეობის სხდომის შემდეგ თავაზიანად გადმომცა მე თავის მიერ გადაწერილი რვეული „ქართლის მოქცევისა“, რომელიც იმ საღამოს მას დაუბრუნა დ. ბაქრაძემ. ბ-მა ჟორდანიამ ესეც დაუმატა: გადმოცემეს დროს „ეს რვეული თქვენ გამოგადგებათ, რადგანაც „ქართლის მოქცევის“ ქრონიკის ტექსტი დამზადებული მქონდა და „ნინოს ცხოვრებისა“ კი არა. რამდენიმე სიტყვა ჩემის გამოცემის გეგმის შესახებაც ვთქვით იმ საღამოს. იქვე ჩვენთან იყო მაშინ ბ-ნი ნ. მთვარელიშვილი, რომელსაც ეს ამბავი უნდა ახსოვდეს. შემდეგ არა ერთხელ გვქონდა ლაპარაკი ბ-ნ ჟორდანიასთან იმავე რვეულის შეცდომების შესახებ. ზოგიერთი სიტყვები და ფრაზები მასთან ერთად გავსინჯეთ მისს რვეულსა და ხელნაწერში. ერთხელ კიდევაც თითონა სთქვა: რასაკვირველია, შეცდომები იქნებაო, შეცდომას ვინ აიცილებსო (თუ რამდენად შეიძლებოდა იმ რვეულზე დამყარება და ისე გამოცემა ტექსტისა, ამას ჩემს პასუხში მოვიხსენიებ). არც ერთხელ ბ-ნს ჟორდანიას არ უსურვებია დაგვებრუნებინა მისთვის რვეული, ხოლო როდესაც შეგვხვდებოდა, გვკითხავდა, მალე გამოვა თუ არა „ქართლის მოქცევაო“. ეხლა კი ბ-ნი ჟორდანია წერს თავის წერილში: „მაგრამ დახეთ მუხთალს შემთხვევას, ის ტყავის წიგნი მიმეფარა თვალთაგან მოულოდნელად და მოუნდომელად ჩემდა და ზედავე დამეკარგა თვით ჩემგან გადაწერილიცა რვეული „ქართლის მოქცევისა“, რომელიც მერმე შემთხვევით ვნახე ერთის ჩემის მეგობრის სახლში...“ (წერტილები თვით ნამდვილში).

ცხადია, თუ რა სურს, ამით სთქვას ბ-ნმა ჟორდანიამ, მაგრამ ისე ორპირად არის ეს ნათქვამი, რომ ყველას შეუძლიან ამით ჩვენ ჩირქი მოგვცხოს და ავტორსაც შეუძლიან სთქვას, აქ სრულებით თქვენ არ მყავდით სახეშიო. ამისათვის ჩვენ ვთხოულობთ ბ-ნ ჟორდანიასაგან, ეს ადგილი თავისის წერილისა უკანვე წაიღოს, ან და გამოაცხადოს, რომ ეს ადგილი ჩვენ შესახებ არ არის დაწერილი და ჩვენ აქ მას სრულიად მხედველობაში არა ვყევართ, და აგრეთვე მახლობელს „ივერიას“ №-ში გადაჭრილი პასუხი მოგვცეს: მართალია, თუ არა, რომ რვეული „ქართლის მოქცევისა“ გვათხოვა მან თავისი ნებით?

აგრეთვე ვთხოვთ ბ-ნს ნ. მთვარელიშვილს, გამოაცხადოს „ივერიაში“, თვით ბ. ჟორდანიამ გადმოგვცა ის რვეული დ. ბაქრაძის სახლში, თუ არა? და აგრეთვე გამოაცხადოს ისიც, მართალია, თუ არა, რომ



ჟორდანია ამბობს, ვითომც ხრონიკა მესხური დავითნისა მას (ესე იგი ბატონს მთვარელიშვილს) გადაეწეროს და არა მე.

2 ნოემბერს 1891 წ.

## ექ. თაყაიშვილი.

ამის შემდეგ ნიკო მთვარელიშვილმა დაბეჭდა წერილი გაზ. „ივერიაში“ და დაადასტურა, რომ თ. ჟორდანიამ რეეული დიმიტრი ბაქრაძესთან მისი თანადასწრებით გადმომცა სხდომაზე. მომყავს ეს წერილიც:

### წერილი რედაქციის მიმართ.

პასუხად ბ. ე. თაყაიშვილის წერილისა, რომელიც დაიბეჭდა „ივერიის“ № 235-ში, მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს გამოვაცხადო შემდეგი:

ა) ერთხელ, როდესაც საეკლესიო მუზეუმის კომიტეტს კრება ჰქონდა თავმჯდომარის დ. ზ. ბაქრაძის სახლში, ამ უკანასკნელმა დაუბრუნა ბ. თ. ჟორდანიას მისგანვე გადაწერილია რვეული „ქართლის მოქცევისა“, ხოლო ბ. თ. ჟორდანიამ გარდასცა ესევე რვეული ბ,. ე. თაყაიშვილს.

ბ) „მესხური დავითნის“ გადაწერა, მართალია, მინდოდა იმ განზრახვით, რათა მსურველს ადვილად წაეკითხა ეს საყურადღებო ხელნაწერი, დავიწყე კიდეც თავიდამ ამის გადაწერა და გადავსწერე ოთხი ფურცელი, რომელიც შეიცავს ფსალმუნებს და თავდება გიორგი მთაწმინდელის ანდერძით. ამ დროს ბ-ნი ე. თაყაიშვილი შეუდგა სამი ისტორიული ხრონიკის დამზადებას და ჩვენ გვთხოვა, რათა გარდაგვეცა მისთვის დედანი აღნიშნულ ხელთნაწერისა. რასაკვირველია, ჩვენ გარდავეცით, როგორც დედანი, აგრეთვე ჩვენგან გადაწერილი ნაწილი ფსალმუნებისა მთაწმინდელის ანდერძით. ეს ნაწილი „მესხურის დავითნის“ ბ. ე. თაყაიშვილს არ დაუბეჭდია, გარდა გიორგი მთაწმინდელის ანდერძის ნაწილისა, თვით „მესხური დავითნის ხრონიკის“, ე. ი. ისტორიული ნაწილის, გადაწერა ეკუთენის ბ. ე. თაყაიშვილს.

გ) საჭიროდ ვრაცხ, აქვე მოვიხსენო ისიც, რომ „მესხური დავითნის“ ავტოგრაფად დასახელების აზრი მე არ მეკუთვნის. ამ ხელთნაწერის შესახებ ჩვენ გვაქვს გამოთქმული შედგენილი ჩვენ მიერ „ქართველთა შორის წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნსაცავის კატალოგში შემდეგი:

„... ერთი წყაროთაგანი ვახუშტის ისტორიისა“ (გვ. 54).

**ნ. მთვარელიშვილი**

6 ნოემბერს.

თედო ჟორდანიამ ამ წერილებს დუმილით აუარა გვერდი. ამიტომ მე გავუგზავნე ჟორდანიას ორი კაცი: ირაკლი რამიშვილი, რომელიც იმ დროს გორში მსახურობდა, მასზე უწინ კი – რუს-ოსმალთა პირველი ომის დროს ბიძაჩემთან ვახმისტრად გურულ დრუჟინაში, და არისტო ქუთათელაძე, ჩემი ამხა-



ნაგი, ქართული ენის მასწავლებელი სათავადაზნაურო სკოლისა. მათ დავაბა-

რე, რომ თ. ჟორდანიასათვის ჯერ წინადადება მიეცათ სამედიატორო სამართალში გამოსულიყო და, თუ ამას უარყოფდა, მაშინ ეთქვათ, რომ დუელში ვიწვევდი. მეორე დღეს დილით დანიშნული პირები მისულიყვნენ მასთან იმ დროს, როდესაც ის სემინარიაში მიდიოდა გაკვეთილებზე და ამიტომ საუბარი გზაში დაეწყოთ; ჩემებს ეთქვათ: „თაყაიშვილი სამედიატორო სამართალში გთხოვთ გამოხვიდეთო“. მას უპასუხი: „რაღა სამართალი გვინდა, მე ხომ ნიკო მთვარელიშვილის წერილი არ უარმიყვიაო?" მაშინ ჩემებს უთქვიათ: „არა, თაყაიშვილი თხოულობს, რომ თქვენ ბეჭდვითი სიტყვით უარყოთ ცილისწამება, თუ არა და მასთან დუელში უნდა გამოხვიდეთო“.

ეს ლაპარაკი გაგრძელებულიყო იქამდე, სანამ ისინი მივიდოდნენ სემინარიის კარებთან, იქ კი თედო ჟორდანია უცებ შევარდნილიყო სემინარიაში და დაეწყო ყვირილი: „მიშველეთ, ეს ორი კაცი მკლავსო!“ ხმაურზე პოლიცია მოსულიყო. ჩემს მიერ გაგზავნილ კაცებს ეთქვათ, რაშიც იყო საქმე და წამოსულიყენენ.

ეს ამბავი შეიტყო ილიამ და გამომიგზავნა კაცი: „დღეს 3 საათხე მნახე, სახლში ვიქნებიო“. მეც დანიშნულ დროზე წავედი მასთან, მაგრამ ილია სამსახურიდან ჯერ არ იყო მოსული. რამდენიმე წუთის შემდეგ მოვიდა ივანე პოლტორაცკი, ნახევარი საათის შემდეგ კი – ილია. ორივე მან სადილზე შეგვიპატიჟა, მაგრამ სადილი არ მიჭამია, ნასადილევი ვიყავი. ნასადილევს ილიამ გამიხმო თავის კაბინეტში და მითხრა: –- „თქვენ და თ. ჟორდანიას საქმეზე უნდა მოგელაპარაკოთ. მე ძალიან ვწუხვარ, რომ თ. ჟორდანიას წერილი ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა, მაგრამ ხომ იცით საუბედუროდ დრო არ მაქვს, რომ გაზეთს ყოველთვის ყური ვუგდო. მე მინდა თქვენ მშვიდობიანათ მორიგდეთ ამ საქმეში. ყველას ემჯობინება სამედიატორო სამართალს მიმართოთო“.

ილია ძალიან ლმობიერად მელაპარაკებოდა.

მე ვუთხარი: „მან სამედიატორო სამართალზე უარი თქვა და ამიტომ გამოვიწვიე დუელში“.

ილიას გაუკკირდა: „ეგ ყოვლად შეუძლებელია. თუ მან სამედიატორო სამართალზე უარი თქვა, ეს იმას ნიშნავს, რომ თავისი თავი დანაშაულად იცნოს. არა, მაგაზე უარის თქმა არ შეუძლია! თქვენ დანიშნეთ თქვენი მედიატორები და მოითხოვეთ იმანაც დანიშნოსო“.

– „დიდი საამოვნებით, მაგრამ არ ვიცი, ვინ დავნიშნო მედიატორად?

– „აი, ერთ პირად ივანე პოლტორაცკი დანიშნეთ. მაგაზე უკეთეს კაცს სად იშოვნით?.. (და მეორე სხვა ამოირჩიეთ“.

ეს აზრი მივიღე, გავედით სასადილო ოთახში და ივანე პოლტორაცკის იქვე ვთხოვე, მიეღო ეს დანიშნულება. ისიც დათანხმდა. მეორე მედიატორედ მინდოდა დამენიშნა გრიგოლ ვოლსკი, ჩემი კარგი მეგობარი, მაგრამ ის ბაქოში ცხოვრობდა და მომწერა: – „დიდი სიამოვნებით მივიღებდი შენს თხოვნას, მე აღშფოთებული ვარ თ. ჟორდანიას საქციელით, მაგრამ სამწუხაროდ დრო არა მაქვს და სამსახურს ვერ მივატოვებ მით უმეტეს, რომ ეს 2-3 დღეს

არ გათავდებაო“. მერმე იაკობ გოგებაშვილის რჩევით, მედიატორედ ჩვენი, სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელი გიორგი იოსელიანი დავნიშნე: (იოსელიანი ძველი მოღვაწე იყო, იაკობ გოგებაშვილისა და ნიკო ცხვედაძის ამხანაგი, რომელიც ერთხელ იაკობ გოგებაშვილსაც დაენიშნა თავის მედიატორედ, როდესაც მას სამართალში გამოეწვია ანდრია ღულაძე, საბავშვო ჟურნალის გამომცემელი).

ილიამ, თუ რედაქციამ, არ ვიცი, ჟორდანია აიძულა გამოსულიყო სამედიატორო სამართალში. მან თავის მხრით პირველ მედიატორედ გიორგი წე–რეთელი დანიშნა, მეორე პირად კი – ილიას მეგობარი ნიკო ხიზანიშვილი.

მე პოლტორაცკის ვუთხარი: „როგორც ვატყობ „ივერიის“ რედაქცია ჩემი წინააღმდეგია და ილია, რომელიც მოწმედაა დანიშნული, ხომ არ მიემხრობა მათ?“ მან მითხრა: „ერთ წუთს არ წარმოიდგინო, რომ საზოგადო საქმეში ილიამ მიკერძოება გამოიჩინოს, ეს ყოვლად შეუძლებელიაო“.

შეიყარნენ ჩვენი წარმომადგენლები და თავმჯდომარედ ამოიოჩიეს ნაფიცი ვექილი ალექსანდრე ჭყონია, დიდად პატიოსანი და ცნობილე საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი, რომელმაც საყურადღებო ისტორიული ნარკვევი გამოსცა. შეკრება მოხდა საღამოთი ილიასთან კაბინეტში. დაგვიბარეს ჩვენც – მე და თ. ჟორდანია. ჩვენ რასაკვირველია, მათ ბჭობას არ დავსწრებივართ. კარგა ხნის შემდეგ მიმიწვიეს მე. მაშინ შევიტყვე, რომ გიორგი წერეთელი სასამართლოს მდივნად აერჩიათ, ილიამ უთხრა გიორგის: „აბა, ბატონო გიორგი, მოახსენე“. გიორგიმ დაიწყო თავის მჭერმეტყველური ტონით: „ჩვენ ბევრი ვითათბირეთ და იმ დასკვნამდე მივედით, რომ სასამართლო არ მოხდეს და თქვენ ისე მოგარიგოთ; ჩვენ გამოვიმუშავეთ წერილის ტექსტი, რომელსაც ჟორდანია გაზეთში გამოაქვეყნებს“ – და წაიკითხა: „ძალიან ვწუხვარ, რომ ბატონმა ექვთიმე თაყაიშვილმა ჩემი წერილი შეურაცყოფად მიიღო, მე სრულიად არ მქონებია აზრად მისი შეურაცყოფა, არც ნიკო მთვარელიშვილის განცხადება უარმიყვია და დიდად ვწუხვარ ამის გამოო“. შემდეგ გიორგიმ დაუმატა: – „შენ ჯერ ახალგაზრდა კაცი ხარ, ჩვენ ძველ მოღვაწეებს, ილიაც დამემოწმება, ამგვარი შეურაცყოფა ხშირად გაგვიცდია, ამიტომ გთხოვთ და ეს ყველა ჩვენგანის აზრია, ნუ გავამწვავებთ საქმეს და ასე მშვიდობით მოვრიგდეთო“.

მერმე ილიამ მომმართა: „აი, რაც გიორგიმ მოგახსენათ, ჰე ამას უნდა დავუმატო შემდეგი: მე ერთგეარად მეწყინება რომელი თქვენგანიც არ გამტყუნდეს, ვინაიდან ჩვენ მაგ დარგში მომუშავე სხვა მცოდნე პირები არა გვყავს და თქვენი წაჩხუბება კი დიდ ზიანს მოუტანს საერთო საქმეს. ამიტომ უნდა დაგვდვათ პატივი და დაგვეთანხმოთ ამ წინადადებაზეო“.

მე ვუთხარი: „ეს თქვენ მიერ შემუშავებული წერილის ტექსტი მთლად ვერ მომხოცავს იმ ცილისწამებას, რაც ჟორდანიამ დამწამა, მირჩევნია შესდგეს სასამართლო, მაგრამ რაკი ამას თქვენ თხოულობთ, თანახმა ვარ“.

მერმე მიიხმეს თ. ჟორდანია, რა ელაპარაკეს მას, არ ვიცი, როგორც ბოლოს მითხრეს, ის წასულიყო მოსალაპარაკებლად თავის მეუღლესთან და იქი-

დან დაბრუნებულს ეთქვა: „მე არ შემიძლია ამ პერობას დავეთანხმო, ეს ჩემი ნამდვილი გამტყუნება იქნებაო“.

მეორე დღესვე შესდგა სასამართლო. მე და თ. ჟორდანიას მოგვთხოვეს, რომ ჩამოგვეყალიბებია: რა ბრალდებას ვდებთ ერთიმეორეს. მე განვაცხადე: „რამდენიც არ უნდა წერონ ჩემს უვიცობაზე სამეცნიერო საქმეში და მკითხველნი არწმუნონ, თითქოს მე არც კითხვა ვიცი და არც რამე გამეგება ისტორია-არქეოლოგიისა, ეს მედიატორების საქმე არ არის და ამას არც ეხლა ვაქცევ ყურადღებას და არც მომავალში მივაქცევ, მხოლოდ ვამბობ, რომ ჟორდანიამ დამწამა ცილი, ვითომ მას რვეული არ უთხოვებია ჩემთვის და მე კი სახლში აღმომაჩნდა. ამიტომ მოვითხოვ სასამართლოსაგან ამ ცილისწამებაზე მან პასუხი აგოს. რაც შეეხება იმის მტკიცებას რომ მე არ ვიცი ხუცური ტექსტის კითხვა, ეს თუ თქვენ გაინტერესებთ, გთხოვთ მიანდოთ რომელიმე თქვენს წევრს, მოიწვიოს მან მცოდნე პირები, შეადაროს ჟორდანიას რვეულის ტექსტი ჩემს გამოცემასთან და აღნიშნოს, რომელს უფრო მეტი შეცდომები გვაქვს და რომელი უკეთ ვკითხულობთ ხელნაწერში წაბღალულ ადგილებს“.

ჟორდანიამ კი პირიქით გვერდი აუხვია ჩემს მთავარ ბრალდებას, თითქოს მას ჩემთვის რვეული არ უთხოვებია, და დაუმატა მას კიდევ სხვა ბრალდებები, თითქოს მე ის ჩემს პოლემიკურ წერილში უდიერად მოვიხსენე და მისი ფსევდონიმი „ეგრი“ გავხსენი და ამით ვითომც დიდი ზიანი და შეურაცხყოფა მივაყენე ავტორს.

მერმე მოგვაწერინეს ხელი მათ მიერ შედგენილ ქაღალდზე, რომ მე და ჟორდანია ვანდობთ მედიატორებს განაჩენის გამოტანას ჩვენი დავის შესახებ, რის შემდეგ ჩვენს შორის უნდა ყოველგვარი დავა მოისპოს და არასოდეს ამ საკითხებს არ დავუბრუნდეთ (ეს ხელწერილი ეხლა ჩემთან ინახება).

ამის შემდეგ მედიატორებმა დაიწყეს თავიანთი საქმე. სასამართლო, რომელსაც ესწრებოდა თითქმის მთელი თბილისის ქართველი ინტელიგენცია, ორ კვირას გაგრძელდა. პირველ სხდომაზე წაიკითხეს გაზ. „ივერიაში“ მოთავსებული ყველა პოლემიკური წერილი, მეორე სხდომაზე ჩვენ, მოჩივარ-მოპასუხე, გვალაპარაკეს საერთოდ ყეელა კითხვების შესახებ. შემდეგ სხდომებზე კი დაკითხეს მოწმეებს, რომელთა შორის იყვნენ ილია ჭავჭავაძე, ნიკო მთვარელიშვილი და დავით ქუთათელაძე, რომელიც მეხმარებოდა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს გამოცემაში. მოწმეებმა ყველაფერი ჩემს სასარგებლოდ უჩვენეს. ეს რომ შენიშნა ჟორდანიამ, უკანასკნელ (მეექვსე) სხდომაზე განაცხადა, რომ მას ჰყავს მოწმედ სათავადაზნაურო ბანკის დარაჯი, რომელმაც ეს საქმე კარგად იცისო, და სასამართლოს სთხოვა მას დაკითხებოდნენ. ამაზე მედიატორები ცოტა არ იყოს გაკვირვებით შეეკითხნენ: „ეს სამეცნიერო საკითხია და რა საქმე აქვს დარაჯსაო?!“ და მისი თხოვნა არ დააკმაყოფილეს. მერმე მე შემეკითხნენ: „იმ ბრალდებაზე, რომ თქვენ მისი ფსევდონიმი გახსენით, რას იტყვითო?“.

მე ვუპასუხე: „ესეც ისეთივე ცილისწამებაა, როგორც მისი პირველი „ბრალდება, ვინაიდან მისი ფსევდონიმი დიდი ხანია გახსნილია და ჯერ კიდევ

თვენახევრის წინათ ჩვენი პოლემიკის დაწყებისა მოსე ჯანაშვილმა იხმარა იგი გახსნილი სახით თავის წერილში, რომელიც „ივერია”-ში დაბეჭდა”, – და მედიატორებს ამის დასასაბუთებლად გადავეცი გაზ. „ივერიის“ ის ნომერი, სადაც მოსე ჯანაშვილის წერილი იყო დაბეჭდილი. ამის შემდეგ მეორე თუ მესამე დღეს მედიატორებმა დაბეჭდეს გაზეთ „ივერიაში“ (1892 წ. № 27) განაჩენი, რომელიც აქვე მომყავს:

**მედიატორეთა განჩინება**

ე. ს. თაყაიშვილისა და თ. ჟორდანიას სადაო საქმის შესახებ.

1892 წელსა, თებერვლის „3“ დღესა, ჩვენ მედიატორეთა ა. მ. ჭყონიამ, ი. ი. პოლტარაცკიმ, გ. წ. იოსელიანმა, ნ. თ. ხიზანიშვილმა და გ· ვ. წერეთელმა, აღმორჩეულთა განსახილველად ბრალდებათა, რომელნიც ერთმანეთს განუცხადეს ე. ს. თაყაიშვილმა და თ. დ. ჟორდანიამ 1891 წლის „ივერიის“ 120, 134 და 229 – 233-მდე ნომრებში დაბეჭდილის საპოლემიკო სტატიების გამო, განვაბჭეთ რა საქმე საჯაროდ და მოვისმინეთ რა მოწმეთაგან ჩამორთმეული ჩვენება და ორ მხრივ გამოთქმული შედარება, დავასკვენით:

I. ჩვენ მედიატორეთა, წავიკითხეთ რა ბ-ნ თაყაიშვილის შესახებ წარმოთქმული სიტყვები (№ 233 „ივერიისა“) ჟორდანიასი: „მაგრამ დახეთ მუხთალს შემთხვევას: ის ტყავის წიგნი მიმეფარა თვალთაგან მოულოდნელად და მიუწვდომელად ჩემდა და ზედვე დამეკარგა თვით ჩემგან გადაწერილი რვეულიცა „ქართლის მოქცევისა“, რომელიც შემთხვევით ვნახე ერთი ჩემი მეგობრის სახლში“... (ბევრი წერტილია დასმული) დავრწმუნდით, რომ ამ სიტყვებში უეჭველად გამოსჭვივის შეურაცმყოფი დაწამება, ვითომც ბატონმა თაყაიშვილმა უკანონოდ მიითვისა ბ-ნ ჟორდანიას რვეული; მაგრამ ეს დაწამება სრულებით უსაფუძვლოა, რადგან თვით იმის ლაპარაკიდან და მოწმეების ჩვენებიდგან გამოირკვა, რომ ბ-ნ ჟორდანიას თვითონ უთხოვებია თავისი რვეული ბ-ნ თაყაიშვილისათვის, რომელთანაც იმყოფებოდა აგრეთვე ტყავის წიგნი. ამასთანავე ვცანით, რომ ეს დაბრალება, შესაძლებელია, ბ-ნ ჟორდანიას მოუვიდა მხოლოდ იმის გამო, რომ იგი შეცდომას მიეცა და გულმავიწყობის გამო ვეღარ მოიგონა, როდის და სად გადასცა ბ-ნ თაყაიშვილს თავისი რვეული.

II. შესახებ იმ ბრალდებათა, რომელნიცა ბ-ნ ჟორდანიამ განაცხადა ბ-ნ თაყაიშვილის წინააღმდეგ, ჩეენ მედიატორეთა ასე ვსცანით:

ა. ბ-ნ თაყაიშვილის სიტყვები (№ 134 „ივერიისა“): „მე მგონია თვით ბ-ნი ჟორდანია მოხარული იქნებოდა, რომ მუზეუმის წიგნები და ხელთნაწერები, რომელნიც მას აბარიან, დაწვრილებით აწერილი ყოფილიყო და ისე ჩაბარებოდა მას“, – არავითარ შეურაცყოფას არ აყენებენ ბ-ნ ჟორდანიას.

ბ. ბ-ნი თაყაიშვილის აზრი „ივერიის“ № 134 გამოთქმული, რომ წერა-კითხვის გამგეობის მიერ დანიშნულს კატალოღის შესადგენათ კო-

მისიას არ გაუკეთებია რა და ტყუილად კომისიის სახელს ატარებსო არ მეურაცყოფს ბ-ნ ჟორდანიას, რადგან თვით ბ-ნ თაყაიშვილის სტატიიდან გამოდის, რომ მას მხედველობაში არ ჰყოლია პირადათ ბ-ნი ჟორდანია.

გ. საყვედური ბ-ნ ჟორდანიასი, ბ-ნ თაყაიშვილისადმი მიმართული, რომ მან ბ-ნ ჟორდანიას ფსევდონიმი გამოაქვეყნა უსაფუძვლო აღმოჩნდა, რადგან ბ-ნ თაყაიშვილზედ ადრე ფსევდონიმი გამოქვეყნებული ყოფალა.

დ. რაიც შეეხება იმ საყვედურსა, რომლითაც ბ-ნმა ჟორდანიამ მიმართა ბ-ნ თაყაიშვილსა, რომ მან იხმარა მის შესახებ გულსატკენი სიტყვებე საპოლემიკო სტატიაში, აქ ბ-ნ თაყაიშვილს ბრალი არ ედების, რადგან ამგვარივე საყვედურის კიდევ უფრო ღირსია ბ-ნი ჟორდანია.

მედიატორეთა თავმჯდომარე – ალექსანდრე ჭყონია.

ივანე პოლტორაცკი

გ. იოსელიანი

მედიატორენი: ნ. ხიზანაშვილი

გ. წერეთელი.“

რაც შეეხება იმ საკითხს, თუ როგორ ვკითხულობთ მე და ჟორდანია ხელნაწერის ტექსტებს, მისი გარკვევა მინდობილი ჰქონდა გიორგი წერეთელს. მან ამის შესახებ მიიღო ყველა ზომა: მოიწვია ხუცური ხელნაწერების კითხვის საუკეთესო მცოდნენი ნიკო მთვარელიშვილი და არისტო ქუთათელაძე. მე შევადგინე სია იმ სიტყვებისა და ფრაზებისა, რომლებშიაც ჩემი და ჟორდანიას კითხვა განირჩეოდა. გ. წერეთელმა და მის მიერ მოწვეულმა პირებმა შეამოწმეს დედანთან ეს სია და ამის მიხედვით გ. წერეთელმა შემდეგი დამოწმება დაწერა:

**დამოწმება**

1892 წელსა 27 მარტსა გავათავე შემოწმება ორნაირთა კითხვათა დედნიდან ბ. თედორე დავითის-ძისა ჟორდანიასი და შესწორება ამა დედნისა და დამატება ამოკითხვისა იმ ადგილთა, რომელნიც ბ. თ. ჟორდანიას ვერ ამოუკითხავს ქართლის მოქცევის ესე იგი შატბერდის კრებული ხელნაწერიდან ტყავზე. თითოეული სიტყვა და ლექსთა თხზვა, ამოკითხული, როგორც ბ. თ. ჟორდანიას მიერ, აგრეთვე ბატ. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ, შევადარე ნამდვილს და დავრწმუნდი საკუთარის ჩემი ამოკითხვით, რომ ყველა სიტყვები და წაშლილი ესე იგი გადასული ადგილები ბატ. ექვთიმე თაყაიშვილს უფრო ზედმიწევნით წაუკითხავს და აღუდგენია, ვიდრე ბ. თედორე დავითის-ძე ჟორდანიას. ხოლო რაიცა შეეხება (წაშლილ) გადასულ ადგილებს, ბატ. ექვთიმე თაყაიშვილს წაუკითხავს ისინი მართლად, რამდენათაც თვით მე ეს გადასული ადგილები, შიგ შთაბეჭდილის ასოების მოყვანილობის ამოკითხვით დავადასტურე; ბატ. თ. ჟორდანიას კი ეს გადასული ადგილე-

ბი არ წაუკითხავს და არც უცდია იმისი წაკითხვა. ეს ყოველივე მე მოვიმოქმედე მონდობილობისამებრ სამედიატორო მოსამართლეთა და თანხმობით თვით მოდავე მხარეთა. არ შემიძლიან არ განვაცხადო ჩემი მწუხარება მასზედ, რომ ბ. თ. ჟორდანიას არშიებზე უწერია თავისი უმართლოდ აღდგენილი ტექსტი და ამით დიდი უწესოება მოუხდენია, რადგან შესაძლოა ამას მომავალნი მკვლევარნი მისის მიზეზით შეცდომაში შევიდნენ, რაიცა შეეხება თვით არშიებზე დაწერას და ხელნაწერის გაფუჭებას, ეს მიცვნია მე მეტად შეუფერებელ და უმსგავსო კადნიერებათ იმ მკვლევარისა, რომელიც თვით ბნელისა შინა ვალს და სხვაც უნდა ბნელსა შინა ატაროს, თვით დედანი გადაწერილი ბატ. თ. ჟორდანიას მიერ, რვეულად ცნობილი, გადავფურცლე და ყოველივე თავის ალაგას, ფურცელი გამოუკლებლათ იყო და ამგვარის დამოწმებით გამოვართვი ბატ. თაყაიშვილს და ჩავაბარე ბ. ჟორდანიას რწმუნებულს კაცს, ბატ. გრიგოლ ყიფშიძეს. ბ. თ. ჟორდანიას რვეულში წმინდა ნინოს ცხოვრების ნაწილში ფურცლების გვერდებზე და შიგ და შიგ შესწორებული სიტყვები ეკუთვნის დავით ვასილის-ძე ქუთათელაძეს, რასაც შინა ხელს ვაწერ გიორგი ექვთიმეს-ძე წერეთელი.

ბ. რვეულში ას თერთმეტი გვერდია, რომელთაგან ას ცხრაზე უზის გვერდის აღმნიშვნელი ციფრები თ. ჟორდანიას ხელით დასმული. გ. წერეთელი“.

დამოწმებას თან ახლავს ჩემს მიერ პარალელურად შედგენილი სია 145 სიტყვისა, თუ როგორ ვკითხულობთ ამ სიტყვებს მე და როგორ კითხულობს ჟორდანია ამ სიის ბოლო მე-8 გვერდზე გიორგი წერეთელი სწერს: ,

„ამ სიტყვებში ხუთი სიტყვა ვპოვე ეფ. თაყაიშვილის მიერ უმართლოდ წაკითხული და ორი სიტყვაც საეჭვოდ, დანარჩენი სიტყვები ყველა მართლად წაკითხულ არს მის მიერ, ხოლო თ. ჟორდანიას მიერ უმართლოდ“.

**გიორგი ექვთიმეს-ძე წერეთელი**
1892 წელსა 27 მარტს.

იმ ადგილებს და ფრაზებს, რომელიც ჟორდანიას ვერ წაუკითხავს და გამოუშვია გიორგი წერეთელის ხელათ გვერდებზე უწერია: „გამოშვებულია, გ. წერეთელი“.

ამას გარდა მე შევადგინე ცალკე ქაღალდებზე სია 125 სიტყვისა, რომელსაც მე და ჟორდანია ერთგვარად ვკითხულობთ. ამ სიის ბოლოს გ. წერეთელი წერს: „სულ ყველა ეს სიტყვები ბატ. ექვთიმე თაყაიშვილს და თ. ჟორდანიას რვეულში ერთნაირად ვპოვე წაკითხული. გ. წერეთელი 27 მარტს 1892 წელს“.

ეს სიები გიორგი წერეთლის დამოწმებასთან ერთად ჩემს პირად არქივში ინახება.

მანამ გიორგი წერეთელი ამ შედარებას დაამთავრებდა თედო ჟორდანიამ 1992 წლის შვიდ თებერვალს მიმართა თბილისის ნოტარიუს დავით ყიფიანს განცხადებით, რომ ექვთიმე თაყაიშვილს აქვს ჩემი რვეული, რომელშიც გადმოწერილი მაქვს „ქართლის მოქცევის“ ქრონიკა მეათე საუკუნის ხელთნაწერიდან, და უსათუოდ ამ თვის 8-ს 12 საათამდის დამიბრუნოსო.

ამის საპასუხოდ მე მიესწერე იმავე ნოტარიუსს.

> „ჟორდანიას მომართვა ჩემდამი უპატიოსნებად მიმაჩნია ვინაიდან მან კარგად იცის, რომ ეს რვეული გადაცემული აქვს გიორგე ექვთიმეს-ძე წერეთელს, რომელმაც ჟორდანიას რეეულის ტექსტი უნდა შეადაროს ჩემს გამოცემულ ტექსტს და აღნიშნოს, ვინ რა შეცდომას დაუშვებს ტექსტის წაკითხვაში. ამიტომ ჟორდანიას მისთვის უნდა მიემართნა და არა ჩემთვის“.

როგორც გიორგი წერეთლის „დამოწმებაშია“ მოხსენებული, ჟორდანიამ ეს რვეული დაიბრუნა თაეისი რწმუნებულის – გრიგოლ ყიფშიძის ხელით.

ჩემი სიმართლის კიდევ ერთხელ დასამტკიცებლად ჩემი და ჟორდანიას მიერ სხვადასხვანაირად წაკითხული სიტყეების სია უნდა დამებეჭდა გაზეთ „ივერიაში“, რის გამოც იგი გრიგოლ ყიფშიძეს მივუტანე, მაგრამ მან მითხრა: „დავეკითხები ილიას. ჩვენ უარს ვერ ვიტყვით გამოქვეყნებაზე, ვინაიდან ეს მეორე ნაწილია იმისა, რაც სამედიატორო სასამართლოს ჰქონდა დავალებული“, მაგრამ მეორე დღეს ეს სია ილიას წაეკითხა და ეთქვა: „ჩემს მაგივრად სთხოვეთ ექვთიმე თაყაიშვილს, თუ შეიძლება ნუ გამოაქვეყნებს მას, ისიც ეყოფა, რაც ჟორდანიას თავის უგუნურებით მოუვიდა, და, რაკი იგი ეხლა მუშაობს სხვა მასალების გამოქვეყნებაზე, ხელს ნუ შევუშლითო“. მეც აღარ დავბეჭდე ეს სია, თუმცა გიორგი წერეთელმა მომცა წინადადება: „თუ გნებავს ცალკე ბროშურად გამოეცი, ეგ ხელმოწერილი სია და „კვალის“ ხელმომწერლებს ჩემ გაზეთთან ერთად დავურიგებო, მაგრამ ეს უხერხულად ვსცანი, ვინაიდან ილიას თხოვნას ეწინააღმდეგებოდა.

ასე დამთავრდა ჩემი და ჟორდანიას პოლემიკა და, თუ აქ საჭიროდ დავინახე მცირედ შევხებოდი ამ ამბავს, ეს იმიტომ, რომ დაკავშირებული იყო დიდ ილიასთან, რომელიც შეგნებულად ჩაერია ჩვენს კონფლიქტში და აიძულა თ. ჟორდანია სამედიატორო სამართალში გამოსულიყო. თუ ილია არ იქნებოდა, შესაძლოა ეს საქმე ცუდად დამთავრებულიყო როგორც ჩემთვის, ისე თედო ჟორდანიასათვის.

## ილიასათვის იუბილეს გადახდის განზრახვა

90-იან წლებში ქართველმა საზოგადოებამ დაიწყო პოეტებისა და მოღეაწეების იუბილეთა გადახდა. პირველი ასეთი იუბილე მოუწყვეს რაფიელ ერისთავს, რომლის ლექსებს, მეტადრე ბოლო ხანისას, ხალხური ლექსების სტილით დაწერილთ, დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი ქართულ საზოგადოებაში. ამ იუბილეში მთელმა საქართველომ მიიღო მონაწილეობა. ყველა ქართული დაწესებულებისაგან გამოგზავნილი იყო დეპუტატები. იუბილარს ბევ-

რი საჩუქრებე შეუგროვეს.



იუბილე გადაიხადეს ბანკის „ქარავან სარაის“ თეატრში, სასახლის ქუჩაზე. იუბილარი წამოიყვანეს მისი ბინიდან ეტლით ი. ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა და თეატრის დარბაზში მოიყვანეს. ეტლში სამი კაცი უნდა მოთავსებულიყო: თვითონ იუბილარი და ორი ჩვენი გამოჩენილი პოეტი. იუბილარი დასვეს თავსაჯდომზე, მაგრამ მასთან დაჯდომა აკაკიმ ილიას შესთავაზა, ილიამ კი – აკაკას, ამ პატიჟმი ილია და აკაკი ვერ შეთანხმდნენ და ორივე წინა სკამზე დასხდნენ, რადგან იუბილართან დაჯდომა გულისხმობდა უფრო დიდ პოეტად აღიარებას თავის თავისას, ეს კი არც ერთმა არ ინება. თეატრმა რ. ერისთავს ისინი აქეთ-იქიდან მოუსხდნენ. დაიწყო დაწესებულებათა წარმომაღგენლების მოლოცვები და სიტყვები, იუბილემ გასტანა მუადღიდან საღამოს 6 საათამდე. საღამოთი კი იმავე დარბაზში ვახშამი გადაუხადეს, დიდი მხიარულება, ცეკეა და სიმღერები იყო.

შემდეგ იუბილეს გადახდის რიგი ილიაზე მიდგა, მაგრამ ილია ამაზე უარს ამბობდა თავმდაბლობის გამო: „იუბილე ერთგვარი ყეენობაა“, მაგრამ ეტყობოდა ბოლოს და ბოლოს თანახმა ხდებოდა.

1897 წლის ნოემბერში ქართველმა საზოგადოებამ გადაწყვიტა, რომ ილიასთვის 9 აპრილს 1808 წელს გაემართათ 40 წლის სამწერლო მოღვაწეობის იუბილე. არჩეული იყო საიუბილეო კომიტეტი. დაიწყო კედეც საჩუქრების შეგროვება, ზოგიერთ საჩუქარს წინდაწინვე „ივერიის“ რედაქციაში აგზავნიდნენ; ილიამ ეს უხერხულად ჩათვალა, რის გამოც საიუბილეო კომისიამ საჩუქრების მოგროვება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში გადაიტანა. სამწუხაროდე, ეს იუბილე ვერ მოეწყო, რადგანაც მთავრობამ ნება არ დართო (არ ვიცი, საიუბილეო კომისიას ოფიციალურად მოსწერეს ეს უარი, თუ წინდაწინ გააფრთხილეს კერძო მოლაპარაკების დროს, რომ სჯობს ნუ ითხოვთ იუბილეს, უსათუოდ უარს მიეიღებთო. მგონი ასეც იყო, ოფიციალურად კომისიას იუბილეს გამართვის ნება არც უთხოვნია მთავრობისაგან).

მე როდესაც სათავად-აზნაურო გიმნაზიაშა ვმასწავლებლობდი და შემდეგ გამგედ ვიყავი, სისტემატურად ვმართავდი სალიტერატურო საღამოებს, სადაც ჩვენი შეგირდები კითხულობდნენ ქართველი პოეტების ლექსებსა და მოთხრობებს, მღეროდნენ ქართულ ხალხურ სიმღერებს და უკრავდნენ სხვადასხვა საკრავებზე: ვიოლინოზე, ვიოლონჩელზე და სხვა. საღამოების მოწყობა მარტო პედაგოგიური საბჭოს ინიციატივას შეადგენდა და ამაში სრულიად არ ერეოდნენ სკოლის კომიტეტის წევრები, ჩვენ მათ არც არაფერს ვკითხავდით, მხოლოდ ვიწვევდით მათ, როგორც სტუმრებს, მოსაწვევი ბარათებით.

მე განვიზრახე ერთი ასეთი საღამო სპეციალურად ი. ჭავჭავაძის პატივსაცემად მოგვეწყო და მისი პროგრამა ილიას სხვადასხვა ლექსებისა და მოთხრობების მიხედვით შეგვედგინა. ეს განზრახვა პედაგოგიურ საბჭოს მოვახსენე და ვთხოვე, რომ იგი საიდუმლოდ შეენახა: არც კომიტეტის წევრებს სცოდნოდათ და არც თვით ილიას, თუ ეს საღამო ვის პატივსაცემად ეწყობოდა. ამის მიზეზი ჯერ ერთი ის იყო, რომ ვანმეს პატივსაცემად სალიტერატურო საღამოს

მოწყობის ნებართვა ოფიციალურად უნდა მოგვეთხოვდ კავკასიის მზრუნველისაგან. მეორე, შეიძლება ილია არც დათანხმებულიყო



და არც დასწრებოდა იმ საღამოს. მართლაც ეს განზრახვა ისე საიდუმლოდ იქნა შენახული, რომ საღამოს გახსნამდე არავის შეუტყვია, რომ ყოველივე ეს ილიას საპატივსაცემოდ იყო მოწყობილი. ქართველი მწერლები და კომიტეტის წევრები ყველა მოვიწვიეთ.

საღამომ მეტად დიდებულად ჩაიარა, ბავშვები შესანიშნავად იყვნენ მომზადებულნი და მშვენიერის დეკლამაციითა და არტისტული ხელოვნებით კითხულობდნენ ილიას ლექსებს და მისი პოემების ნაწყვეტებს. პროგრამაში სხვა მწერლების ნაწარმოებებიც საკმაოდ იყო შეტანილი. დეკლამაციას მოჰყვა სიმღერები ზაქარია ჩხიკვაძის ლოტბარობით და მუსიკალური განყოფილება ვიოლინოზე, ვიოლონჩელზე და სხვა ინსტრუმენტებზე დაკვრით ზაქარია ფალიაშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც ჩვენს სკოლაში მუსიკის მასწავლებელი იყო. ილია აღტაცებით ეგებებოდა თვითეულ შეგირდის გამოსვლას, ტაშს უკრავდა და თავის განცვიფრებას მეგობრებს უზიარებდა. საღამო რომ გათავდა, ილია, მისი მეგობრები და ნაწილი ჩვენი ინტელიგენციისა მივიწვიე პატარა სერობაზე იმავე დარბაზში, სადაც საღამო-კონცერტი იყო გამართული. ამ სერობამაც მხიარულად და კარგად ჩაიარა, ხოლო ბოლოს ილიამ დიდი ქება შეასხა ნიკო ცხვედაძეს. ეტყობოდა ილიას ეგონა, რომ ეს საღამო ნიკო ცხვედაძის განზრახვითა და ინიციატივით იყო მოწყობილი, პედაგოგიური საბჭო კი სრულიად არ მოუხსენებია. ილია, ცხვედაძის ჩაგონებით, დაჯერებული იყო, თითქოს სათავადაზნაურო სკოლის მასწავლებლები და გამგე ალექსი ჭიჭინაძე, რომელიც დიდ კონფლიქტში იყო ნიკო ცხვედაძესთან, „ბანკოვიადის“ დროს მაჩაბლის მომხრე იყვნენ და არა ილიასი; ნამდვილად კი ყველა ესენი ნეიტრალიტეტს იცავდნენ. მხოლოდ ერთადერთი მასწავლებელი მოსამზადებელი კლასისა ალექსანდრე ნათაძე დიდი მომხრე იყო მაჩაბლისა და აშკარა პროპაგანდასაც ეწეოდა ქართლში მის სასარგებლოდ. ამ ერთი მასწავლებლის საქციელი ილიამ ყველა მასწავლებლებზე გადაიტანა და ერთს თავის სიტყვაში ოსტატურად გამოურია: პროპაგანდას ჩემს წინააღმდეგ თავად-აზნაურობის სკოლის ოსტატებიც ეწეოდნენო. მერმე, როდესაც ალექსი ჭიჭინაძე აიძულეს თავი დაენებებია სკოლისათვის, ჩვენ გვეგონა ილიამ შეიცვალა ეს აზრი და უკვე კარგ დამოკიდებულებაშია ჩვენს მასწავლებლებთან. ამას ისიც გვაფიქრებინებდა, რომ როდესაც მე ამირჩიეს სკოლის გამგედ, გაზეთ „ივერიის“ ერთ-ერთმა აქტიურმა თანამშრომელმა „მეველემ“ (დ. მიქელაძემ) ქება შემასხა და სხვათაშორის მოიხსენია რომ -- „ბანკოვიადის“ დროს მე ნეიტრალიტეტს ვიცავდი. მაგრამ, როგორც ჩანს, ირკვეოდა, რომ ილია ისევ ემდუროდა ჩვენს მასწავლებლებს. ასე, რომ მან ვერ გაიგო ამ საღამო-კონცერტის მოწყობის ინიციატორი ვინ იყო. შემდეგში ელენე ჯაბადარმა ილიას ყველაფერი უამბო დაწვრილებით: „საღამო პედაგოგიურმა საბჭომ და მისმა ხელმძღვანელმა სპეციალურად შენ მოგიწყესო, – ეთქვა მას, – ამით მათ შენი იუბილე თავისებურად ჩაატარეს და იმის მაგიერ, რომ პედაგოგიური საბჭოსთვის

გეთქვა მადლობა, შენ შეასხი ქება ცხვედაძეს, რომელსაც არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ამ საღამოს მოწყობაში. ვახშამიც პედაგოგიური წევრების ხარჯით იყო გამართულიო“.



ილიას სწყენოდა ეს ამბავი და დიდი საყვედური ეთქვა ელენე ჯაბადარისათვის: „არ მოველოდი შენგან, თუ ამ საქმეს დამიმალავდიო“.

ჯაბადარს ეპასუხნა: „მე რა შუაში ვარ? რაც გამგემ დამავალა, ის ავასრულე, რომ მეთქვა ეს შენთვის, შენ შეიძლება არც კი დასწრებოდი საღამოს“.

– „ეს მართალია, – ილიას ეთქვა, – მაგრამ მე ჩემდა უნებლიეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი. უსათუოდ ვეახლები გამგეს, ბოდიშს მოვიხდი და დავარწმუნებ, თე როგორ ვაფასებ ჩემდამი მისსა და პედაგოგიური საბჭოს ამ გამოუთქმელ პატივისცემას. ხვალ დილით საგურამოში მივდივარ და იქიდან რომ დავბრუნდები, უსათუოდ ვინახულებ გიმნაზიის გამგეს“.

ელენე ჯაბადარს ეთქვა: „საღამოს თუ სახლში იქნები, მე ვეტყვი მან შემოიაროს შენთან“.

– „ეს რასაკვირველია კარგია, მაგრამ ჩემთვის უხერხულია ამისი თხოვნა და, თუ შენი მხრით ურჩევ და საღამოს 8 საათზე ჩემთან შემოვა, დიდად მოხარული ვიქნები“.

როცა ეს ამბავი ელენემ გადმომცა და მითხრა, რომ ილია დიდად შეწუხებულია და კარგს იზამ, თუ წახვალ და დაამშვიდებო, მეც წავედი ილიასთან. მან დიდი თანაგრძნობით მიმიღო და მითხრა:

„არ ვიცი, დამიჯერებთ თუ არა, მაგრამ გულწრფელად მოგახსენებთ: მე თავის დღეში ისეთი სიამოვნება არ განმიცდია, როგორც იმ საღამოს. მე მარტო მაშინ ვიგრძენი, თუ რა გამიკეთებია და რა დამიწერია. ვერ წარმოვიდგენდი, თუ თქვენი მეგირდები ასე შესანიშნავად და ნიჭიერად შეითვისებდნენ ჩემს ნაწერებს.

ჩემი ნაწერების კითხვა ბევრისაგან მომისმენია, მაგრამ ისეთი შეგნებით და ექსპრესიით არავის წაუკითხავს, როგორც თქვენს ახალგაზრდობას. ვწუხვარ, რომ პედაგოგიურ საბჭოს მადლობა ვერ გადავუხადე. თქვენ მართალი ხართ: რომ ჩემთვის წინდაწინ გაგემხილათ საღამოს მიზანი და პროგრამა, მე არ დავესწრებოდი, რადგანაც შეიძლება ჩემი დასწრებით რაიმე ხიფათი მოსვლოდა ჩვენს გიმნაზიას, რომელზედაც, კარგად ვიცი, მთავრობა კბილებს ილესავს. პედაგოგიურ საბჭოს ჩემ მაგიერ დიდი მადლობა გადაეცით და ბოდიში მომხადეთ, რომ იმ საღამოთი თქვენი მასწავლებლების ამაგი ვერ შევაფასე“.

მე ვუთხარი: – „ჩვენ გვინდოდა ამ საღამოთი თქვენთვის გვეჩვენებინა, თუ როგორ შეითვისა ჩვენმა ახალგაზრდობამ თქვენი ნამოღვაწარი, რა სიყვარულითა და გრძნობით ეპყრობიან თქვენს ნაწარმოებებს. ჩვენ ამით შეძლებისდაგვარად თქვენი იუბილე გადვიხადეთ. ამაზე მეტი ვერ შევძელით და, თუ რაიმე ნაკლი შეამჩნიეთ, ეს გაგვიზიარეთ, რომ შემდეგში შევასწოროთ“.

ილიამ თქვა: „მერწმუნეთ, რომ მათ გამოთქმაში, ნაწარმოების გაგებასა და შეთვისებაში შენიშვნის შეტანა, ან რაიმე ნაკლის აღბეჭდვა არ შეიძლება.

მე გამოუთქმელად ვაფასებ თქვენს პატივისცემას და კიდევ ვიმეორებ: ჩემს დღეში ასეთი სიამოვნება არ განმიცდია. რასაც ეხლა თქვენ გეუბნებით, ყველა ეს იქ დამსწრე მეგობრებს გავუზიარეო“.



მე მადლობა გადავუხადე ილიას, აგრეთვე შევპირდი, რომ თქვენს თხოვნას უთუოდ გადავცემ პედაგოგიურ საბჭოს-მეთქი და გამოვემშვიდობე.

## ილია და ნიკო ხიზანიშვილი

ცოტა რამ ილიასა და ნიკო ხიზანიშვილის („პლებსის“) დამოკიდებულების შესახებ.

ნიკო ხიზანიშვილი სხვა მოღვაწეებზე უფრო დაახლოვებული იყო ილიასთან. ისინი შეხუმრებულნი იყვნენ ერთმანეთში, ხიზანიშვილი მას „ფეოდალს“ ეძახდა, ილია – „გაუმაძღარს“!

ნიკო ხიზანიშვილი ნიჭიერი კაცი იყო, უსათუოდ კარგი პუბლიცისტი, მასთან ენამახვილი, კარგი მკვლევარი ქართული სამართლის ისტორიისა, მაგრამ ცოტა უხეში კაცი იყო. დიდად უყვარდა ილია და ამბობდა: „რაც მაქვს, ყველა მისი წყალობითა მაქვს, თბილისში სამუშაოდ მან გადმომიყვანაო“. განთქმული იყო უზომო ჭამით, გაძღომა არ იცოდა, სულ შიოდა. ილიამაც კარგი ჭამა იცოდა, კარგი მადაცა ჰქონდა, მაგრამ ხიზანიშვილთან შედარებით მოსაგონარი არ იყო.

ერთხელ ილია ნიკო ხიზანიშვილის თანადასწრებით მოგვიყვა შემდეგს: „ერთ დღეს ნიკო შევიპირე ჩემთან საგურამოში წამოსულიყო, წინდაწინ ჩემს მეუღლეს მივწერე: ხვალ მოვდივარ საგურამოში და ნიკო ხიზანიშვილი მომყავს, ხომ იცი რანაირი სვავია, და შესაფერი სადილი მოგვიმზადე, საუზმეს მე მოვიტან აქედან-მეთქი. წავედით მეორე დღეს, დარი კარგი იყო და ჩვენ მადაზეც კარგად ვიყავით. დავიწყეთ პირველ საათიდან სადილის გამა: ჯერ საუზმეს შევექეცით; მერმე არტალა და მწვადები მივაყოლეთ, შემდეგ მზარეული შემოვიდა და მკითხა: „ინდოური და გოჭი მაქვს შემწვარი, რომელი მოგართოთ?“ მე ვუთხარი: „ინდოური მოგვიტანე და გოჭი ვახშმად შეგვინახე“. მოატანა ინდოური, იმასაც კარგად შევექეცით, მერმე ორგვარ-სამგვარი ტკბილეულობა და ხილი დავაყოლეთ. ეს ყველაფერი მისი შესაფერი ღვინით მივირთვით. სადილმა 5 საათამდე გასტანა. სანამ სუფრიდან ავიშლებოდით, ნიკომ თქვა: ეხლა ჰაერზე უნდა გავიდე, ცოტა სული მოვითქვაო, და გავიდა გარეთ, ჩვენ კი აივანხე გავედით. ნიკო დიდხანს ჩვენთან არ დაბრუნებულა. კარგად რომ შეღამდა, მზარეული მოვიდა ჩემთან და მკითხა: – რას ინებებთ ვახშმად, რა გავაკეთო? მე ეუთხარი: აკი გოჭი გვაქვს, ამას კიდევ მშრალი საჭმელი მოაყოლე და სხვა რაღა გვინდა? მზარეულს გაეცინა და მითხრა: – გოჭი სადღაა ბატონო, თქვენი სტუმარი შემოვიდა სამზარეულოში, ჩამოიღო თაროდან ის ახლად შემწვარი გოჭი და სულ ერთიანად გაფცქვნა თითქოს არაფერი არ ეჭამოს, გოჭის თავის ძვლის მეტი არაფერი დაუტოვებია, ტვინიც კი მიირთვაო“.

ხიზანიშვილის უჩვეულო ჭამა ყველამ კარგად იცოდა თბილისში და ბევრი ანეგდოტები დადიოდა მასზე. ერთხელ, როდესაც მან ბექა და აღბუღას სამართლის ისტორიის შესახებ დასწერა წიგნაკი, აკაკი წერეთელმა ერთი კუპლეტი უძღვნა, რომელიც ასე თავდებოდა:



„ბექა და აღბუღა
არტალას არ ჩააყოლოო“.

ნიკო ხიზანიშვილი მისი მეუღლითა, მსახიობ ელისაბედ ჩერქეზიშვილითა, და შვილებით ილიასთან ხშირად იყო სადილად. ზოგჯერ მათ რუსული „გარმონიკა“ მოჰქონდათ, ნასადილევს დაუკრავდნენ და ბავშვებს აცეკვებდნენ. თუ ელენე ჯაბადარი ასეთ სადილს ესწრებოდა, „გარმონიკის“ ხმას ვერ იტანდა, თითქოს გული უწუხდებოდა. ის მუსიკის მოყვარული იყო და შორდებოდა „კამპანიას“.

## დეპუტაცია მეფისნაცვალ ვორონცოვთან*

1905 წლის მანიფესტის გამოცხადების წინ, როგორც ცნობილია, გურიის საქმე დიდად გართულდა. მეფისნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა ალიხანოვის

---

* 1905 წლის რევოლუციის პერიოდის გურიის გლეხთა აჯანყება, რომელსაც სათავეში გლეხთა რევოლუციური კომიტეტები უდგნეს. დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო. გურულ გლეხთა თავდადებული ბრძოლა არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ საერთო რევოლუციური აღტკინების თვალსაჩინო ნაწილი იყო და პარტიის ყურადღების ცენტრში იდგა. მისი ნორმალური წარმართვისათვის ზრუნავდნენ დიდი ბელადები ლ ე ნ ი ნ ი და ს ტ ა ლ ი ნ ი.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი პარტიის III ყრილობაზე 19/IV (2/V) (1905 წ.) აღნიშნავდა: „გლეხური მოძრაობისათვის მხარდაჭერის საკითხი, შეიძლება ითქვას, ორად იყოფა: 1) თეორიული საფუძვლები და 2) პარტიის პრაქტიკული გამოცდილება. ამ უკანასკნელ საკითხზე პასუხს მოგვცემს მეორე მომხსენებელი ამხ. ბარსოვი, რომელიც საუცხოოდ იცნობს ყ ვ ე ლ ა ზ ე მ ო წ ი ნ ა ვ ე გ ლ ე ხ უ რ მ ო ძ რ ა ო ბ ა ს – გ უ რ ი ა შ ი“ (ლენინი, თხზ. ტ. 8, IV გამოც. გვ. 471, ხაზგასმა ჩვენია).

შემდეგ ლ ე ნ ი ნ ი დამსწრეთ მოაგონებდა, რომ „ეს მოძრაობა ჩვენ თვალწინ ფართოვდება და იზრდება. მთავრობა კვლავ მიმართავს ძველებურ ცდებს მოატყუოს გლეხები ცრუ დათმობებით. საჭიროა გარყვნის ამ პოლიტიკას დავუპირდაპიროთ ჩვენი პარტიის ლოზუნგები“ (იქვე, გვ. 471 – 472).

პარტიის III ყრილობამ მიიღო ლენინის მიერ შედგენილი „პროექტი რეზოლუციისა კავკასიის ამბები. შესახებ“, რომელშიც მთელი 4 მუხლი აღფრთოვანებით ლაპარაკობს კავკასიის ამბებზე. აქ პირველ რიგში მხედველობაშია გურიის აჯანყება (იხილე ლენინის თხზ. ტ. 8, გვ. 497); ამავე რეზოლიუციის პროექტში ყრილობა მხურვალე სალამს უთვლის „კავკასიის გმირ პროლეტარიატსა და გლესობას“ და, სხვა ღონისძიებათა შორის, პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ადგილობრივ კომიტეტებს ავალებს ენერგიული ზომების მიღებას „დახმარების დროზე გასაწევად შეიარაღებული ძალით“ (იქვე, გვ. 49 – 498).

ლიბერალური წრეების მიერ წამოყენებული შერიგების პოლიტიკას, რომელიც მთავრობის წაქეზებით და მხარდაჭერით სარგებლობდა, მკვეთრი წინააღმდეგი იყო ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი, რომელიც იმ ხანებში წერდა:

„ალყაშემორტყმული მეფის თვითმპყრობელობა გველივით იცვლის ძველ კანს, და, მაშინ

როცა უკმაყოფილო რუსეთი გადამწყვეტი იერიშისთვის ემზადება, იგი ტოვებს (ვითომდა ტოვებს!) თავის მ ა თ რ ა ხ ს და, ცხვრის ქურქში გამოწყობილი, აცხადებს შ ე რ ი გ ე ბ ი ს პ ო ლ ი ტ ი კ ა ს!“ და მოწოდების დროს, რომ შური ვიძიოთ სახელოვანი ამხანაგებისათვისო, ჩამოთვლის აჯანყების კერებს მთელი რუსეთის მასშტაბით, რომელთა შორის გურიასაც ასახელებს (ი. ბ. სტალინი, თხზ. ტ. 1 გვ. 74 – 76. ხაზგასმა ავტორისაა).

ერთ-ერთ პროკლამაციაში, აანალიზებს რა შექმნილ ვითარებას, ამხანგი ს ტ ა ლ ი ნ ი ასკვნის: „დიახ, ამხანაგებო, ჩ ვ ე ნ ი პ ა რ ტ ი ი ს პ ი რ დ ა პ ი რ ი მ ო ვ ა ლ ე ო ბ ა ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა მ ო ა წ ყ ო ს, – აი რა გვიჩვენა ამ ორი – სამი თვის ისტორიამ“ („ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პროკლამაციები 1904 – 1907 წ.“ გვ. 126, ხაზგასმა ავტორისაა).



ჯარი გაგზავნა გურიის დასასჯელად. ეგ რომ ჩვენ შევიტყეთ, თავზარი დაგვეცა, რადგანაც გურიას განადგურება ელოდა. შეიკრიბა მთელი ინტელიგენცია, ყველა პარტიების წარმომადგენლები, სამღვდელოება და გადასწყვიტეს დეპუტაცია გაეგზავნათ ვორონცოვთან და ეთხოვნათ მისთვის, რომ დამსჯელი რაზმი უკან დაებრუნებია. დეპუტატები ამოირჩიეს ილიას მეთაურობით, რომელსაც უნდა ვორონცოვი დაერწმუნებია, რომ გურია დამშვიდდება და აღარავითარ წინააღმდეგობას არ გაუწევს მთავრობას. წავიდა ილია დეპუტაციით. დიდი ძოლაპარაკებისა და თხოვნის შემდეგ დაითანხმეს ვორონცოვი. მან ალიხანოვი სამტრედაიდან დააბრუნა უკან. მაგრამ ამის შემდეგ არ გასულა ერთი თვე, რომ გურული რევოლუციონერები ნასაკირალზე თავს დაესხნენ ერთ როტა რუსის ჯარს და სანახევროდ ამოსწყვიტეს. მთავრობამ ეხლა უფრო გაძლიერებული ჯარით გაგზავნა ალიხანოვი, რომელსაც გრიაზნოვის კარნახით ასეთი ინსტრუქცია მისცეს: სადგურ ნატანებიდან დაწყებული შვიდ ვერსზე ყოველ მხრივ ოზურგეთამდის და შემდეგ ოზურგეთის ზემოთაც მთელი სოფლებე მოესპოთ, სახლები გადაებუგათ და მცხოვრებნი დაეპატიმრებინათ.

ქართველი ინტელიგენტები ხელმეორედ შევიკრიბეთ დავით სარაჯიშვილის ბინაზე. ილიაც მოვიდა, შეიქნა ბაასი, თუ რა ზომა მიგვეღო, როგორ მოვქცეულიყავით, რომ გურია დაღუპვას გადაგვერჩინა, სხვა საშუალება არაფერი იყო, ხელმეორედ უნდა გაგვეგზავნა დეპუტაცია ვორონცოვთან და გვეთხოვა დაბრუნება ალიხანოვის დამსჯელი რაზმისა. დაიწყეს დეპუტატების დასახელება. პირველად დააასახელეს ილია ჭავჭავაძე, მაგრამ ილიამ განაცხადა: „ჩემი წასვლა ვორონცოვთან არ ივარგებს, რადგან ამ ცოტა ხნის წინათ ვარ-

---

რუსეთისა და საქართველოს გლეხთა მოძრაობის რევოლუციურ აღმავლობაზე, მათ დარაზმულობაზე მიუთითებს მეორე პროკლამაციაც –- „იმსხვრევა ბორკილები“ (იქვე გვ. 119).

1903 წლის მაისში რ. ს – დ. მ. პ. კავკასიის კავშირმა 70 ათას ცალად გამოუშვა სპეციალური მოწოდება - პროკლამაცია – „გურიის გლეხებს". ასევე, 1904 წელს გამოცემულ ბროშურაშიც – „გლეხთა მოძრაობა გურიაში“ – აღნიშნულია, რომ გურიის გლეხთა ბრძოლას სათავეში ედგნენ სოციალ-დემოკრატიული წრეები.

გურიის გლეხთა აჯანყებას გამოეხმაურა რევოლუციური გაზეთი „ვპერიოდი“, რომელმაც თავის 1905 წ. 10 მარტის მე-11 ნომერში მოათავსა მოზრდილი კორესპონდენცია.

ამხანაგი ლ. პ. ბ ე რ ი ა თავის ისტორიულ ნაშრომში „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორ-ორგანიზაციების ისტორიის საკითხასათვის“ – წერს: „საქართველოს მთელ რიგ რაიონებში (ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკის, გორის, დუშეთის, თბილისის და თელავის მაზრები), განსა-

კუთრებით გურიაში (ოზურგეთის მაზრა), გლეხთა დიდი შეიარაღებული აჯანყებები ხდებოდა. გლეხთა რევოლუციური კომიტეტები – რევოლუციური გლეხობის შეიარაღებული აჯანყების ორგანოები – ახორციელებდენ მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდებას, ყოველგვარი გადასახადების გაუქმებას, მემამულეთა, სამღვდელოების და მთავრობის დაწესებულებათა ბოიკოტს.“ ლ. ბერია – „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკთხისათვის“, 1949 წ. გვ. 56).

ასეთია მიდგომა და შეფასება გურიის რევოლუციური მოძრაობისა ბოლშევიკური ორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელების მიერ. ცხადია, პეტიციებისა და დეპუტაციების ის მეთოდი, რომლის შესახებაც იგონებს ექ. თაყაიშვილი, არსებითად არ ეთანხმებოდა ნამდვილ რევოლუციურ გზას და თავისებურად ხელს უწყობდა მეფის მთავრობასთან ხალხის „შერიგების“ თვითმპყრობელურ პოლიტიკას, რაც ნათელია თვით ვორონცოვის თანხმობითაც – გაეგზავნა დეპუტაცია გურიაში (იხ. მოგონებანი, გვ. 37-39). **რედაქცია.**



წმუნებდით, რომ გურულები მთავრობას აღარავითარ წინააღმდეგობას აღარ გაუწევენო“. დეპუტაციაში ამოირჩიეს: ქალაქის თავი ალექსანდრე ჩერქეზიშვილი, დავით სარაჯიშვილი, ვლადიმერ მიქელაძე, ეპისკოპოსი გიორგი ალადაშვილი, ბიძა აწ განსვენებული აკადემიკოსის დოქტორ ალადაშვილისა, სტეფანე ჭრელაშვილი, მე და კიდევ რამოდენიმე სხვა დეპუტაცია უნდა წარედგინა ნამესტნიკისათვის საშიკო ორბელიანს, რომელიც მაშინ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი იყო. მიგვიღო ვორონცოვმა თავის კაბინეტში. თვითონ ვორონცოვი პატარა დივანზე იჯდა. მან თავისთან დაისვა ჩვენი წინამძღოლი ორბელიანი, ჩვენ კი ირგვლივ შემოვუსხედით სკამებზე, ჩვენს უკან იდგა ვორონცოვის სამხედრო ნაწილის გამგე შირინკინი. ჩერქეზიშვილმა მას მოახსენა ჩვენი თხოვნა, დიდხანს ელაპარაკეს აგრეთვე ვლადიმერ მიქელაძემ და დეპუტაციის სხვა წევრებმაც. ვორონცოვი დამშვიდებულად და დინჯად იჯდა ჩეენს წინ და ყურადღებით უსმენდა ყველას, ხელში შავი გიშრის კრიალოსანი ეჭირა და მას ათამაშებდა. ბოლოს მან პასუხად გვითხრა: „თქვენ ამბობთ, რომ გურულები არ არიან რუსეთის მთავრობის წინააღმდეგი, მაგრამ ეს საიდან სჩანს? ჯერ ერთი, სამი წელიწადია სახელმწიფო გადასახადი არ შემოუტანიათ, მაზრის უფროსი გააძევეს, რუსის პოლიცია მოხსნეს, სამომრიგებლო სასამართლო გააუქმეს, საკუთარი სასამართლო გაიჩინეს. ესეც არ იკმარეს და ახლა სამხედრო ჯარს თავს დაესხნენ და ამოსწყვიტეს. ეს არის მათი ლოიალობა ჩვენი სახელმწიფოს წინაშე? მე ეხლა ჯარის დაბრუნება უკან არ შემიძლია, ეს ყოვლად შეუძლებელია იმ ამბის შემდეგ, რაც გურიაში მოხდა“.

ამ პასუხის შემდეგ ნებართვის გამოუთხოვნელად მე დავიწყე ლაპარაკი, მინდოდა ასე თუ ისე პასუხი გამეცა მისი გადაწყვეტილების გამო. დაახლოვებით შემდეგი ვთქვი:

„Долг мудрого правителя состоит в том, чтобы мирным путем разрешать все важные вопросы, не прибегая к военным репрессиям, когда это возможно. Я сам гуриец, знаю хорошо Гурию и глубоко убежден, что если бы они знали о манифесте, о котором мы к сожалению поздно узнали, то этого инцидента не случилось бы, ибо манифест даст все, или

почти все, что они требовали и чего домогались. Подумайте, ваше сиятельство, насколько это удобно, что в столь торжественный момент объявления манифеста, который гарантирует амнистию, гурийцпы получат карательный отряд. Еще вопрос, гурийцы ли напали на воинский отряд, или воинский отряд на гурийцев. Послать депутацию мы просим потому, что глубоко убеждены, достигнем цели, что булет по нашему мнению и Вам приятно. Поэтому мы, убедительно Вас просим, послать Ваше доверенное лицо вместе с нашими представителями, которые по моему убеждению могут урегулировать это лело мирно".

ჩემ სიტყვებზე ვორონცოვი ცოტა ხანს გაჩუმდა და შემდეგ წამოდგა და გამოგვიცხადა. „Я подумаю и после дам вам знать". ჩვენ მადლობა



ვუთხარით და წამოვედით. არ გასულა ერთი საათი და გვაცნობეს, რომ ვორონცოვი თანახმაა გურიაში გაგზავნოს დეპუტაცია. ილიას დიდად გაუკვირდა და გვითხრა: „ეს დიდი, დიდი მიღწევაა, მე არ მოველოდდი ამასო".

მეორე დღეს გავიგეთ, რომ დეპუტაციის მეთაურად ვორონცოვს აერჩია ევგენი ვეიდენბაუმი, რომელიც ნამესტნიკის საბჭოს წევრი იყო და რუსეთის დროის კავკასიის ისტორიის კარგი მცოდნე. ამას გარდა ჩემთან მოვიდა მეფისნაცვლის მდივანი პეტერსონი და მითხრა: „თქვენ დიდი შთაბეჭდილება მოახდინეთ ვორონცოვზე, დიდი ყოყმანის შემდეგ თქვენ დაგეთანხმათ და მისი მხრით მეორე დეპუტატად თქვენ აგირჩიათ აა გთხოვათ ვეიდენბაუმთან ერთად თქვენც წახვიდეთ გურიაში, ყველა ხარჯს ჩვენ ვიკისრებთო" მე ვუთხარი: „მე ისედაც ვაპირებ წასვლას თავადაზნაურობის სიით. ვეიდენბაუმი ღირსეული კაცია, ჩემი მეგობარი, მაგრამ გურულები მას ნაკლებად იცნობენ, ამიტომ კარგი იქნება მასთან ერთად ღენერალი მალამა დაინიშნოს". პეტერსონს ეს მოეწონა და თქვა: „კარგი წინადადებაა, დღესვე გადავცემ ვორონცოვს და პასუხს შეგატყობინებთო". სამი საათის შემდეგ მაცნობა, მეფისნაცვალი თანახმაა მალამა, ვეიდენბაუმი და თქვენ წახვიდეთო (მალამა მეფისნაც–ვლის თანაშემწე იყო სამხედრო ნაწილში და სხვებზედ უფრო ლიბერალად ითვლებოდა).

მოვემზადენით და ორ დღემი გურიაში უნდა წავსულიყავით, მაგრამ მოულოდნელად მოვიდა ქუთაისის გუბერნატორი სტაროსელსკი, ის წარუდგა მაშინვე ვორონცოვს და მოახსენა, რომ იყო ოზურგეთში, ყველაფერი მოაგვარა, ხალხი დაამშვიდა, ინცინდენტი მოხდა მაზრის უფროსის უტაქტობითო. არავითარი დეპუტაცია არ არის საჭირო. თუ დეპუტაცია წავა, მე სახელი გამიტყდება და გუბერნატორად დარჩენა აღარ შემეძლებაო. ვორონცოვმა მას დაუჯერა და ჩვენი დეპუტაცია მოხსნილი იქნა.

მეორე დღეს ყოფილი მარშალი დავით მელიქიშვილი მოვიდა ჩემთან და სასტუმროში წამიყვანა ქუთაისის გუბერნატორ, მის ნათესავ სტაროსელსკისთან. ის მოგვიყვა ამბავს რომ გურიაში ყეელაფერი დაამშვიდა და დეპუტაცია სრულებით საჭირო არ არისო. მას დიღი ნერვიულობა ეტყობოდა, დადიოდა ოთახში წინ და უკან და სულ იძახდა:

„я, я, я! я все сделал, меня все слушают, меня все уважают“ და სხვა...

სწორი გითხრათ, სტაროსელსკი არ მომეჩვენა სერიოზულ ადამიანად, თუმცა განათლებული კაცი იყო, სპეციალობით აგრონომი. წინათ ის საქარის „პიტომნიკის“ გამგე იყო და მშვენივრად ჰქონდა საქმე დაყენებული. ეს „პიტომნიკი" დავათვალიერე პროფესორ ვასილ პეტრიაშვილთან ერთად, როდესაც ის ოდესის სტუდენტთა ექსკურსიას ხელმძღვანელობდა საქართველოში. მაშინ სტაროსელსკი იქ არ დაგვიხდა, მისმა მეუღლემ და თანამშრომლებმა მიგვიღეს. ყველაფერი დაწვრილებით გვიჩვენეს და დიდი პატივი გვცეს...



## ილიასა და აკაკის დამოკიდებულება

გავრცელებული აზრი, ვითომც ილიასა და აკაკის შუა ცუდი განწყობილება იყო, არ არის მართალი. მხოლოდ მლიქვნელები და ბოროტი ხალხი ცდილობდა მათ შორის ცუდი განწყობილება ჩამოეგდო. საერთოდ მათ ახლო მეგობრული ურთიერთობა არა ჰქონდათ. აკაკი არ დადიოდა ილიასთან, არც ილია – აკაკისთან, ისინი მხოლოდ სახოგადო კრებებზე ხედებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ მათ ერთმანეთის დიდი პატივისცემა ჰქონდათ, ერთი მეორის ნიჭს და სამსახურს სამშობლოს წინაშე დიდად აფასებდნენ. თუ ვინმე დაიწყებდა ილიას წინაშე აკაკის შესახებ კრიტიკას და ცუდად ხსენებას, ილია მაშინვე გააწყვეტინებდა სიტყვას, თვით ილიასაგან კი არასოდეს არ გამიგონია და არც სადმე წამიკითხავს წუნი და კრიტიკა აკაკის ნაწერების შესახებ გარდა იმისა, რომ მან წერილობით არ მოიწონა აკაკის დახასიათება „ვეფხის ტყაოსნის“ გმირებისა და რაც დაწერა მან „ორ-ხმიან საახალწლო ოპერეტში“. მახსოვს მხოლოდ ერთი მცირედი შენიშვნა: როდესაც ანასტასია წერეთელმა საბავშვო ჟურნალის „ჯეჯილის“ გამოცემა განიზრახა, მან ჩვენ მწერლებს სთხოვა, მიეცათ მისთვის ლექსი პირველ ნომრისათვის. ილიას მიეცა ლექსი „ბაზალეთის ტბა“, ხოლო აკაკის – ლექსი „ღამურა“. მე ვიყავი ილიასთან, როდესაც ანასტასია წერეთელმა მოიტანა ცენზორიდან დაბრუნებული კორექტურა ორივე ლექსისა. „ბაზალეთის ტბა“-ში ცენზორს ზოგიერთი სიტყვები და სამი უკანასკნელი სტროფი ამოეშალა. ილიამ უთხრა გრიგოლ ყიფშიძეს: ეხლავე ეს ამოშლილი სიტყვები და სტროფები ჩავწეროთ და შევინახოთ, რომ მერმე არ დაიკარგოსო. შესწორებული ცალი ილიას გადასცეს და მეორე ცალებში მან თავის ხელით შეიტანა ამოშლილი სიტყვები და სტროფები. შემდეგ წაგვიკითხეს აკაკის ლექსი „ღამურა“, ილიამ დიდად მოიწონა იგი, მაგრამ შენიშნა: „ბოლოს ორი სტროფი სრულიად ზედმეტია, აკაკის ნაკლი ეგ არის, რომ ნაწარმოების გათავება არ იცისო. სურათი რომ დახატა, ამით უნდა გაეთავებია“-ო.

ეს იყო და ეს მარტო, სხვა შენიშვნა აკაკის ნაწერების შესახებ, მე მისგან არა მსმენია.

რაც შეეხება „ვეფხის-ტყაოსანზე“ წაკითხული ლექციის დედა აზრს, რომ ტარიელი ქართლელ ტიპს წარმოადგენს, ავთანდილი იმერელისას და ფრიდონი მეგრელისას, ეს აზრი ეკუთვნის ნიკო დადიანს. ეს მე პირველად მოვის-

მინე ერთ ქართველ ინტელიგენციის კრებაზე ქუთაისში, როდესაც მე ქუთაისის გიმნაზიის უფროსი კლასის შეგირდი ვიყავ. აკაკიმ ამის შესახებ ლექცია წაიკითხა 1836 წელს, როდესაც მე უკვე პეტერბურგის უნივერსიტეტის მე-4 კურსზე ვიყავი. იმ ხანად კანიკულებზე ქუთაისში ვიყავ ჩამოსული და შემთხვევა მომეცა ეს ლექცია მომესმინა. აკაკიმ ნიკო დადიანის დედააზრი განა-



ვრცო და გაალამაზა. რასაკვირველია, ილია მართალია, რომ რუსთაველის მიერ დახატული მსოფლიო მნიშვნელობის გმირების უბრალო ეთნოგრაფიულ ტიპებად აღიარება შეუძლებელია. მაგრამ ხელაღებით არც იმის თქმა შეიძლება, რომ ასე თუ ისე რამოდენიმედ მაინც, ტარიელის ტიპი ქართლელს არ მოგვაგონებს და ავთანდილისა იმერელს.

## ილია და სათავადაზნაურო სკოლა

ილია ჭავჭავაძე დიდ მონაწილეობას იღებდა სააზნაურო სკოლის დაარსებაში 1879 წელს, მისი ტიპის და პროგრამის გამომუშავებაში, პანსიონის მოწყობაში და სხვა. დავა იმის შესახებ, თუ რა ტიპის უნდა ყოფილიყო სააზნაურო სკოლა: კლასიკური, რეალური თუ სამეურნეო, არას დროს არ შეწყვეტილა. ილია ყოველთვის სამეურნეო ტიპის მომხრე იყო. ბოლოს და ბოლოს საკითხი კლასიკური გიმნაზიის გახსნით გადაწყდა. მისი მოწყობა და გამგეობა მე ჩამბარდა 1894 წელს. აქ მოვიყვან ილაას ერთ წინადადებას, რომელიც ეხება პანსიონის სურსათ-სანოვაგის მომარაგების საკითხს და რომელიც დაბეჭდილია 1882 წელს გაზეთ „დროების“ № 12-ში.

> „შაბათს, მაისის 29-ს იყო უკანასკნელი ეგზამენი ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში. სკოლის კომიტეტის წევრთა გარდა, ამ დღეს ეგზამენს დაესწრენ ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე ორბელიანი, ლ. მაღალაშვილი, ზ. ბარათაშვილი და სხვა. ეს პატივცემული პირნი კმაყოფილებით ისმენდნენ მოსწავლეთა სიტყვა-პასუხს და მათგან თავისი ცოდნის გამოჩენას.
>
> ეგზამენების შემდეგ მათ დახედეს ბავშვებს, როდესაც ესენი სადილსა სჭამდნენ... აქ ერთს გარემოებას მიაქციეს ყურადღება – ღვინის უქონლობას სუფრაზე – ძალიან კარგი იქნებაო, ბრძანა ალექსანდრე ორბელიანმა, რომ ამ ბავშვებს ღვინო ჩვენ უგზავნოთ ხოლმე...
>
> – აი, ბატონებო, შევგროვდეთ ერთი თხუთმეტიოდე კაცი, სთქვა ილიამ, და დავაწესოთ, რომ თვითეულმა ჩვენგანმა წელიწადში ოროლი კოკა ღვინო და თხუთმეტ-თხუთმეტი კოდი პური შეაწიოს ხოლმე ამ სკოლას.
>
> ამ წინადადებაზე ყველა იქ მყოფთ ერთხმად თანხმობა გამოაცხადეს... იქვე იყვნენ დასახელებული ქართლისა და კახეთის ზოგიერთი პატივცემული პირი, რომელნიც კმაყოფილებით იკისრებდნენ ამ პატარა საზოგადოების წევრობას და მით თავის ერთად-ერთ სკოლას დიდს შემწეობას აღმოუჩენდნენ.

ეჭვი არ არის, რომ აქ მოხსენებული საქმედ გადაიქცევა: საკმაოა ზემოდ დასახელებული პირები გავიხსენოთ, რომ ყოველივე იჭვნეულობა ამ სიტყვების განხორციელებაში გაიფანტოს. **ლ**“.

ეს შენიშვნა უნდა ეკუთვნოდეს ნიკო ლომოურს, რომელიც 1882 წელს იყო გამგე სათავად-აზნაურო სკოლისა.



**ილია და საქართველოს ისტორია, არქეოლოგია და სიძველენი**

ილია დიდი მოყვარული იყო საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიისა, ის დიდი პატივისმცემელი იყო ჩვენი არქეოლოგის – დიმიტრი ბაქრაძისა, დიდადაც აფასებდა მის მუშაობას. როდესაც მე დ. ბაქრაძეს გავეცანი და დავიწყე მასთან მუშაობა საეკლესიო მუზეუმის მოსაწყობად, მაშინ ილიასთან მისულიყო ერთი ბერძენი, მიეტანა ლიგატურის იატაკის ქვები და ეთქვა, რომ ეს ქვები მან ამოიღო ერთი კოშკის ნანგრევებიდან მცხეთაში. ილია დაანტერესებულიყო ამით და დიმიტრი ბაქრაძეს სთხოვა მცხეთაში გათხრები ეწარმოებინა, ხარჯის ფულს მე შევაგროვებო. იმ დროს თბილისში ილია ოქრომჭედლიშვილი იყო ჩამოსული. მან სიხარულით გაიღო ამ ხარჯისთვის 100 მანეთი. ბაქრაძეს ნება ჰქონდა საარქეოლოგიო კომისიიდან გათხრების წარმოებისა, მაგრამ ამ მუშაობაზე მან უარი თქვა: „არ მცალია და მაგისთვის მცხეთაში ვერ წავალ, მეტადრე ფული სრულიად საკმარისი არ არის გათხრისათვისო“. ილიამ უთხრა: „ამით დავიწყოთ და თუ კი რამე გამოჩნდება, მერე სხვა ფულს ვიშოვითო“. დ. ბაქრაძემ მე მთხოვა დამეწყო ეს საცდელი გათხრა, მაგრამ მეც სკოლაში დატვირთული ვიყავი გაკვეთილებით და ვუპასუხე: „მე მყავს აქ ერთი ახალგაზრდა, გვარად ქუთათელაძე, ნიკო მარის ამხანაგი, იმას ჯერ არავითარი სამსახური არა აქვს, მას დავაკისრებ თავზე დგომას, მე მხოლოდ საღამოობით ვივლი და თვალყურს ვადევნებ“-მეოჟი. ბაქრაძე დამთანხმდა.

დათიკო ქუთათელაძემ იმ ხანად დაასრულა მათემატიკის ფაკულტეტი პეტერბურგის უნივერსიტეტში და თბილისში იყო ჩამოსული; ის ჩემი პეტერბურგიდან წამოსვლის შემდეგ ნიკო მართან ცხოვრობდა, მას უვლიდა და ეხმარებოდა ყოველგვარ საქმეში; მაშინ ნიკო მარი მეთორმეტე საუკუნის ქართულ ოდებს („აბდულმესიასა“ და „თამარიანს“) ამზადებდა გამოსაცემად და ქუთათელაძეც ხელს უწყობდა. მან ნიკო მარის ჩიჩინით სულ ზეპირად იცოდა ეს ოდები და დიდი სურვილი ჰქონდა ძველ ქართულ ლიტერატურაში ემუშავა, თუ კი ცოტა სარჩოსაც იშოვნიდა თბილისში. ქართველისათვის თბილისში რაიმე სახელმწიფო სამსახურის მიღება შეუძლებელი იყო. პირველ ხანებში მას გადავეცი კერძო გაკვეთილები, რომლებიც მე მქონდა სხვადასხვა ოჯახებში, და ამით ცხოვრობდა ერთ ხანს. დ. ქუთათელაძე მაშინვე დათანხმდა მცხეთაში წასულიყო და გათხრა ეწარმოებინა. მისთვის ეს კიდევ იმ გარემოებით გაადვილდა, რომ მას მცხეთაში ყავდა ერთი ნათესავი მონაზონი ქალი და მასთან შეეძლო ღამის გათევა. წავედით, გავსინჯეთ ის კოშკი და მე აზრად მომივიდა, რომ ამ კოშკს უნდა კუთვნებოდა ის ქვა, რომელიც მცხეთაში იყო

ნახული. ქვის წარწერა მოგვითხრობდა, რომ რომაელმა მეფემ ვესპასიანმა იბერიის მეფეს ფარსმანს აუშენა ციხე-სიმაგრეო.

დათიკო ქუთათელაძემ დაიქირავა ორი კაცი და ილიასთან მისული ბერძნის თანხლებით დაიწყო მუშაობა. მცხეთაში მე მივდიოდი საღამოობით ორ დღეში ერთხელ და თვალყურს ვადევნებდი გათხრებს. დ. ქუთათელაძე ბროსეს მიხედვით „რაპორტებს“ მაწვდიდა, თუ რა დღეს რა გააკეთა. მუშაობამ



გასტანა ორკვირაზე მეტი და, როდესაც ფული დაილია, გათხრაც შევწყვიტეთ.

კოშკი აშენებული იყო რიყის ქვით, შესდგებოდა რამოდენიმე სართულისაგან. ქვემო სართული ორ ნაწილად იყო გაყოფილი. იატაკი ყველგან ლიგატურის ქვებისაგან იყო შემდგარი და კედლები მოხატული ყოფილიყო, რომაული მხატვრობით. სხვათა შორის აქ ვნახეთ ფერადებით დახატული (ერთ ნაგლესის ნატეხზე) კარგად დაცული ანტიკური-რომაული ქალღმერთის თავი. ვიპოვნეთ აგრეთვე ბრინჯაოს და რკინის ისრის პირები, მძივები, სხვადასხვა ფერის მინის ნატეხები, შუშის ჭურჭლის ნატეხები, საცრემლეები, პატარა თიხის კოჭობი ქათმის ძვლებით სავსე და სხვა. ამას გარდა დავრწმუნდით, რომ იმ მეორე სართულის ქვემოთ კიდევ უნდა ყოფილიყო მესამე სართული, და ეს მართლაც ასე აღმოჩნდა, როდესაც ამ უკანასკნელ წლებში განაგრძეს არქეოლოგიური მუშაობა. ამ კოშკის მახლობლად სხვათა შორის მდიდრული ქალის სამარხიც აღმოჩნდა.

გათხრის ანგარიში და აღმოჩენილი ნივთები წარუდგინეთ ილიას. ილია დიდად კმაყოფილი დარჩა იმით, რომ გამოირკვა, თუ რას წარმოადგენდა ეს კოშკი, რომელ დროს ეკუთვნის და რომ მოხატულიც ყოფილა, ნაპოვნ ნივთებზე კი თქვა: „100 მანეთად მარტო ეგ ქალღმერთის თავი ღირსო“.

ილია სულ იმას ამბობდა, რომ უნდა გვყავდეს ერთი კაცი, რომელიც ჩვენს ისტორიასა და არქეოლოგიაზე იმუშავებს. მას სხვა არაფერი საქმე არ უნდა ჰქონდეს. სირცხვილია ჩვენთვის, რომ ამისთანა კაცი არა გვყავსო.

ერთხელ ნიკო ღოღობერიძემ მიგვიწვია რამოდენიმე კაცი, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ილია ჭავჭავაძე, ნიკო ცხვედაძე. იაკობ ისრალოვი, მე და კიდევ სხვები და გამოგვიცხადა: „განზრახვა მაქვს საქველმოქმედო საქმისათეის დავტოვო 50 ათასი მანეთი და მირჩიეთ, რა მიზნისათვის და რომელ საზოგადოებას დაუტოვო ეს თანხა?“.

ილიამ ასეთი წინადადება შემოიტანა: „ეს თანხა გადაეცეს წერა-კითხვის საზოგადოებას, რომ მან აიჩინოს ერთი კაცი, რომელიც სპეციალურად იმუშავებს საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის და ძველი ლიტერატურის დარგშიო“.

ზოგიერთის აზრი იყო: თანხის შემოსავალი მოხმარებოდა ახალი სკოლების გახსნას, ზოგიც იმ აზრისა იყო, რომ ქართველი სტუდენტებისათვის სტიპენდიები დაენიშნათ უმაღლეს სასწავლებლებში.

ნიკო ღოღობერიძემ თქვა, რომ ყველას სჯობია, შემოსავალი სტიპენდიას მოხმარდეს, ჩვენმა ახალგაზრდობამ ჯეროვანი განათლება მიიღოს, ამ შემო-

სავლით სულ მცირე 8 სტიპენდია დაინიმნებაო. თუ ვის მიეცეს იგი, ჩემს სიცოცხლეში მე გადავწყვეტ და შემდეგ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ აირჩიოსო.

## მოვალეობის გრძნობა

ილიას ჰქონდა თავის მოვალეობის დადი შეგნება, ამიტომ ის დიდი სიფრთხილით ეპყრობოდა ყველა თავის ნაწერს. არ არის ილიას თხზულება, რომე-



ლიც მას რამოდენიმეჯერ არ გადაეკეთებინოს და არ შეესწორებინოს. ასე იქცეოდა იგი არა მარტო თავის თვალსაჩინო თხზულებების წერის დროს, არამედ სულ უბრალო ბარათის დაწერის დროსაც. გიორგი ჟურულმა მიამბო ერთი გარემოება: „ერთხელ ილიას იაკობ გოგებაშვილის პატარა წერილი მოუვიდა და პასუხს თხოულობდა. დაწერა ერთი პატარა წერილი და დახია, დაწერა მეორე და ისიც დახია. მე ვუთხარი: – რა ამბავია ილია, რომ პასუხი ვერ მოგიხერხებია ამ პატარა შეკითხვაზე?“ მან მითხრა: – „წერილი პატარაა, თუ დიდი, ყველა დოკუმენტია და ამიტომ ყველა წერილი წინასწარი მოფიქრებით უნდა იყოს დაწერილი-ო“.

ამასვე ამბობდნენ „ივერიის“ თანამშრომლებიც: „როდესაც ილია ღამე წერს, დილას მისი ქაღალდების კალათი სავსეა დახეული ქაღალდებითო“. ამით აიხსნება, რომ ილია საჩქაროდ წერილზე არავის პასუხს არ აძლევდა, მანამ კარგად არ მოიფიქრებდა და კმაყოფილი არ იქნებოდა თავის წერილით. აგრეთვე მისი საჯარო სიტყვები ყოველთვის წინდაწინ მოფიქრებული და ზოგჯერ დაწერილიც იყო.

როგორც მახსოვს, ერთხელ ვლადიმერ მიქელაძემ გამოაქვეყნა ერთი წე–რილი, სადაც ამბობდა: ილია სადილად დავპატიჟე, მაგრამ მან მომწერა: „დღეს არ შემიძლია მოსვლა, რადგანაც ევგენი მარკოვის პატივსაცემ საღამოს უნდა დავესწრო და სიტყვა ვთქვა, მე ჩვეულებად არა მაქვს მოუმზადებლად წავეჩხირო“.

ერთხელაც გ. ჟურულის შეკითხვაზე: „ილია, სიტყვებს წერთ, თუ ზეპირად გაქვთ მოფიქრებული?“ – ილიამ უპასუხა: „ზოგჯერ ვწერ, ზოგჯერ ზეპირად მაქვს მოფიქრებული, მაგრამ როგორ უნდა დავიწყო და მოვათავო სიტყვა, ეს ყოველთვის კარგად ვიციო“.

მას ჩვეულებად ჰქონდა მიღებული, როდესაც რაიმე თხზულებას დაწერდა, შეკრებდა თავის თანამშრომლებს, მეგობრებს და მათ წაუკითხავდა ნაწერს, ყურადღებით მოისმენდა შენიშვნებს და ამის საფუძველზე ნაწერს ზოგჯერ ასწორებდა ხოლმე. ეს კარგად არის ცნობილი პოეზიის და ბელეტრისტიკის დარგში. ჩვენ მაშინ გვყავდა საკმაოდ მცოდნე და შეგნებული ხალხი, რომელთაც შეეძლოთ ჯეროვანი დაფასება მხატვრული ნაწარმოებისა. როდესაც მან „ქვათა ღაღადი“ დაწერა, შეკრიბა მეგობარ ლიტერატორთა წრე; მეც მიმიწვია. ჩემს გარდა იქ იყვნენ ვლადიმერ მიქელაძე, ნიკო ცხვედაძე, ნიკო ხიზანიშვილი, ბანკის დირექტორი მიშა გრუზინსკი. ილიამ წაგვი-

კითხა ეს შესანიშნავი სტილით დაწერილი თხზულება, რომელიც, რა თქმა უნდა, მიმართული იყო პროფესორ პატკანოვისა და იმ სომეხ მწერლებისადმი, რომელნიც საქართველოს ისტორიასა და კულტურას ამცირებდნენ. როდესაც იმან კითხვა დაამთავრა, ყველამ ერთხმად მოიწონა. არავის მცირე შენიშვნაც კი არ გაუკეთებია. სხვებისაგან მე არ გამკვირვებია, მაგრამ ნიკო ხიზანიშვილმაც რომ ხმა არ ამოიღო, ეს ძლიერ გამიკვირდა, რადგან ის ამ ისტორიას თვალყურს ადევნებდა, პატკანოვის, ეზოვის წერილები და დამიტრი ბაქრაძის პასუხი წაკითხული ჰქონდა. მე დავრწმუნდი, რომ ილიას თვით პატკანოვის



წერილი „ქართლის ცხოვრების“ შესახებ წაკითხული არ ჰქონია, რადგანაც ის პროფ. პატკანოვს აწერდა ზოგს ისეთ გამოთქმებსა და აზრებს, რომელნიც პატკანოვის წერილში არ იყო. მე ნიკო ხიზანიშვილს, რომელიც ჩემთან გვერდით იჯდა, ხელი ვკარ და ჩუმად ვუთხარი:

– „ნუთუ შენც არაფერი არა გაქვს სათქმელი?“.

მან მიპასუხა: „ეს სამეცნიერო ძიება არ არის, პუბლიცისტური წერილია და, ცოტა რამე რომ აკლდეს, მნიშვნელობა არა აქვსო“.

მერე ილიას შევეკითხე: „თქვენ პატკანოვის წერილი წაკითხული გაქვთ თუ არა?“,

– „არა, მე ის წერილი არ წამიკითხავს, მე ვემყარები დიმიტრი ბაქრაძის დალაგებულ პასუხს, რომელსაც კარგად ვიცნობ, იქ ყველაფერი ჯეროვნად არის გაშუქებული“.

– „ეს თქვენი ნაშრომი, – ვუთხარი მე, – დიდებულია სტალით და პოპულარობით, მაგრამ ზოგიერთი აზრები, რომელთაც თქვენ პატკანოვს აწერთ, სავსებით სწორი არ არის და, ეს თუ არ შესწორდა, მოწინააღმდეგენი პასუხს გაგვცემენ და პატკანოვის წერილიდან ამოწერილი სიტყვებით უარყოფენ ზოგიერთ თქვენს დებულებას. მაგალითად: თქვენ ამბობთ, ვითომც პატკანოვს ეთქვას, რომ მეცამეტე საუკუნემდე ქართველებს დაწერილი მატიანეები არა ჰქონიათ და დასაწყისი ქართლის ცხოვრებისა მაშინ არის შეთხზული სომეხ ავტორისაგანო, ნამდვილად კი პატკანოვი ქართული მატიანეს წარმოშობას მეთერთმეტე- მეთორმეტე საუკუნეებს მიაწერს და სხვ.. ამას თქვენ ნათლად დაინახავთ, როდესაც პატკანოვის წერილს წაიკითხავთ. ეს წერილი აქ მაქვს და მოგართმევთ- მეთქი.

ამოვიღე ჯიბიდან პატკანოვის წერილის ამონაბეჭდი სამინისტრო ჟურნალიდან და ილიას გადავეცი: მან მადლობა გადამიხადა და თქვა, რომ დიდი სიამოვნებით გავეცნობი ამ წერილს და, რასაც დავინახავ საჭიროდ, შევცვლიო.

ილიამ ეს წერილი გამოიყენა და ზოგი რამ შეასწორა კიდეც.

ილია ხშირად მთხოვდა წიგნებს და წყაროებს საქართველოს ისტორიის შესახებ და, რა წიგნიც მქონდა, რასაკვირველია, ვუგზავნიდი.

აქ ორიოდე სიტყვა პროფესორ ალექსანდრე ცაგარელის შესახებ. ალ. ცაგარელმა, როგორც ცნობილია, გამოაქვეყნა გამოკვლევა მეგრულის შესახებ. ამის შემდეგ ა. ცაგარელი ქართული ენის მტრად გამოაცხადეს და ლანძღვა

დაუწყეს. ა. ცაგარელი ლინგვისტი იყო; მაგრამ ხელი ააღებინეს ლინგვისტურ მუშაობაზე, რის გამოც მან დაიწყო რუსული აქტების გამოცემა საქართველოს შესახებ და ხელნაწერთა აღწერილობა.

ილია ჭავჭავაძე, ნიკო ღოღობერიძე და მე ერთ საღამოს წამოვედით დავით სარაჯიშვილის სადილიდან და გზაში ნიკო ღოღობერიძემ ჩამოაგდო ლაპარაკი: „შეუძლებელია მკვლევარისადმი ისეთი მოპყრობა, როგორც ჩვენი ხალხი შეხვდა ალექსანდრე ცაგარელს და მის თხზულებასო“.

ილიამ თქვა: „მე არ ვიცი, რამდენად მეცნიერულია მისი გამოკვლევა, მაგრამ მე ერთი ვიცი, რომ ამან ჩვენ ქართველებს დიდი ზარალი მოგვაყენა.



ეს დაიხვია ხელზე რუსის მთავრობამ და განიზრახა მეგრელები ჩამოაშოროს საერთო ქართულ ოჯახს. გამოაცხადეს, რომ მეგრული ენა სხვა ენა არის, არა ქართული, სკოლაში შემოიღეს მეგრულ ენაზე სწავლება რუსული ანბანით და „აშორდიები“ გაიჩინეს. ამას გარდა ეკლესიაშიც უნდა შემოიღონ მეგრული ენა. კიდევ კარგი, რომ თვით მეგრელობა ასე შეგნებულად შეხვდა მტრების ცდას და მედგარ წინააღმდეგობას უწევს მათ. ასევე რუსის მთავრობის მოხელენი აცხადებენ სვანური ენის თავისებურებას და აპირებენ სკოლამი სწავლება სვანურ ენაზე შემოიღონო“.

### ილია და წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება

ილია ერთი დამაარსებელთაგანი იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, 1886 წლიდან კი – მისი გამგეობის თავმჯდომარე. მე რომ პეტერბურგიდან თბილისში ჩამოვედი, იმავე წელს საზოგადოების კრებაზე გამგეობის წევრად ამირჩიეს. ილია ამ დროს იშვიათად ესწრებოდა გამგეობის კრებებს. მას მხოლოდ მაშინ სთხოვდნენ დასწრებოდა კრებას, როდესაც რაიმე დიდი საქმე წამოიჭრებოდა. ერთი ასეთი საქმე იყო ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის საკითხი. ქუთაისის სკოლა წერა-კითხვის საზოგადოებას ექვემდებარებოდა. იქ უთანხმოება ჩამოვარდა მასწავლებლებსა და გამგეს შორის. როცა ქუთაისში პირველად სათავადაზნაურო სკოლა გაიხსნა, მის გამგედ დაინიშნა ალექსი ბესარიონის-ძე ჭიჭინაძე. მანამდის მას საკუთარი კერძო სასწავლებელი ჰქონდა და თვალსაჩინო მოღვაწე იყო ქუთაისის ყველა საზოგადო საქმეში. შემდეგ ის გადმოვიდა თბილისში და გახდა თბილისის სათავად-აზნაურო სკოლის გამგე. მის ადგილას ქუთაისში დანიშნეს სპირიდონ ჯორჯიკია. პირადად ისიც კარგი მასწავლებელი იყო, მათემატიკოსი, მაგრამ ტაქტი აკლდა, მასწავლებელნი წინააღმდეგნი გახდნენ მისი და საჩივარი გამოგზავნეს. ის იძულებული გახდა გადამდგარიყო თანამდებობიდან. მის ადგილას წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დანიშნა ვასო ყიფიანი, მაგრამ როცა თბილისში კერძო საურთიერთო ბანკი დაარსდა, ვასო გახდა ამ ბანკის დირექტორი, ქუთაისში მის ადგილას დანიშნეს სიმონ ბესარიონის-ძე ღოღობერიძე, ისტორიის ყოფილი მასწავლებელი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიისა. სიმონი კარგი კაცი იყო, ფრიად განათლებული, მაგრა დაღლილი იყო ხან-

გრძლივი სამსახურის გამო, მასწავლებელნი მისი უკმაყოფილონიც იყვნენ და ისიც გადადგა. შემდეგ ალექსანდრე გარსევანიშვილი დაინიშნა გამგედ, რომელიც წინთ მასწავლებლობდა თბილისის სათავადაზნაურო სკოლაში ჩემ დროს; ვერც ეს გამოდგა იქაურ მასწავლებელთათვის მისაღებ კაცად, ამიტომ ისიც გადააყენეს და იოსებ ოცხელი დაინიშნა გამგედ; ამან კი გამოიჩინა უნარი, ჩამოაგდო წესრიგი და განაგებდა სკოლას სულ ბოლომდის.

ილიას მოადგილედ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში ვანო მაჩაბელი იყო და მისი თავმჯდომარეობით ხდებოდა გამგეობის კრება კვირაში ერთხელ. საზოგადო წლიურ კრებაზე კი ყოველთვის ილია იყო თავმჯდომარე. აქ მას ზოგჯერ უსაყვედურებდნენ ზარმაცობას.



ერთხელ მახსოვს ნიკო ხუდადოვის გამოსვლა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წლიურ კრებაზე. ნ. ხუდადოვი გორელი სომეხი იყო, ქართველია მოღვაწე, პატიოსანი და რადიკალური მიმართულების კაცი. ყველა საზოგადო საქმეებში მხურვალე მონაწილეობას იღებდა. ქალაქის თვითმმართველობის ხმოსანი იყო და კრიჭაში ედგა „სოლოლაკის პლუტოკრატიას“. ცნობილია მისი გაშენებული ტყე კუკიაში, სასაფლაოს ზემოთ და სხვა. საზოგადო კრებაზე ნ. ხუდადოვმა რიხიანი ხმით უსაყვედურა ილიას:

– „ილია, სულ ძილი და ძილი არ შეიძლება, არაფერს არ აკეთებ და ჩვენი საზოგადოების საქმეც ვერ მიდის კარგადო“.

ილიამ უპასუხა: – „მე რომ მძინავს და მძინავს, ეს ყველასაგან ცნობილია, მაგრამ შენ თუ გღვიძავს და გგონია, ალბათ, ბევრ რამეს აკეთებ, – ერთი გვაჩვენე რა გაგიკეთებიაო?“.

გამგეობის კრებაზე ილიას დასწრება იმდენად საჭირო არ იყო, რამდენათაც მისი წასვლა ადმინისტრატიულ პირებთან; რომელნიც ხშირად ერეოდნენ საზოგადოების საქმეში და ხელს გვიშლიდნენ. ასეთები იყვნენ სახალხო ინსპექტორები, მზრუნველი, მისი თანაშემწენი, ექზარხოსი და სხვები. ილია საქმეებით მეტად გადატვირთული იყო და იგი იქ ხშირად ვერ ახერხებდა ყველა ამ პირებთან სიარულს.

ერთხელ ი. გოგებაშვილმა მიმიწვია კრებაზე, რომელსაც დაესწრო დაახლოებით 30 კაცი. ამ კრებაზე მან განაცხადა: „ჩვენი საქმეები ძალიან ცუდად მიდის, კაცი არა გვყავს, რომ სხვადასხვა დაწესებულების წარმომადგენელთან განუწყვეტლივ იაროს ან ჩვენ წაგვყვეს, რომ მათ ჩვენი ჭირვარამი ავუხსნათ და უსამართლობაზე ხელი ავაღებინოთო. ილია საქმეებით არის გადატვირთული და მას ასე ხშირად ვერ ვაწუხებთ და თუ კაცი ვერ ვიშოვეთ, რომელსაც მთავრობა ასე თუ ისე ანგარიშს გაუწევს, ვერაფერს ვერ გავხდებითო“.

ვანო მაჩაბელმა თქვა: „ასეთი კაცა ჩვენ გვყავს, ეს არის თბილისის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი შაქრო მაღალაშვილი. თუ მას ამოირჩევთ წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარედ, დიდად გამოგვადგებაო“.

გადასწყვიტეს ის აერჩიათ თავმჯდომარედ. ვ. მაჩაბელს წინდაწინ ამის ნება არ უთხოვია მაღალაშვილისაგან, რომელიც კარგ განწყობილებაში იყო ილიასთან და ამიტომ შეიძლება თავმჯდომარეობაზე არ დათანხმებულიყო,

მაგრამ ვანო დარწმუნებული იყო, რომ მაღალაშვილი უარს არ იტყოდა, თუ კი მას ამოირჩეედნენ. დადგა არჩევნის დღე. ილია თავმჯდომარეობდა. სხვა საქმეები რომ გათავდა, ჯერი მიდგა თავმჯდომარის არჩევაზე. მაშინ კანდიდატების წინდაწინ დასახელება არ იყო მიღებული, დამსწრეთ ბარათებით უნდა დაესახელებიათ, ვინ უნდოდათ თავმჯდომარედ. ჩატარდა არჩევნები და შეკრიბეს ბარათები. ილიამ დაიწყო ბარათების კითხვა. მდივანი წერდა ხმათა ანგარიშს, საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ ილიამ მეტი ხმა მიიღო, ვიდრე მაღალაშვილმა და, ამგვარად, ისევ ილია დარჩა თავმჯდომარედ.

ეს პირველი კრება იყო, რომელზედაც საზოგადოების თავმჯდომარედ სხვა კანდიდატი იყო დასახელებული მის წინააღმდეგ. ილიამ ეს გამოსვლა ვ. მაჩაბელის და გ. წერეთლის ინტრიგად მიიჩნია.



მართლაც დიდი უხერხულობა იყო იმაში, რომ ახალი თავმჯდომარე დასახელებული იყო ილიასთან წინასწარ შეუთანხმებლად, რომელსაც ასეთი განსაკუთრებული, განუზომელად დიდი ღვაწლი მიუძღოდა საზოგადოების წინაშე.

როდესაც ილია აირჩიეს უმაღლესი საბჭოს სათათბიროს წევრად, წერაკითხვის საზოგადოების თავმჯდომარეობიდან გადადგა, მის მაგიერ კი გიორგი ყაზბეგი იქნა არჩეული.

## ილიას მეგობრები და დაახლოვებული პირები

ილია მეტად გულჩათხრობილი ადამიანი იყო, მე არა მგონია მას ისეთი მეგობარი ჰყოლოდეს, რომლისთვისაც თავისი ინტიმური დარდები და გულისთქმა გაენდოს. როდესაც ის საზღვარგარეთ წასასვლელად ემზადებოდა, მე და ნიკო ცხვედაძე მივედით მასთან. ცოტა მოწყენილი დაგხვდა, მაგრამ დიდხანს ვიბაასეთ. სხვათაშორის გვითხრა: „მე დარდიანი ადამიანი ვარ, მაგრამ ჩვეულებად არა მაქვს, რომ ჩემი დარდები სხვას გავუზიარო, მევე ვიკლავ გულშიო“. ვიმეორებ: გულითადი მეგობრები არა ჰყოლია მას, მაგრამ დაახლოვებული პირები ბევრი ჰყავდა და ისინი ითვლებოდნენ ილიას მეგობრებად. მე რომ თბილისში ჩამოვედი, მისი მეგობრები ნიკოლოზ ჯაბადარი, დიმიტრი ყაზბეგი, ბესარიონ ღოღობერიძე ცოცხლები აღარ იყვნენ, ასე რომ მათ შესახებ ვერაფერს გეტყვით. აქ რამდენიმე შენიშვნა ილიას ზოგიერთ დაახლოვებულ პირთა შესახებ.

ი ვ ა ნ ე ე გ ნ ა ტ ე ს - ძ ე პ ო ლ ტ ო რ ა ც კ ი (თბილისის ნოტარიუსი) ილიას ამხანაგი იყო გიმნაზიიდან. ქართული კარგად აცოდა, დაბადებულია ქუთაისში, დედა ქართველი ჰყავდა, ზედგინიძის ასული. პირველი ცოლიდან მას შეეძინა ერთი შვილი, რომელიც ილიას ნათლული იყო და მის სახელს ატარებდა.

ილია პოლტორაცკი (ილიას ნათლული) თბილისის რეალური გიმნაზიის გათავების შემდეგ პარიზში გაემგზავრა უმაღლესი სწავლის მისაღებად და იქ დარჩა, ბანკში მსახურობდა და 1944 წელს გარდაიცვალა.

ივანე პოლტორაცკის მეორე მეუღლე ნადო გაბაშვილის ქალი იყო. ივანეს იმისაგან ექვსი შვილი ჰყავდა: ხუთი ქალი და ერთი ვაჟი.

პოლტორაცკიმ ილიას თხზულებები თარგმნა რუსულ ენაზე. მანვე თარგმნა რუსულად „ვეფხისტყაოსანი“, ხშირად დადიოდა ილიასთან, აჩვენებდა მას „ვეფხისტყაოსნის“ ძნელი ადგილების თარგმანს. ერთხელ მან მითხრა: „ილია წაიკითხავდა ხოლმე ჩემს თარგმანს და ზოგჯერ მეუბნებოდა: ეს ადგილი არ ვარგაო. რომ ვკითხავდი: აბა როგორ უნდა იყოს? – იმას კი აღარ ამბობდა“.

პოლტორაცკი გარდაიცვალა 1892 წლის აგვისტოს დამლევს. მე მაშინ თბილისში არ ვიყავი. ილია დასწრებოდა მის დამარხვას. ეკატერინე გაბაშვილმა და სხვებმაც მითხრეს: „ილიას თვალებიდან კურცხალ-კურცხალი ცრემლები სდიოდაო“. ისინი გაკვირვებულნი იყვნენ: „ერთხელ ძლივს დავინახეთ მის თვალზე ცრემლიო“.



ი ლ ი ა  წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი დიდად დაახლოვებული იყო ილიასთან და ნამეტნავად მის მეუღლე ოლგასთან. ის იყო აგრეთვე ნათესავი ივანე პოლტორაცკისა და მისი მეორე ცოლის – ნადო გაბაშვილისა.

სპეტაკი ადამიანი იყო, დამაარსებელი და ხელმძღვანელი წინამძღვრიანთკარის კერძო სამეურნეო სკოლისა, რომელსაც შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე და ქონება. მე კარგად ვიცნობდი მას. შეიძლება ითქვას, რომ ის იყო უაღრესი ფიზიოკრატი, დარწმუნებული, რომ საქართველოს მარტო მეურნეობის გაჩაღება და განათლება უშველის. ამიტომ, მისი აზრით, ყველა შეძლებულ ქართველს ან უნდა სამეურნეო სკოლა გაეხსნა, ან არა სკოლისთვის თავისი ქონება შეეწირა. ილიას მამულზე ამბობდა: „რა ოხრად უნდა ილიას საგურამოს მამული? შვილი არა ყავს და ძირი, სჯობს ჩვენს სკოლას შემოუერთოს და ამით გავაფართოოთ საქმეო“. წერილებსა ბეჭდავდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. გამოსცა დიდი წიგნი სათაურით: „ვაზის მოვლა".

ი. წინამძღვრიშვილი პირველ ხანებში თბილისის მაზრის მომრიგებელ მსაჯულად მსახურობდა (1868-1901), მერე – თბილისის ქალაქის ნოტარიუსად. უმაღლესი განათლება არ ჰქონდა, მაგრამ ენერგია, მოხერხება და საქმისათვის თავდადება – გამოუთქმელი. პირველად ილია წინამძღვრიშვილი სკოლას თავისი ხარჯით ინახავდა, მერე სათავადაზნაურო ბანკმა დაუნიშნა შემწეობა, მაგრამ მაინც მთელ თავის ჯამაგირსა და მამულის შემოსავალს ზედ ადებდა. ყოველ შაბათს ეტლით მიდიოდა თავის სკოლაში და ორშაბათს უკან ბრუნდებოდა. ზოგჯერ სარევიზიოდ თან მიჰყავდა პედაგოგები, ან შენობის სარემონტოდ – ხელოსნები და სხვანი. თვით საპედაგოგიო საქმის არასპეციალისტი იყო, ამიტომ სკოლის გამგეს და მასწავლებლებს ისეთ რამეებს ავალებდა, რის შესრულებაც შეუძლებელი იყო. მიუხედავად ამისა, სკოლას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, კურსდამთავრებულნი სოფლებში კარგად მუშაობდნენ. ნიჭიერ შეგირდებს ის ნოვიცკის სამეურნეო სასწავლებელში აგზავნიდა, შემწეობას აძლევდა, მათთან მიწერ-მოწერა ჰქონდა. ყველა მისი შეგირდი მას თავის მამად სახავდა.

ზომიერი ცხოვრების და ჰიგიენის მიმდევარმა ილია წინამძღვრიშვილმა

დიდხანს იცოცხლა, მაგრამ უკანასკნელ სამ წელიწადს ლოგინად ჩავარდა. ნიკო ცხვედაძის ყოფილი ცოლი უვლიდა. არც ნათესავებსა და არც მეგობრებს მასთან არ უშვებდა. ეს მანდილოსანი სომხის ქალი იყო. ნიკოდან მას შესძენოდა ერთი ქალი, მერმე მას ნიკო და ქალი მიეტოვებია და პარიზში წასულიყო. თან წაეღო თავისი მზითევი – 40 ათასი მანეთი. პარიზში ის თავისუფალ ცხოვრებას ეწეოდა. ბოლოს უკვე ხანში შესული იგი დაბრუნდა თბილისში და უნდოდა ნიკოსთან ცხოვრება, მაგრამ მან უარი უთხრა. როცა ნიკოს ქალი ცოლად ფილიპე გოგიჩაიშვილმა შეირთო, მას ეგონა თავის ქალთან და სიძესთან მოეწყობოდა, მაგრამ ფილიპემ არ მიიღო, რის შემდეგ ილია წინამძღვრიშვილთან დაბინავდა და მას უვლიდა.

ილია წინამძღვრიშვილის დასაფლავებას ბევრი ხალხი დაესწრო, წესი სიონის ტაძარში აუგეს, შემდეგ წინამძღვრიანთკარში წაასვენეს და იქ დამარხეს ეს მესანიშნავი და უებრო ქართველი მოღვაწე.

50 ე. თაყაიშვილი

ლ ე ვ ა ნ ჯ ა ნ დ ი ე რ ი (1848-1918) ჩემის აზრით ყველაზე უფრო დაახლოვებული პირი იყო ილიასთან. თბილისის მაზრის უფროსი, ჭკვიანი, პატიოსანი, ენერგიული და დიდად შეგნებული, კახეთში ერთ-ერთ მოწინავე კაცად ითვლებოდა, ნივთიერადაც შეძლებული იყო. სადაც კი წავიდოდა ილია, ისიც თან დასდევდა და მოგზაურობის მარშრუტი მის ხელში იყო.

მის დროს მაზრაში სრული სიწყნარე და წესრიგი სუფევდა; ავაზაკობა და თავზე დაცემა არ ყოფილა, მაგრამ ერთხელ მან გოლიცინის წყრომა მაინც დაიმსახურა:

ბორჩალოს მაზრაში ავაზაკობა, კაცის კვლა და ხოცვა-ჟლეტა გახშირდა. გოლიცინისათვის მოეხსენებინათ და ის აღშფოთებული იყო. დაებარებინა ლევან ჯანდიერი და უკითხავად დაეწყო მისთვის ყვირილი: „Вы не на месте. Вы не умеете водворить порялок!“ და ჩამოეთვალა ყველა ის უწესოებანი, რაც ბორჩალოს მაზრაში მომხდარიყო. ამის პასუხად ჯანდიერს ეთქვა: „Ваше сиятельство, я Тифлисский уездный начальник, все что вы перечислили, это имело место в Борчалянском уезде, у меня ничего подобного не было и не может быть!“

ამაზე გოლიცინს წარბშეუშლელად უპასუხნია: „Это всеравно, вы все одинаковы, Борчалинский или Тифлисский“.

ასეთ ხეპრე ადმინისტრატორთან ჰქონდა საქმე ჯანდიერს.

თუ რამდენად შეგნებული ჰქონდა ლ. ჯანდიერს ჩვენი გლეხობის საჭიროებანი, ამაში მე დავრწმუნდი თბილისის და ბორჩალოს მაზრაში არქეოლოგიური მოგზაურობის დროს.

ქვემო-ქართლი (ბორჩალოს მაზრა, და თბილისის მაზრის სამხრეთ-დასავლეთი სანაპირო), ეს შესანიშნავი მხარე და მოწინავე სადროშო საქართველოსი, დაცარიელდა აუარებელი მტრების შემოსევით, მეტადრე ლეკების გაუთავებელი თარეშის დროს. იმის მაგიერ, რომ ეს ადგილები ქართველი ხალხის უმიწო გლეხებით დაესახლებინათ, მთავრობამ XIX საუკუნის ოცდაათიან

წლებში ოსმალეთიდან გადმოასახლა სომხები და ბერძნები; შემდეგ აქ დასახლდნენ გერმანელებიც. თბილისის და ბორჩალოს მაზრების დასავლეთ საზღვრებთან ძველიდან დარჩენილი ქართული სოფელი სულ სამი იყო: ერთი დიდი სოფელი გომარეთი, მეორე – ვარდისუბანი, პატარა სოფელი, 15 კომლიანი, და მესამე – რეხა, სადაც სანახევროდ ბერძნებიც ცხოვრობდნენ. რეხასა და ვარდისუბანს მცირედი მიწა ჰქონდათ, გომარეთს უფრო ნაკლები. ამიტომ მე მეტად გამიკვირდა და მეამა, როდესაც მანგლისის მახლობლად, გოხნარად წოდებული ნასოფლარის ქვემოთ, ვნახე მთიულებით დასახლებული სოფელი 50 კომლისაგან შემდგარი და რიგიანად მოწყობილი. ვკითხე: „საიდან გაჩნდით აქ თქვენ?“ მათ მიპასუხეს: „ჩვენ მთიულები ვართ, მიწა ნაკლები გვქონდა. უშველოს ღმერთმა ლევან ჯანდიერს, მან მოგვხედა და აქ გადმოგგასახლა, საყოფი მიწა მოგვიხერხა და მისი წყალობით მოვითქვით სულიო. აქ ორი ნასოფლარია თავის ეკლესიებით, მაგრამ რაკი მათი სახელები არ ვიცით, ჩვენ სოფელს ახალსოფელი დავარქვითო“. მე ვუთხარი: „ამ ნა-



სოფლარების სახელები მე ეკლესიათა წარწერების მიხედვით გამოვარკვიე, თქვენ ქვემოთ რომ ნასოფლარია, ამის სახელი აზიკვე ყოფილა, აქ ადამიანთა ქანდაკებებიც არის, ერთს „შოთაი“ აწერია, შეიძლება შოთა რუსთაველი იყოს, ხოლო თქვენს სოფელს ბ ზ ა ჰრქმევია“.

ამას გარდა ვთხოვე ეკლესიებისათვის ყური ეგდოთ. დიდად გაუხარდათ და დამპირდნენ მოვლას.

## 2. აკაკი წერეთელი

აკაკის შორიდან ვხედავდი ხშირად ქუთაისში, როდესაც პროგიმნაზიასა და გიმნაზიაში ვსწავლობდი, მაგრამ პირადად მხოლოდ მაშინ გავიცანი, როდესაც გიმნაზიის მეშვიდე კლასში გადავედი. იმ დროს ვცხოვრობდი პოლკოვნიკ ალეესანდრე მუსხელიშვილთან, რომელსაც ცოლად ჰყავდა ნიკო ღოღობერიძის და ანეტა, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ერთობ ჭკვიანი და კარგი ადამიანი. მე ვიყავი რეპეტიტორი ალექსანდრეს ძმისწულისა, რომელიც გიმნაზიის მეოთხე კლასში სწავლობდა, და აგრეთვე ანეტას ძმისწულის, სიმონ ღოღობერიძის ქალის ნინოსი, რომელიც შემდეგ ვაჩნაძეზე იყო გათხოვილი და რომელიც ეხლაც კეთილად სუფევს. იგი მაშინ ქალების სასწავლებელში ქუთაისში სწავლობდა.

აკაკი ზოგჯერ ანეტასთან დადიოდა და იქ ვხვდებოდი მას. შემდეგ მას ქუთაისის თეატრში მოღვაწეობის დროს ხშირად ვხედავდი სცენაზე. იგი რეჟისორი იყო თეატრის კერძო დასისა და გასტროლებში მონაწილეობას იღებდა, სცენაზე თავის ლექსებს კითხულობდა. მაშინ თბილისიდანაც ხშირად მოდიოდნენ აკაკისთან ქართველი არტისტები – ვასო აბაშიძე და ვლადიმერ მესხიშვილი, რომელნიც ჩვენთვის დიდად საყვარელნი იყვნენ, მათ წარმოდგენებს დიდის ხალისით ესწრებოდა ქუთაისის საზოგადოება. მეტადრე ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ვასო აბაშიძის სახუმარო კუპლეტები, რომლი-

თაც ის გადაჰკრავდა ზოგიერთ ჩვენს მოღვაწეებს.

აკაკის ზოგჯერ ვხვდებოდი ქუთაისის ინტელიგენტთა საღამოებზე, რომლებიც კერძო ოჯახებში იმართებოდა, უფრო ხმირად ეფემია კლდიაშვილის ოჯახში (ჩვენი არქიტექტორის, სიმონ კლდიაშვილის დედა იყო); იქ ვისმენდით ხოლმე აკაკის ჩვეულებრივ ხუმრობას. ზოგჯერ ჩვენის თხოვნით თავის ლექსებს გვიკითხავდა.

როდესაც უნივერსიტეტი გავათავე და თბილისში ჩამოვედი, მაშინ კი ხშირად ვხვდებოდი აკაკის კერძო ოჯახებში და ნამეტნავად წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმში რომელიც იმ ხანად ერთ მოზრდილ ოთახს წარმოადგენდა, წიგნების მაღაზიის უკან საადგილმამულო ბანკის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე. აქ იკრიფებოდნენ ქართველი ინტელიგენტები და ამ კრებაზე აკაკი ხშირად მოდიოდა და თავის მოთხრობებითა და ამბებით გვართობდა.

როგორც ქუთაისში, ისე აქაც აკაკი ცოლშვილით არა ყოფილა, არც მუდმივი ბინა ჰქონდა: ხან ერთ სასტუმროში ცხოვრობდა, ხან მეორეში. სამსახუ-



რი თავის დღეში არა ჰქონია, მაშასადამე, მისთვის არც ჯამაგირი არსებობდა. ცოტა შემოსავალს იღებდა თავისი მამულიდან და ყოველთვის უფულოდ იყო. მაგრამ როგორც დამსახურებული და უებრო პოეტი ის ყველასათვის საყვარელი კაცი იყო და შეძლებისამებრ ყველა ეხმარებოდა. ხშირად მას სასტუმროს მეპატრონენი, ნამეტნავად იმერლები და გურულები, არც ბინაში, არც საჭმელ-სასმელში ფულს არა თხოვდნენ, თვის ბოლოს მხოლოდ ანგარიშს წარუდგენდნენ თავიანთი ხელმოწერით, რომ ფული მიღებულიაო.

აკაკი კერძო ოჯახებშიც ცხოვრობდა, ნამეტნავად პირველ ხანებში ნიკო დიასამიძისას (თბილისში), სადაც მას მასპინძლის ცოლი და შვილები დიდის სიყვარულით თავს დასტრიალებდნენ. ხშირად იყო აგრეთვე დეკანოზ დავით ღამბაშიძის ოჯახში, ყვირილაში, სადღაც დავით ღამბაშიძე სასულიერო გაზეთ „მწყემსს“ სცემდა.

ერთ ადგილს დიდხანს გაჩერება არ უყვარდა: ხან თბილისში იყო, ხან ქუთაისში. ქუთაისში მას ბინა ნიკო ნიკოლაძის დებთან – კატოსთან და ანიკოსთან ჰქონდა. ესენი ცნობილი ინტელიგენტი ქალები იყვნენ, ქუთაისში მასწავლებლობდნენ და ისე ირჩენდნენ თავს. დებს თავიანთი ძძა ნიკო ნიკოლაძე ისე უყვარდათ, რომ ერთ სამდურავს ძმის შესახებ ვერ ათქმევინებდით. კატო (1854-1931) და ანიჩკა (1846-1931) თამამი ლიბერალური მიმართულების ქალები იყვნენ, უქმროები. აკაკი იქ როგორც თავის ოჯახში, ისე სცნობდა თავს. ნამეტნავად საინტერესო იყო მათი შინაური დამოკიდებულება. აკაკიმ პოეტურად შეთხზული ბაასი იცოდა. კატო მაშინვე სიცილით შენიშნავდა: „ტყუილი, ტყუილი“-ო, მაგრამ აკაკი ამაში არც თავის შეურაცყოფას ხედავდა და არც ეჩხუბებოდა, სუყველაფერი სიცილით თავდებოდა.

საზოგადოდ აკაკი სააპეკო კაცი იყო, ვინმე პატრონი უნდა ჰყოლოდა, ვინაიდან ცოლშვილთან იმ დროს არა ცხოვრობდა. გაგონილი მქონდა, რომ მისი ცოლი, ბაზილევსკის ასული, მდიდარი ყოფილა, როდესაც ის აკაკის შე-

ურთავს. ამბობდნენ, ქონება რომ დახარჯვიათ, აკაკიც გასცილებიაო, მაგრამ მის ცოლს კვლავ ორჯერ დიდი ქონება მიუღია გარდაცვალებულ ნათესავებისაგან, აკაკი ისევ ცოლთან წასულა მოსკოვში და, როცა ეს ქონებაც შეუჭამიათ, აკაკი ისევ საქართველოში დაბრუნებულაო.

ნატალია ბაზილევსკაია მე უკვე მოხუცებულობაში ვნახე, როდესაც აკაკი ავად იყო, და ეტყობოდა, რომ ახალგაზრდობაში სანდომიერი ქალი უნდა ყოფილიყო. შვილი ლამაზი ყავდა.

როდესაც აკაკი ავად გახდა, თბილისში მისი ცოლი ჩამოვიდა და დაადგა თავზე, თავისებურად უნდოდა კარგად მოევლო. ავადმყოფ აკაკის სხვა ქალებიც უვლიდნენ (მაგ. ტასო მაჩაბელი და სხვები). ერთხელ მივედით აკაკის სანახავად, ნუგეში ვეცით:

– „არაფერი საშიში ავადმყოფობა არ გაქვს, მალე მორჩები“-მეთქი.
მან მითხრა: „რა მომარჩენს, ეს თუ არ მომაცილეთო“, და მიუთითა ცოლზე.
ეს აკაკის ჩვეულებრივი ოხუნჯობა იყო; ისე, რაც შეეძლო, პატივსაცემდა ცოლს.



აკაკის შვილი ალექსი ერთობ სიმპატიური ადამიანი იყო, ზრდილი, კაცთმოყვარე, ლამაზი და კეთილი გულის პატრონი; მამა ძალიან უყვარდა და, თუმცა ქართული ნაკლებად იცოდა, მაგრამ მამის თხზულებათა შინაარსი ზედმიწევნით ჰქონდა შეთვისებული. მან ოპერის მოყვარულთა დასი შეადგინა და ერთხელ გასტროლებისათვის ჩამოვიდა საქართველოში; აკაკი შვილს დიდად ეხმარებოდა, მაგრამ მოგება ვერ ნახეს და ვალებში ჩაცვივდნენ. თანდათანობით ეს საოპერო დასი ალექსიმ შემდეგ გააუმჯობესა, პარიზში ჩავიდა თავისი დასით და დიდი წარმატებით მიყავდა საქმე. კარგი შემოსავალი ჰქონდა და დიდი მთაბეჭდილებაც მოახდინა ამ დასმა ფრანგებზე. მერე ფრანგებმა არენდით აიღეს ეს დასი და მისი მონაწილენი, გარდა საფრანგეთის ქალაქებისა, ბრიუსელში და ბელგიის სხვა ქალაქებშიც მართავდნენ საღამო-კონცერტებს, რომელთაც აუარებელი ხალხი ესწრებოდა. დასს მართალია შემოსავალი დიდი ჰქონდა, მაგრამ ალექსი იმდენად პირდაპირ იდეალური და უანგარო კაცი იყო, რომ შემოსავლის ანგარიშში თითონ არც კი ერეოდა, რასაც დასი მისცემდა, იმით კმაყოფილდებოდა. დასის წევრები ალექსის აღმერთებდნენ და ოდნავი უსიამოვნებაც კი არა ჰქონიათ მასთან. დედამისი ნატალია იმ დროს დასნეულებული იყო, ორ წელიწადს ლოგინში იწვა, შვილი თავს დასტრიალებდა და არაფერს არ აკლებდა, მაგრამ ბოლოს მაინც სნეულებას გადაჰყვა. დედის სიკვდილის გამო გამოუთქმელ მწუხარებაში ჩავარდა ალექსი. ერთი თუ ორი წლის შემდეგ თითონ ალექსიც გახდა ავად და იქ, პარიზშივე, მიიცვალა. დიდძალი საოპერო დეკორაციები, ტანისამოსი და ბიბლიოთეკა დარჩა, რაც მილიონნახევრად იყო შეფასებული, ეს ყველაფერი ქართულ საზოგადოებას დაუტოვა ანდერძით, მაგრამ ოპერის დასის წევრებმა საჩივარი აღძრეს, რომ ჩვენ გვეკუთვნის მთელი საოპერო ქონებაო და ეს ქონებაც მათ დარჩათ.

აკაკი ჩემი დიდი პატივისმცემელი იყო და ეს საქმითაც დაამტკიცა, მე

ცოტა არ იყოს სირცხვილეული დავრჩი. ერთხელ შემოვიდა იგი ჩემთან სახლში (მაშინ წყნეთის ქუჩის დასაწყისში ვცხოვრობდი ხოლო აკაკი ჩემ პირდაპირ ყოფილ ოლღას ქუჩაზე) და მითხრა:

– „ყველაფერზე გული ამივარდა არცერთი ჩვენი დაწესებულება არ მაკმაყოფილებს შენი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მეტი და ჩემი ქონება თქვენ უნდა დაგიტოვოთ ანდერძითო“.

მე გავიცინე და ღიმილით ვუთხარი: „აკაკი! შენი ჭირიმე ჩვენი დაღუპვა, თუ არ გინდა მაგას ნუ იქმ-მეთქი“.

– „რატომაო?“ – მკითხა.

– იმიტომ რომ, მეშინია, შენს ვალებში არ გაგვიყიდონ ის ხელნაწერები და სხვა ნივთები, რომელნიც თქვენ უნდა დაგიტოვოთ ანდერძით“.

მან მიპასუხა: „ვინ გითხრა ეს? ვალი ერთი კაპეიკიც კი არ მაქვს, ან, ვალი საიდან მექნება, როდესაც ფულს არავინ მასესხებს? ქე ნახავ მაშინ, როდესაც ჩემს მემკვიდრეობას მიიღებთ და მოსარჩლე არავინ გამოგიჩნდებათო“.



ამით გავათავეთ ლაპარაკი და სხვაზე გადავედით. სხვა დროს მას ამ საკითხზე ლაპარაკი აღარა ჰქონია. წარმოიდგინეთ: წასულა აკაკი ქუთაისში და ამავე კვირაში ნოტარიალური წესით დაუმტკიცებია ანდერძი, რომ მთელ თავის მამულს და მთელ თავის ნაწარმოებებს, გამოცემულს თუ გამოუცემელს, უტოვებს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას.

ეს მე მხოლოდ მაშინ გავიგე, როდესაც აკაკი გარდაიცვალა. ძლიერ გამიკვირდა, რად მოიქცა იგი ასე, რადგანაც 100 დესეტინა მიწა, დიდი ეზო და სახლი საჩხერეში, რომელშიც აკაკი ცხოვრობდა, მამაპაპეული იყო და კანონით მასში წილი უნდა ჰქონოდა მის დასაც, რომელიც მაშინ ლოგინად იყო ჩავარდნილი. მეორე მხრით, ეს ამბავი საკვირველი იყო იმ მხრივაც, რომ აკაკის შვილსა და ცოლს არავითარი პრეტენზია არ გამოუცხადებიათ ამის შესახებ. რა თქმა უნდა, ჩვენ დიდი პატივი ვეცით აკაკის ოჯახობას, სანამ ის თბილისში იყო: არამდიდრული, მაგრამ სამყოფი სარჩო გავუჩინეთ.

ანდერძის თანახმად აკაკის სახლი, მამული, ეზო და მისი ხელთნაწერები მალე ჩავიბარეთ, მის სახლში გავხსენით მუზეუმი და მისივე ყოფილ მოურავს კოტე აბდუშელიშვილს ჩავაბარეთ. ის ენერგიული კაცი იყო და დიდად ხელს გვიწყობდა; რასაკვირველია, თავის ანგარიშსაც არ ივიწყებდა.

თბილისში აკაკის მოურაობას ასრულებდა სოსიკო მერკვილაძე, ბუკინისტი, დიდი ფართი-ფურთის კაცი. აკაკი მასთან ხშირად დადიოდა. სიკვდილის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მას აკაკისაგან ნოტარიუსის წესით შეუძენია უფლება აკაკის რამოდენიმე საუკეთესო თხზულების გამოცემისა. ჩვენ რომ ეს გავიკვირვეთ, მან გვითხრა: „ამ თხზულებებს მე მხოლოდ ერთხელ გამოვცემ და მერმე ყველა თქვენს უფლებაში გადმოვაო“.

როგორც აკაკის წინადადებას ანდერძის შესახებ შევხვდი სიცილით, აგრეთვე სიცილით შევხვდი მეორე მის წინადადებასაც. ერთხელ აკაკი მოვიდა ჩემთან და მითხრა: „რამდენადაც ვიცნობ ხალხურ პოეზიას, უნდა გამოგიტყდე, რომ ჩვენისთანა ხალხური პოეზია სხვა ხალხს იშვიათად თუ აქვს. ამიტომ

შენ დიდი სამსახური მიგიძღვის, რომ ასე ბევრი მასალა გამოაქვეყნე თქვენს საისტორიო და საეთნოგრაფიო ორგანოში – „ძველ საქართველოში“, მაგრამ ხალხში გაბნეული მასალა აუარებელია, ამოუწურავი და მათი შეგროვება-გამოცემა გაასკეცებულ მუშაობას თხოულობს. მინდა ამ საქმეში დაგეხმაროთ. მოწმობა მომეცი, რომ მე თქვენი საზოგადოება მაგზავნის კახეთში სახალხო პოეზიის შესაკრებად“.

მე, როგორც მოგახსენეთ, სიცილით შევხვდი ამ წინადადებას: „თუ ღმერთი გწამს, აკაკი, მაგას მე ნუ დამავალებ, თორემ უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდები. შენ მთელი საქართველო გიცნობს და მის უგვირგვინო მეფეს გეძახიან, ექვთიმე თაყაიშვილმა უნდა მოგცეს შუამდგომლობის მოწმობა და გაგიკეთოს რეკომენდაცია? მე ხომ სასაცილოდ ამიგდებენ და იტყვიან: ეს, როგორ გაკადნიერებულა და ჩვენ გვასწავლის ვინ არის აკაკი და როგორი პატივით უნდა მივიღოთ-მეთქი?“.



– „აი, ასე იცი შენ, – მითხრა მან – შენ რა გენაღვლება, მე ასეთი მოწმობა გამომადგება. ჩემი ხალხს არაფერი არ სჯერა, აკაკიმ ლექსის წერის მეტი არაფერი იცისო, შენ სერიოზული კაცი ხარ და მე შენს მოწმობას გამოვიყენებო“.

მე ვუთხარი: „დიდის სიამოვნებით მაგრამ სიცილს მაინც დამაყრიან. საამისოდ დიდი ფული ჩვენ არა გვაქვს, მხოლოდ 100 მანეთს მოგართმევთ. თუ გეყოფათ ეს წასასვლელად, მიიღეთ და წაბძანდით“.

– „თავსაყარად მეყოფა, მეტი არ მინდაო“.

დავწერე ჩვეულებრივი მოწმობა და მივეცი 100 მანეთი. ამას გარდა მივწერე ჩემს მეგობრებს თელავში, განსაკუთრებით ვასილ კახიძეს, რაფიელ ერისთავის სიძეს, რომ ჩვენმა დიდმა მგოსანმა განიზრახა ფოლკლორული მასალების შეგროვება და გთხოვთ დიდის პატივით შეხვდეთ, წაიყვან-წამოიყვანოთ სხვადასხვა სოფლებში და კმაყოფილი დააბრუნეთ უკანო.

მართლაც კახელები დიდის ამბით შეხვდნენ აკაკის და შესაფერი პატივი არ დაუკლიათ მისთვის. დაბრუნების შემდეგ აკაკის ჩვენთვის არაფერი არ მოუტანია და არც ჩვენ გვიკითხავს რამე ამ საქმის შესახებ.

ყველამ იცის, რომ აკაკის ილიასავით უყვარდა კარტის თამაში. ხშირად ღამესაც ათენებდა; მანამ ჯიბეს არ ამოიცალიერებდა, თამაშობას არ მიატოვებდა. თუ ილია უმეტეს შემთხვევაში კარტში ფულს იგებდა, აკაკი თითქმის ყოველთვის აგებდა. მე ვეკითხებოდი კარტის მოთამაშეებს: „რა მიზეზია, რომ ილია იგებს, აკაკი სულ აგებს?“ ისინი მეუბნებოდნენ: „შეუძლებელია აკაკიმ მოიგოს, რადგან მან „ფასი“ არ იცის, ქაღალდი მოუვა თუ არა, მისთვის სულერთია, მაინც თამაშობსო. მის პარტნიორებს „ბურდუჩნი“ კლუბში დავა ჰქონდათ ერთმანეთში, აკაკის რომ დაინახავდნენ: დღეს მე ვეთამაშები და არა შენ. შენ გეყო, რაც წინათ მოუგე, ეხლა მოგება მე უნდა მხვდესო“. ასე წინდაწინ იცოდნენ, რომ აკაკისთან თამაში მათთვის ყოველთვის მოსაგები იყო.

აკაკი, როგორც მოვიხსენიე, სააპეკო კაცი იყო. ერთხელ მას ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკმა პენსია დაუნიშნა და თანხა წერა-კითხვის საზოგადო-

ებას გადასცა, რომ თვიურ-თვიურად ეძლიათ განსაზღვრული რაოდენობით. ამან უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა საზოგადოება და მისი ხაზინადარი. აკაკი თხოულობდა ბევრ ფულს, ისინი არ აძლევდნენ განსაზღვრული თანხის მეტს. იყო ერთი მითქმა-მოთქმა. აკაკი ამბობდა: „მე არაფერს არ მაძლევენ, ჩემს მაგიერ სხვები აწერენ ხელს და მათ მიაქვთო“. ამას, რასაკვირველია, არავინ არ იჯერებდა, ვინაიდან დავით კარიჭაშვილი, რომელიც მაშინ განაგებდა წერა-კითხვის საზოგადოების საქმეებს, უაღრესად პატიოსანი კაცი იყო და, თუ ვინმე ეტყოდა დავითს, რომ აკაკი ამბობს არაფერს მაძლევენო, ისიც მთქმელს ხელწერილებს უჩვენებდა და აკაკის კი საყვედურს სრულიადაც არ ეუბნებოდა. მაგრამ როდესაც გიორგი ყაზბეგი გახდა საზოგადოების თავმჯდომარე, იმან შეურაცყოფად მიიღო ასეთი მითქმა-მოთქმა და წერა-კითხვის საზოგადოებამ უარი სთქვა აკაკისათვის გასანაწილებელი ფულის მიღებაზე. შემდეგ ბანკმა სხვა დაუნიშნა აპეკუნად, მაგრამ იმანაც უარი სთქვა. ბოლოს



იაკობ გოგებაშვილს სთხოვეს, რომ მას მიეღო თავის თავზე ამ ფულების გამოზოგვა აკაკისათვის. გოგებაშვილი დიდ უარზე იყო, მაგრამ მერმე სთქვა: „ვინმემ ხომ უნდა იკისროს ეს არა სასიამოვნო საქმე? ისე აკაკი ვერაფერს ვერ მიიღებს. მე დავთანხმდები, თუ ექვთიშე თაყაიშვილიც შემომიერთდებაო“. მე ვუთხარი იაკობს: – „როგორც შენ, ისე მე დიდ პატივს ვცემ აკაკის, მაგრამ ესეც ხომ იცი, აკაკი არავის არ დაინდობს და ჩვენც კარიჭაშვილის ამბავი მოგველის-მეთქი". – „რა ვქნათ უნდა გადვიტანოთო“, – მითხრა და ორივე დავთანხმდით, ერთ ხანს ვუძღვებოდით ამ საქმეს. ჩვენ მაინც და მაინც არ შევუწუხებივართ აკაკის, ისე კი პირს უკან რას ამბობდა, არ ვიცი.

როგორც რაფიელ ერისთავის იუბილე დიდი ზეიმით გადაიხადა ქართველმა საზოგადოებამ, ისე კიდევ უფრო მეტის ზეიმით, თანაგრძნობითა და სიყვარულით გადავიხადეთ აკაკის იუბილე თბილისში 1908 წელს. მაგრამ მისი იუბილე თბილისით არ დამთავრებულა. შედგა ჯგუფი, რომელმაც აკაკი დაატარა საქართველოს ყველა კუთხეში: ქართლში, კახეთში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში. ყველა კუთხე დიდის ზეიმითა და თანაგრძნობით შეხვდა პოეტს და აგრძნობინა თავისი სიყვარული და პატივისცემა. სხვათა შორის აკაკი ესტუმრა ილიას სოფელს ყვარელს. აქ იური ჭავჭავაძემ (გენერალ ნიკო ჭავჭავაძის ძმისწულმა) ისეთი საზეიმო შეხვედრა მოუწყო აკაკის, რომ ხარჯების დასაფარავად, როგორც გადმოგვცეს, მას მოუხდა ათიოდე დესეტინა მამულის გაყიდვა.

აკაკის ქართველი ხალხის პატივისცემა და სიყვარული არ დაკლებია, ინტელიგენცია დიდად აფასებდა მის პოეტურ მემკვიდრეობას. სასტუმროებისა და რესტორანების პატრონები მას სთავაზობდნენ კარგ ბინას, მოწყობილობასა და საჭმელ-სასმელს, ფულს არა სთხოვდნენ. ნიკო დიასამიძის, ვანო მაჩაბლისა და სხვათა ოჯახების კარებები ყოველთვის ღია იყო. ზაფხულში საჩხერეში მიდიოდა ხშირად და იქ თავის სახლში სხვიტორში ცხოვრობდა; აქ დიდ ყურადღებას აქცევდნენ თავისი მოგვარეები, მეტადრე ელისაბედ და ბეჟან წერეთლები.

იუბილეს შემდეგ აკაკი თანდათან დასუსტდა, დაავადმყოფდა და 1915 წლის იანვარში გარდაიცვალა თავის სოფელ სხვიტორში. უკვდავი პოეტი დიდი ამბით ჩამოასვენეს თბილისში და დაკრძალეს ქართველ მწერალთა პანთეონში, სადაც განისვენებენ დიმიტრი ყიფიანი და ილია ჭავჭავაძე.

## 3. გიორგი წერეთელი

ჩვენ დიდ მოღვაწეთა შორის ყველაზე უმალ გავიცანი გიორგი წერეთელი. როდესაც ქუთაისში მეორე კლასის პროგიმნაზიაში შევედი, გიორგი წერეთელი მაშინ ამიერ-კავკასიის რკინიგზაზედ მუშაობდა, ის იყო დიდი მეგობარი იოსებ თაყაიშვილისა, რომელიც თვალსაჩინო პიროვნება იყო მთელ გურიაში.



ერთხელ, კვირა დღეს იოსებმა სადილად დამიძახა; „ჩემთან გიორგი წერეთელი იქნება და მოდიო“. მეც მივედი. იქ იყო გიორგის გარდა ერთი ჩვენი სოფლის ლიხაურის მკვიდრი კაკაბაი ლომჯარია, რომელიც მოსწრებული ენის პატრონი იყო, თამამი, უშიშარი და გლეხების მექომაგე.

სადილზე მხიარულობა გვქონდა. ტოლუმბაშად თვით იოსებ თაყაიშვილი იყო. მან სხვების სადღეგრძელო რომ მოათავა, ჩემი სადღეგრძელო დალია და ასეთი სურვილი გამოთქვა: „მე მინდა საქართველოს თავისუფლებას მოესწრო და ისეთი კაცი გამოხვიდე, რომ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდეო“. კაკაბაი ლომჯარია შეედავა იოსებს: „მე მაგის თანახმა არა ვარ“. ყველამ გაკვირვებით შეხედეს და ჰკითხეს: – „რატომ?“ – „რატომ და კოჭლი კაცი რომ პრეზიდენტად აირჩიონ, არ გვეტყვიან ფეხმართალი კაცი ვერ იშოვნეთო?“ – „ეჰ, ეგ როგორ იქნებაო, – დაუწყეს ლაპარაკი კაკაბაის, – პრეზიდენტს თავი უნდა ჰქონდეს კარგი და არა ფეხიო“. კაკაბაიმ სიცილით მითხრა: – „არ გეწყინოს, ხუმრობით ვთქვიო“. მე ვუთხარი: „როგორ მეწყინება, რაკი კარგად ვიცი, რომ საქართველო ასე ადვილად ვერ განთავისუფლდება და მისი პრეზიდენტიც ვერაოდეს ვერ გავხდები, რადგან ასეთი დიდი წარმოდგენა არა მაქვს ჩემს თავზე-მეთქი“. მომვარდა გიორგი წერეთელი: „ყმაწვილო! ეგ რა თქვი, ყველა მოსწავლე უნდა განდიდებას მოელოდეს და თავს ამზადებდეს მომავალი საქართველოს თავისუფლებისათვის!“ – მერე ხმამაღლა თქვა: „მე მოვესწრები საქართველოს განთავისუფლებას და შენ ახალგაზრდა მით უმეტეს“-ო.

ამის შემდეგ გ. წერეთელი რამოდენიმეჯერ შემხვდა კიდევ ქუთაისში იოსებ თაყაიშვილთან. შემდეგ ვნახე სურამში, როცა მესამე კურსზე ვიყავი პეტერბურგის უნივერსიტეტში; ზაფხულში საქართველოში ვისვენებდი და ერთ-ორ დღეს მე და მიხაკო მღვდელიევი კატო და ანიჩკა ნიკოლაძეებს ვესტუმრეთ სურამში (მაშინ ნიკოლაძის ქალები გიორგი წერეთლის შვილებს უვლიდნენ და იქ სააგარაკოდ იყვნენ). გიორგი იქ ამოვიდა შვილებთან, მისი პირველი ცოლი, ნიკო ნიკოლაძის და, ოლიმპიადა, უკვე გარდაცვლილი იყო.

უნივერსიტეტი რომ დავამთავრე და თბილისში ჩამოვედი, მაშინ გიორგი

არა მსახურობდა და დიდ გაჭირვებას განიცდიდა. გვინდოდა რაიმე საქმეში მოგვეწყო, მაგრამ გიორგის საქმე ყველაზე უფრო მწერლობა იყო, ამიტომ ვანო მაჩაბელმა, ალექსი ჭიჭინაძემ და მე განვიზრახეთ გაზეთის, ან ჟურნალის დაარსება. ეს უფრო იმით იყო გამოწვეული, რომ მაშინ, გარდა ილიას „ივერიისა“, სხვა გაზეთი არ არსებობდა. ყოველდღიური გაზეთი დიდ ფულს მოითხოვდა და ჩვენ ვერ შევძლებდით ამ ფულის შოვნას, ამიტომ გადავწყვიტეთ, საკვირაო გაზეთი დაგვეარსებია. აღვძარით შუამდგომლობა ჟურ. „კვალის“ გამოცემის შესახებ და კიდევაც მივიღეთ უფლება. რედაქტორობა და გამომცემლობა გიორგი წერეთელს დავუმტკიცეთ, რასაც გ. წერეთელი დიდი სიხარულით შეხვდა. მაგრამ მან მალე იცვალა მიმართულება და გაზეთი მესამე დასელების ორგანოდ გახდა. ეს ეწყინათ ვანო მაჩაბელსა და ალექსი ჭიჭინაძეს. მთხოვეს: – „წადი, ჩვენს მაგიერ მოელაპარაკე გიორგის; ეს რა ამბა-



ვია, რომ ჩვენი დაარსებული გაზეთი სხვებს გადასცაო“. მე ვუთხარი: „მე გიორგის რა უნდა ველაპარაკო ის დიდი ცნობილი მოღვაწეა და მე არ შემეფერება მისი ჭკუის სწავლება. ისე ჩამოუგდებ ლაპარაკს და, რასაც მეტყვის, მო–გახსენებთ მეთქი“. წავედი გიორგისთან და დავიწყე ლაპარაკი „კვალის“ შესახებ. მან მითხრა: „ეხლა ისეთი დრო დადგა, რომ ძველი მიმართულება უნდა უკუვაგდოთ. იქიდან მარტო ნაციონალური თავისუფლების მისწრაფება დავიტოვოთ და სხვა სოციალურ-ეკონომიურ საკითხებში მარქსისა და ენგელსის მიმართულება უნდა მივიღოთ. მარქსი ეკონომიურ საკითხში და სოციოლოგიაში ისეთი ავტორიტეტია, როგორც დარვინი ბიოლოგიაში. მარქსისტები ენერგიული ხალხია და გაზეთის საქმეს უზრუნველგახდიან. მაჩაბელს და ჭიჭინაძეს არაფერი შეუძლიათო“.

გიორგი წერეთელი სხვა ჩვენ მოღვაწეებისაგან იმით განირჩეოდა, რომ ჩვენი ძველი მწერლობა იცოდა, ხუცურ ხელთნაწერებს კარგად კითხულობდა, ახალი ქართული ჩინებულად იცოდა. ქართველი მწერლები მის შესახებ სხვადასხვა აზრისა იყვნენ. მაგ., აკაკი ამბობდა: „გიორგი წერეთელს ორი თავი აქვს, ერთი ჭკვიანი და მეორე სულელი. ხან ერთს ხმარობს და ხან მეორესო“. ნიკო ნიკოლაძე ამბობდა: „ყველაფერი საქმე გამოუვა ხელიდან: კარგიცა და ავიცაო“.

იგი არქეოლოგი იყო. მისი რეფერატი მეხუთე საარქეოლოგიო კრებაზე თბილისში ყველა სხვა ქართულ რეფერატს სჯობდა. მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების წევრი იყო, არქეოლოგიურ მოგზაურობას აწარმოებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და სტატიებს ბეჭდავდა „в Материлах по археологии Кавказа“.

ილია ჭავჭავაძესთან ხშირად ჰქონდა პოლემიკა, მაგრამ პირად შეხვედრის დროს მათ ცუდი განწყობილება არა ჰქონიათ და ხშირად იგონებდნენ თავიანთი ძველი მოღვაწეობის დროს, თუ მაშინ რა დევნასა და რაოდენ უსიამოვნებას განიცდიდნენ.

## 4. ვაჟა-ფშაველა

ვაჟა-ფშაველა მე პირველად გავიცანი პეტერბურგში, როდესაც უნივერ–სიტეტში შევედი, ის მოვიდა თავისუფალ მსმენელად უნივერსიტეტში და ესწრებოდა ქართველი სტუდენტების სხდომას სათვისტომო საკითხების შესა-ხებ. ფშავ-ხევსურეთის სახალხო პოეზიიდან აუარებელი ლექსები იცოდა ზე-პირად. არავითარი რვეული, ან წერილობითი საბუთები ხელში არა ჰქონია და ყველანი განცვიფრებულნი ვიყავით, როგორ შეეძლო ამდენი ლექსების ზეპირად დამახსოვრება. ლექსები, რასაკვირველია, დიდ შთაბეჭდილებას ახ-დენდა ჩვენზე.

ის ცხოვრობდა ერთ ჩემ ამხანაგ გოცირიძესთან, მაგრამ დიდხანს ვერ შეეწყვნენ ერთმანეთს და გასცილდნენ.

თბილისში რომ ჩამოვედი, მას ვერა ვხედავდი, მაგრამ ერთი მისი საქმე წამოიჭრა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კომიტეტში და მა-



შინ შევიტყვე, რომ ის მანგლისის მახლობლად თონეთში ყოფილიყო მასწავ-ლებლად. თონეთელებიდან ასეთი საჩივარი მოვიდა: ცუდად იქცევა, მუშტი-კვრით გვიმასპინძლდება და ხანჯალითაც გვემუქრებაო. იქ გაგზავნეს გამოძიე-ბისათვის წერა-კითხვის საზოგადოების საქმის მწარმოებელი იაკობ მანსვეტა-შვილი და იმან მოიტანა ამბავი, რომ ვაჟას ჩხუბი მოსვლია ერთ რუსის ოფი-ცერთან, ისინი ერთმანეთს შეხებიან ხელით. ბოლოს და ბოლოს საქმე იმით გათავდა, რომ ვაჟა-ფშაველამ მიატოვა იქ სამსახური.

შემდეგ მას ვხვდებოდი იშვიათად წერა-კითხვის საზოგადოების კანცელა-რიაში და ვეცნობოდი მის ლექსებს და მოთხრობებს, რომელნიც „ივერია“-ში იბეჭდებოდა. მაშინ მას უკვე სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, როგორც დიდსა და ორიგინალურ პოეტს. ყველაზე უფრო მისი ნიჭის დამფასებელი იყო ილია ჭავ-ჭავაძე, რომელიც ამბობდა: „რუსთაველის შემდეგ ჩვენ ასეთი ნიჭიერი პოეტი არა გვყოლიაო“. „ხუთშაბათობის სხდომებზე“, რომელნიც ილიას ბინაზე ეწყობოდა ხოლმე და რომელთაც ესწრებოდნენ რედაქციის ყველა წევრი, მწერლები და ილიას მეგობრები, ხშირად კითხულობდნენ ვაჟა-ფშაველას ამა თუ იმ თხზულებას.

შემდეგ, როდესაც მე დავაარსე საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგა-დოება, ჩვენ შევუდექით აგრეთვე სახალხო პოეზიის ნიმუშების შეკრებასა და გამოქვეყნებას. გვინდოდა შეგვეკრიბა დაწვრილებითი ეთნოგრაფიული მასა-ლები საზოგადოდ მთიელთა და განსაკუთრებით ფშავ-ხევსურების ცხოვრების შესახებ. მე ვთხოვე ვაჟა-ფშაველას: „ამას შენზე უკეთესად ვერავინ ვერ შეგ-ვიდგენს, გასამრჯელოს მოგართმევთ, შეგვიკრიბე ასეთი მასალა. ჩვენ გვაინ-ტერესებს ვიცოდეთ ფშავ-ხევსურების ცხოვრების პირობები, მათი ზნე-ჩვეუ-ლებანი, მისწრაფებანი და ხასიათები“. ვაჟა-ფშაველა დამპირდა და რამოდე-ნიმე ხნის შემდეგ მოგვიტანა შესანიშნავე მოთხრობა „ფშაველი და მისი წუ-თისოფელი“, რომელიც დაბეჭდილია „ძველი საქართველოს“ მე-2 ტომში. ეს ნაწარმოები ნამდვილი პოეტური მოთხრობაა, რომელსაც თან ახლავს ფშავუ-რი ლექსები და ანდაზები. ხევსურების შესახებ ასეთი მოთხრობის დაწერა სა-

უბედუროდ მას აღარ დასცალდა.

შვილების აღზრდაში დახმარებას მთხოვდა და 1902 წელს მისი შვილი ლევანი პანსიონში მივაღებიე კომიტეტის საზოგადოების ხარჯზე. გარდაცვალების შემდეგაც მის ორივე შვილს სტიპენდიები დავუნიშნეთ და სასწავლებლად გავგზავნეთ.

როდესაც იგი დასნეულდა, მოვათავსეთ სათავადაზნაურო გიმნაზიის საავადმყოფოში, შენობაში, სადაც ახლა ჩვენი უნივერსიტეტია.
აქ მე მასთან ხშირად დავდიოდი და რაც შემეძლო ყველაფერში ვეხმარებოდი, მაგრამ სამწუხაროდ უდროოდ გამოეცალა წუთისოფელს.

## 5. ეგნატე ნინოშვილი (ინგოროყვა)

ეგნატე ნინოშვილს პირადად არსად არ შევხვედრივარ და არც გამიცვნია, მხოლოდ ერთხელ მომწერა წერილი და მთხოვა მასალები მიმეთითებინა გურიის აჯანყების შესახებ. მე სიამოვნებით ავუსრულე ეს თხოვნა, ჯერ დავუსა-



ხელე ოფიციალური ცნობები, რომელიც სამხედრო შტაბში ინახებოდა (მაშინ სამხედრო შტაბში მუშაობდა ჩემი ძმა – ვარლამ თაყაიშვილი, იმისგან შევიტყე ნომერი საქმისა), ამას გარდა ვურჩიე პირადად ენახა ბიძაჩემი ედიშელ თაყაიშვილი, რომელიც ამ ჯანყში ერია და დაჭრილი იყო მუხლის თავში, და მივსწერე დაწვრილებით, თუ როგორ ჩაბმულიყო ის ამ აჯანყებაში, ვის გადაერჩინა დაკოდილი და სხვა.

ბიძაჩემიდან მე ასე მქონდა გაგონილი: მოთავენი აჯანყებისა ყოფილიყვნენ დავით გუგუნავა დ» დავით გურიელი. გუგუნავა მოსულიყო ჩვენს სოფელში ლეხოურში ჯარის შესაკრებად, ბიძაჩემი ედიშელი მაშინ 16 წლისა ყოფილიყო. ბებიაჩემს ის დაემალა სახლში, რომ გუგუნავას არ ენახა და არ მოეთხოვა მისი წაყვანა. „მე კი – მითხრა ბიძაჩემმა – დიდად მინდოდა მასთან წასვლაო“. ამიტომ დაუწყია ღრიალი. ეს გაუგონია დავით გუგუნავას და უკითხია ბებიაჩემისათვის: ვინ არის რომ ღრიალებსო? რომ გაუგია რაში ყოფილა საქმე, გუგუნავას გამოუყვანია სამალავიდან და წაუყვანია ეს გახარებული 16 წლის ახალგაზრდა, მამინ უკვე თოფის სროლაში გაწვრთნილი.

ბიძაჩემს უამბნია, რომ აჯანყებისათვის მზადებას ორი კვირით ადრე შეუდგნენო ლეხოურმში და რომ ჯარის შეკრებას მეთაურობდაო ხოსო*) გოგორიშვილი. მამაჩემი მაშინ კარდონის ნაჩალნიკი ყოფილიყო, ე. ი. მდინარე ჩოლოქის კარდონის მცველი (ჩოლოქის წყალი შეადგენდა საზღვარს რუსეთის და ოსმალეთისას, მის მცველს კარდონის ნაჩალნიკი ერქვა).

მეორე ჩვენი გვარის კაცი, ქაიხოსრო თაყაიშვილი, რუსის მთავრობის მოხელე იყო. მამაჩემი და ქაიხოსრო თაყაიშვილი შეგნებული წინააღმდეგნი ყოფილან აჯანყებისა და ამბობდენ, ესენი ვერას გახდებიან და დიდი ზარალი მოუვა გურიასო; მაგრამ მათ არ უჯერებდნენ. ბიძაჩემმა მითხრა: მზადება ჩვენს სოფელში იმითაც გამოიხატებოდა, რომ ჯვარს ზემოთ (ჯვარი ერქვა იმ ადგილს, სადაც ეკლესია იყო) აჭის წყლის სათავეში მიმავალი გზა შეკრეს,

რამოდენიმე ხე აქა-იქ მოსჭრეს და მით გადახირეს გზაო. მამაჩემს უკითხავს: „რად ჩადიხართ ამ საქმეს?“ იმათ უპასუხიათ: „ამაზე რუსები ვერ გადავ-ლენ“-ო. მამაჩემს კი უპასუხია (ბიძაჩემმა მითხრა): „რუსებმა კავკასიის მთები გადმოლახეს და თხმელას ხეები დააკავებს მათო?!“.

ოზურგეთში გურიელების დროიდან დარჩენილი მაღალი ციხე იყო, ამ ციხეში ბინადრობდა რუსის ჯარი და იქვე ჯართან ყოფილან, როგორც რუსის მოხელენი, ქაიხოსრო თაყაიშვილი და მამაჩემი – სიმონ თაყაიშვილი.

ბიძაჩემის თქმით, აჯანყებულთა შეტევის გეგმა ასეთი ყოფილა: დავით გუგუნავას რაზმი უნდა მოსულიყო ნაგომრიდან, ხოლო დავით გურიელის – ლანჩხუთიდან. ეს იქნებოდა მემარჯვენე და მემარცხენე ფრთები შეტევისა. ლეხოურლები და მაკვანელები აქედან უნდა ჩასულიყვნენ მდინარე ჟუჟის პირ-ზე, გოგორიშვილის თაოსნობით. გოგორიშვილის რაზმი იქნებოდა მებრძოლთა ცენტრი.

---

*) ვგონებ ხოსო ერქვა, მისი სახელი ნამდვილად არ მახსოვს.



აჯანყების დაწყების დროს დავით გუგუნავას და გოგორიშვილის რაზმები დროულად მისულან თავთავიანთ ადგილზე, მაგრამ დავით გურიელის რაზმს რაღაცა მიზეზის გამო დაგვიანებოდა. მის მოსვლამდე შეტევა უკვე დაწყებუ-ლი იყო, გოგორიშვილის რაზმს გადაელახა ჟუჟი და დაეკავებია მაღლობი, რო-მელიც ოზურგეთის ციხის პირდაპირ იყო, ბაზრის წყლის მარცხენა ნაწილზე.

გოგორიშვილს მაღლობის წვერიდან ბიძაჩემი ედიშელი გაეგზავნა ბაზრის წყალთან ჩასასვლელად, სადაც იდგა ერთი ნაწილი მეამბოხეთა და მათ უნდა მოხმარებოდა. ეს ფერდობი ბაზრის წყალამდე საკმაოდ გრძელია, ბიძაჩემს ჩა-ურბენია ფერდობის შუა ნაწილამდის, მაგრამ იქ მოხვედრია კარტეჩი მუხლში და წაქცეულა, ფორთხვით ჩასულა ცოტა ქვემოთ, საცა ადგილი ცოტა ჩაღრ-მავებული იყო, და იქ ჩაწოლილა.

ბრძოლა გაგრძელებულა სამხრობის დრომდე (გურულად – ზარმელის დრომდე). მამაჩემს და ქაიხოსრო თაყაიშვილს ციხიდან დაუნახავთ, როგორ ჩამოეშვა ერდიშელ თაყაიშვილი მაღლობის წვერიდან და როგორ დაეცა მიწა-ზე. როდესაც სროლა გათავებულა, თურმე მათ გადასძახეს ციხიდან გოგორი-შვილს: „ერდიშელი როგორ არისო?“ იმას პასუხი მიუცია: „ჯერ არ ვიცით, მკვდარია თუ ცოცხალიო“. ეს რომ გაუგონია, ბიძაჩემს დაუწყია ყვირილი: „ცოცხალი ვარ, ცოცხალი, არიქა მიშველეთო“. წასულა ქორივით გოგორი-შვილი, შეუგდია მხარზე ბიძაჩემი და აღმართზე ამოურბენია. გოგორიშვილი დაუნახავთ რუსებს ციხიდან და აუტეხიათ სროლა, მაგრამ ვერ მოუხვედრე-ბიათ ტყვია და ასე ამრიგად ამ გმირ გოგორიშვილს გადაურჩენია ბიძაჩემი. იგი წამოუყვანიათ მაშინვე სახლში, იქ დოსტაქარებს კარტეჩი ამოუღიათ მუხ-ლის თავიდან და მოურჩენიათ. მაგრამ მუხლის თავზე ნატყვიარისაგან ჩაღრ-მავებული ადგილი ბიძაჩემს კარგად აჩნდა.

შემდეგ გოგორიშვილი დაუჭერიათ რუსებს, ერთხანს სატუსაღოში გაუჩე-რებიათ, მერე დახვრეტა მიუსაჯეს თურმე. ბიძაჩემმა მითხრა: „მე არაფერი ამ-

ბავი არ ვიცოდი და ერთ დღეს ოზურგეთში წავედი; ჟუჟზე რომ გავედი, დავინახე რუსის მთელ როტას მიჰყავდათ დასახვრეტად გოგორიშვილი, აუარებელი ხალხი მისდევდა ჯარს, შევუერთდი მათ. პატიმარი ყვიროდა და აგინებდა მეფის მთავრობას. რომ დავინახე ჩემი გადამრჩენი, დავიწყე ტირილი და მივდევდი შორიახლო. მან შემომხედა და მითხრა: „რა გატირებს, ბიჭო, არავის არ შერჩება ჩვენი სისხლი, დრო მოვა გადაუხდიანო. მე ვაივაგლახით დავბრუნდი და მთელ კვირას ჭკუაზე არ მოვსულვარ, ისე მაწუხებდა მისი სიკვდილი“-ო.

ეგნატე ნინოშვილმა მადლობის წერილი მომწერა: ვნახავ უსათუოდ ერდიშელ თაყაიშვილსო, მაგრამ რაღაც მიზეზით არ უნახავს ბიძაჩემი.

ე. ნინოშვილის წერილი მომყავს აქვე. წერილს თარიღი არა აქვს, მაგრამ იგი დაწერილია უსათუოდ 1892 წელის ზაფხულში, ვინაიდან ჩემთან მომართვა მასალების საჩვენებლად გურიის ჯანყის შესახებ ურჩევია თედორე კიკვაძეს ზესტაფონში, სადაც იგი ეგნატე ნინოშვილთან ერთად მსახურობდა ნ. ღოღობერიშის კანტორაში. ე. ნინოშვილის „ჯანყი გურიაში“ დაუწერია 1888 –



1889 წლებში. ეს მოთხრობა ავტორს დაუმთავრებლად მიაჩნდა და ამიტომაც არ გამოუცია თავის სიცოცხლეში. სამწუხაროდ ჩემი ნაჩვენები მასალების შესწავლა მას ვეღარ მოუსწრია ვიდრე გარდაიცვლებოდა. მისმა უდროოდ გარდაცვალებამ მით უფრო დამწვა გული.

აი მისი წერილი:

„პატივცემულო ბ. ე ქ ვ თ ი მ ე!

თქვენი წერილი მივიღე. დიდად მადლობელი ვარ პასუხისათვის, მადლობელი ვარ აგრეთვე რომ დამისახელეთ 1841 წ. გურიის აჯანყების შესახებ მასალები, რადგანაც კი გავიგე იმ წიგნების, ანუ ჟურნალების, სათაურები და № №, ვფიქრობ აწი აღარ გამიძნელდება იმათი მოპოება.

როცა თბილისში გიახლები, თქვენც უნდა შეგაწყინოთ თავი, გთხოვოთ იმისი მოთხრობა, რაც ბიძა თქვენიდან გაგიგონიათ იმ აჯანყების შესახებ. ჩემთვისაც უამბნიათ ბევრჯელ მოხუცებს იმ აჯანყების ამბავი, მაგრამ ერთის ნაამბობი მეორეს არ ეთანხმებოდა. თქვენ, იჭვი არ არის უფრო ნამდვილი წყაროდან გექნებათ გაგებული იმის ვითარება. განსაკუთრებით საჭიროა გავიგო ნამდვილი მიზეზი (მოტივი) იმ აჯანყებისა.

თქვენი პატივისმცემელი

**ეგნატე ინგოროყვა“.**

P. S. ილია ჭავჭავაძეს ჰქონდა მჭიდრო კავშირი ქართული კულტურისა და საზოგადოების ბევრ მოღვაწესთან – გოგებაშვილთან, ცხვედაძესთან, მარიამ ვახტანგის ასულ ორბელიანთან და სხვებთან, რომლებთანაც მისი ურთიერთობის გაშუქება მეტად საჭირო რამ არის; შემდეგში ყოველ მხრივ ვეცდები შთამომავლობას კვლავ აღვუდგინო წარსული საუკუნის ამ ბუმბერაზი ადამიანის

ცხოვრებასა და საქმიანობასთან დაკავშირებული ძვირფასი მომენტები.

ამჟამად მკითხველის ყურადღება მსურს შევაჩერო ერთ უცნობ დოკუმენტზე, რომელსაც ეწოდება „ოქმი ილია ჭავჭავაძის განსვენებაზე მოსულ დელეგატების კრებისა“.

როდესაც ილიას ტრაღიკული დაღუპვის ამბავი გავრცელდა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან შეიკრიბენ დელეგატები, რომელთაც გამოიმუშავეს წესრიგი დამარხვისა და მისი სახელის უკვდავყოფისათვის.

შეკრებილ დელეგატთა კრებამ სტამბურად დაბეჭდა ოქმი, რომელიც ხალხში გაავრცელა. ეს ნაბეჭდი ოქმი შემთხვევით ვიპოვნე ჩემს ქაღალდებში და ქვემოთ ვურთავ მოგონებებს[1].

---

[1] პატივცემულმა აკადემიკოსმა ექვთიმე თაყაიშვილმა აღნიშნული ოქმი შემოსწირა საქარ–თველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმს ილია ჭავჭავაძის ფონდში დასაცავად.

**რედაქცია.**



**პირი**

# ოქმი

## ილია ჭავჭავაძის განსვენებაზე მოსულ დელეგატების კრებისა

1907 წ. სექტემბრის 9-ს საღამოს 7 საათზე ტფილისის თ.-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოში მოხდა კრება ილია ჭავჭავაძის დასაფლავებისათვის საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან ჩამოსულ დელეგატებისა, რომელსაც დაესწრენ ტფილისის ქართულ დაწესებულებათა წარმომადგენელნიც. კრება მოწვეულ იყო ახალგაზრდობის ერთი ჯგუფის მიერ ილია ჭავჭავაძის ხსოვნის აღსანიშნავად და პატივსაცემად. კრების ინიციატორებმა წინადადება მისცეს დამსწრეთ, რომ დაედგას განსვენებულს ძეგლი ტფილისში ერევნის მოედანზე, შედგეს ეროვნული თანხა და მიღებულ იქმნას სხვა და სხვა ზომები ილიას სახელის განსამტკიცებლად ხალხში.

კრებამ დიდის კამათისა და საგნის ყოველმხრივი განხილვის შემდეგ დაადგინა:

1) შესდგეს ეროვნული თანხა ილია ჭავჭავაძის სახელობაზე ქართული ლიტერატურისა და სწავლა განათლების გავრცელებისათვის, 2) მიენდოს ამ საქმის მოწყობა წ.-კითხვის საზოგადოებას და 3) დაევალოს უკანასკნელს, მემართოს ქართულ დაწესებულებათ – შავი ქვის მწარმოებელთა კრების საბჭოს, ქალაქის თვით-მმართველობათ, თ.-აზნაურთა კრებებს, ბანკებს, და კერძო პირებს, რომ ყოველ წლიურად ან ერთ-დროულად გამოიღონ თავისი წვლილი ილია ჭავჭავაძის თანხის შესადგენად.